

# სამოქალაქო პროცესი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე

2020, №4

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Civil Cases**  
(in Georgian)

2020, №4

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Zivilsachen**  
(in der georgischen Sprache)

2020, №4

Решения Верховного Суда Грузии  
**по гражданским делам**  
(на грузинском языке)

2020, №4

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

**ბიორბი ჭყონიკა**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 299 04 18;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საკიეპელი

1. პროცესის ხარჯები  
სასამართლო ხარჯების განანილება მხარეთა შორის ..... 4; 13; 20
2. სასამართლო შეტყობინება და დაბარება  
სასამართლო უწყების შინაარსი ..... 26
3. სასამართლო მტკიცებულებები  
მტკიცებულებათა შეფასება ..... 35; 48  
ექსპერტიზის დანიშვნა ..... 57
4. საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში  
სარჩელის სახე ..... 70; 86
5. დაუსწრებელი გადაწყვეტილება  
პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიოობა ..... 94  
მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები ..... 104
6. სასამართლო გადაწყვეტილება  
გადაწყვეტილება ქონების მიკუთვნების ან  
მისი ღირებულების გადახდევინების შესახებ ..... 115
7. საქმის წარმოების განახლება  
გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობა  
საქმის წარმოების განახლება ..... 136

# 1. პროცესის სარჯები

## სასამართლო სარჯების განაწილება მხარეთა შორის

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-175-164-2017

15 იანვარი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავეცი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ზ. მ-ემ, მ. მ-ემ და ბ. ვ-ემ (შემდგომში „მოსარჩელები“, „კა-სატორები“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორები“) სარჩელი აღძრეს სასამართლოში მ. ნ-ისა და თ. ფ-ის (შემდგომში „მოპასუხეები“) მიმართ და მოითხოვეს მოპასუხეებისათვის 13 347,65 აშშ დოლარის დაკისრება.

#### 2. სარჩელი ემყარება შემდეგ გარემოებებს:

2.1. მ. მ-ე, თ. ფ-ე და თ. დ-ე შეთანხმდნენ, ერთობლივი საქმიანობის დაწყების მიზნით შეეძინათ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული, ქ. ..., კ. დასახლებაში მდებარე 5 292 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 768,48 კვ.მ შენობა-ნაგებობა, რის გამოც, სს „ბ.“ დამტკიცდა სესხი 100 000 აშშ დოლარი. სესხი გაფორმდა მ. მ-ის მამის – ზ. მ-ის (შემდგომში „მსესხებელი“) სახელზე და მის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მსესხებლის კუთვნილი, ქ. ..., ფ. ქ. №...-ში მდებარე სახლი, ასევე, მ. მ-ის სიძის – მ. კ-ის კუთვნილი ქონება, რომელიც იპოთეკით იყო დატვირთული მესაკუთრის ვალდებულების გამო. აღებული სესხიდან 8 045 აშშ დოლარით გასტუმრებულ იქნა ამ უკანასკნელის ვალდებულება ბანკის წინაშე და ადრე რეგისტრირებული იპოთეკისაგან გათავისუფლდა ქონება. დამტკიცებული სესხიდან ჯამში ათვისებულ იქნა 80 063,8 აშშ დოლარი, რომლითაც მსესხებელმა 2007 წლის 23 ოქტომბერს აუქციონზე შეიძინა უძრავი ქონება (ქ. ..., კ. დასახლებაში მდებარე 5 292 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 768,48 კვ.მ შენობა-ნაგებობა) და საკუთრების უფლებით აღირიცხა მის სახელზე;

2.2. 2008 წლის 29 მარტს გარდაიცვალა მსესხებელი და მისი სამ-

კვიდრო იმავე წლის 6 ოქტომბერს მიიღო მისმა შვილმა, მ. მ-ემ (შემდგომში „მემკვიდრე“). 2008 წლის ნოემბრიდან იგი, ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, გავიდა ერთობლივი საქმიანობიდან. შეთანხმების მიხედვით, მამკვიდრებლის მიერ ნასესხები თანხა უნდა დაეფარა თ. ფ-ს, რომლის მოთხოვნითაც მემკვიდრემ აუქციონზე შეძენილი ქონება, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 2009 წლის 25 სექტემბერს გადაუფორმა მოპასუხის, თ. ფ-ის ახლობელს, ნ. ბ-ეს, ხოლო იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება 2008 წლის 25 დეკემბერს ჩუქების გზით მემკვიდრემ გადასცა საკუთარ შვილს, ზ. მ-ეს;

2.3. აუქციონზე შეძენილი ქონება ნ. ბ-ემ 2011 წლის 23 თებერვალს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადასცა მოპასუხე თ. ფ-ის სიმამრს, ნ. ნ-ეს, ხოლო ამ უკანასკნელმა კი, 2011 წლის 31 მაისს ჩუქების ხელშეკრულებით აღნიშნული ქონება გადასცა შვილს, მ. ნ-ეს (თ. ფ-ის მეუღლე). აუქციონზე ნაყიდი ქონების სხვადასხვა პირისათვის გადაცემა ხორციელდებოდა სასყიდლის გარეშე;

2.4. 2010 წლის დეკემბრამდე ან გარდაცვლილი მსესხებლის მიერ აღებული ვალი იფარებოდა მისი სახელით, ხოლო 2010 წლის დეკემბრიდან ეს ვალდებულება სრულდებოდა ზ. მ-ის (მ. მ-ის შვილი) სახელით, რომელმაც მიიღო იპოთეკით დატვირთული ქონება და ბანკის მოთხოვნით, მის წინაშე არსებული ვალდებულების შესასრულებლად გააფორმა ახალი სესხის ხელშეკრულება;

2.5. მხარეთა ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, აღებული სესხი იფარებოდა, როგორც მოსარჩელების, ისე მოპასუხეების მიერ. საბოლოოდ, მოპასუხე მხარემ აღარ შეასრულა ფულადი ვალდებულება და დარჩენილმა დავალიანებამ შეადგინა 13 347,65 აშშ დოლარი;

2.6. მოსარჩელებმა გადაიხადეს ბანკის წინაშე დარჩენილი დავალიანება, რითაც უსაფუძვლოდ გამდიდრდნენ მოპასუხეები.

3. მოპასუხეებმა სარჩელზე წარადგინეს შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ, მართალია, მ. მ-ე ერთობლივი საქმიანობიდან გავიდა და მისი დავალიანების გადახდა დაეკისრა თ. ფ-ეს, ასევე, მხარეთა შეთანხმებით განხორციელდა აუქციონზე შეძენილი ქონების სხვა პირების საკუთრებაში გადასვლა, თუმცა მოსარჩელე ყურადღებას არ ამახვილებს იმაზე, რომ მოპასუხემ ნაკისრი ვალდებულება შეასრულა. თ. ფ-ეს ეკუთვნოდა ხელვაჩაურის რაიონში მდებარე სახლი, რომელიც სხვა პირის სახელზე იყო აღრიცხული საკუთრების უფლებით, მან ეს ქონება გაასხვისა მესამე პირზე 30 000 ლარად, რაც, იმ დროს არსებული ვალუტის კურსის შესაბამისად, შეადგენდა 18 181 აშშ დოლარს,

აღნიშნულით კი სრულად გაისტუმრა დავალიანება.

4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თ. ფ-ეს მოსარჩელების სასარგებლოდ დაეკისრა 13 347 აშშ დოლარის გადახდა; მ. ნ-ის მიმართ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

6. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ფ-ემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 3 ივნისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ზ. მ-ისა და ბ. ვ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თ. ფ-ეს მ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 7 667 აშშ დოლარის გადახდა.

9. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე საქმეზე წარდგენილ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები (იხ. წინამდებარე განჩინების 2.1-2.3 პუნქტები). ამავე დროს, სასამართლოს სხდომებზე თავად მოპასუხე თ. ფ-ის არაერთი განმარტების საფუძველზე, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ვინაიდან მ. მ-ეს, თ. ფ-ესა და თ. დ-ეს შორის ერთობლივი საქმიანობა შეწყდა, მხარეთა ზეპირი შეთანხმების მიხედვით, ერთობლივი საქმიანობის საწარმოებლად ბანკიდან აღებული სესხის დაფარვის ვალდებულება 2008 წლის ნოემბრიდან მთლიანად მოპასუხე თ. ფ-ემ იკისრა, რის სანაცვლოდაც მან მიიღო აუქციონზე შეძენილი ქონება (ქ. ..., კ. დასახლებაში მდებარე 5 292 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 768,48 კვ.მ შენობა-ნაგებობა) და მისივე სურვილით აღრიცხა მეუღლის, მ. ნ-ის საკუთრებაში (აღნიშნული ქონება

დღემდე მ. ნ-ის საკუთრებადაა რეგისტრირებული). ფულადი ვალდებულების შესრულება თ. ფ-ემ იკისრა არა უშუალოდ ბანკის, არამედ მ. მ-ის მიმართ, ვინაიდან მ. მ-ე წარმოადგენდა მსესხებლის, ან გარდაცვლილი ზ. მ-ის მემკვიდრეს. სასამართლომ დაადგინა, რომ სესხის თანხის დაფარვა ხდებოდა სხვადასხვა პირთა მიერ (თავად მსესხებლის, მისი შვილის ან ახლობლების სახელით), ხოლო თანხის გამომგზავნი იყო თ. ფ-ე.

10. სააპელაციო სასამართლომ საქმეზე წარდგენილი ი/მ ც-ის აუდიტორული დასკვნით და საბანკო ამონაწერებით დაადგინა, რომ სესხის დაფარვის მიზნით ჯამში გადახდილი იქნა 139 442 აშშ დოლარი. ხოლო 2011 წლის დეკემბრისათვის ბანკის წინაშე დარჩენილი დავალიანება შეადგენდა 30 000 აშშ დოლარს. სასამართლომ ასევე უდავო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ ვინაიდან 2011 წლის ბოლოდან თ. ფ-ე ვერ ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას (ველარ იხდიდა თანხებს), მან ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ... მდებარე, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, საცხოვრებელი სახლი 30 000 ლარად გაყიდა, რაც ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას შეადგენდა 18 182 აშშ დოლარს (1 აშშ დოლარი = 1.65 ლარი). აღნიშნული თანხა გადაეცა მოსარჩელე მ. მ-ეს.

11. სასამართლომ შეაფასა მხარეთა პრეტენზიები – ერთის მხრივ, მოპასუხე თ. ფ-ის მითითება, რომ სოფ. ... არსებული უძრავი ქონების გასხვისებით და აღნიშნული თანხის მ. მ-ისათვის გადაცემით, მან სრულად შეასრულა მ. მ-ის წინაშე არსებული ვალდებულება და, მეორეს მხრივ, მოსარჩელეთა განცხადება, რომ მოპასუხის მიერ შესასრულებელ ვალდებულებას, 30 000 აშშ დოლარს გამოაკლდა ზემოაღნიშნული უძრავი ქონების ნასყიდობის თანხა, 12 500 აშშ დოლარი და დამატებით, თ. ფ-ის მიერ გადახდილი 4 747 აშშ დოლარი.

12. აღნიშნული გარემოებების შესწავლის მიზნით, სააპელაციო სასამართლომ შეაფასა მოცემულ საქმეზე პირველ ინსტანციაში მოწმის სახით დაკითხულ პირთა, ა. ბ-ისა (რომელმაც თ. ფ-ის დისშვილის, ლ. ჯ-ისაგან შეიძინა ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ... არსებული უძრავი ქონება) და ფ. ტ-ის (ა. ბ-ის მეუღლე) ჩვენებები. ა. ბ-ის განმარტებით, თანხის სესხებაზე იყო საუბარი, ბანკში შესატანი თანხის სესხებაზე მას თ. ფ-ესთან შეთანხმებით დაუკავშირდა მ. მ-ე, რომელმაც უთხრა, რომ გადასახდელი იყო თანხა ბანკში, მან ასესხა 12500 აშშ დოლარი, რომლის უზრუნველყოფის მიზნითაც გადაუფორმეს სოფ. ... არსებული სახლი გარანტიის სახით. რადგან ეს თანხა ველარ დაუბრუნეს, ... სახლი დღემდე მის სახელზე რჩება. მ. მ-ე მისი თანდასწრებით სკაიპით ესაუბა თ. ფ-ეს, რომელმაც ითხოვა დახმარება. ამბობდა, რომ აქამდე პირი არ შეურ-

ცხვენია, თანხები პირნათლად შეჰქონდა ბანკში და ამ ვალსაც უპრობლემოდ გაისტუმრებდა, ჰქონდა გასაყიდი მიწის ნაკვეთი და შეჰპირდა, რომ ამ მიწის ნაკვეთის გაყიდვის შემდეგ გადაუხდიდა თანხას, თუ არადა სახლს (რომელიც სოფ. ... ჰქონდა) გადაუფორმებდა და ასეც მოხდა, სახლი გადაუფორმეს და მეორე დღესვე მ. მ-ეს მან მისცა ბანკში შესატანი თანხა, საერთო ჯამში 12 500 აშშ დოლარი. სახლი აღირიცხა მეუღლის, ფ. ტ-ის სახელზე.

13. მონმის სახით დაკითხული ფ. ტ-ის განმარტებით, მის ქმარს მ. მ-ის სესხი შეჰქონდა ბანკში, სულ შეიტანა 12500 აშშ დოლარი, ნდობის სახით გადმოუფორმეს ... სახლი. ვინაიდან გადახდილი თანხა უკან ვერ დაუბრუნეს, სახლი დღემდე მის სახელზე ირიცხება.

14. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ, მართალია, მოსარჩევეები მონმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით ცდილობენ დაამტკიცონ, რომ სოფ. ... მდებარე უძრავი ქონება გაიყიდა 12 500 აშშ დოლარად, რომელიც უნდა გამოკლებოდა მ. მ-ის მიერ დასაფარი სესხის თანხას, თუმცა სასამართლომ საქმეში არსებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ ვინაიდან ხელშეკრულებაში ქონების ნასყიდობის თანხად მითითებულია 30 000 ლარი, რაც იმ დროისათვის შეადგენდა 18 182 აშშ დოლარს, სწორედ აღნიშნული თანხით შემცირდა მ. მ-ის მიმართ თ. ფ-ის დავალიანება და შესაბამისად, მ. მ-ს დარჩენილმა ვალდებულებამ ბანკის წინაშე შეადგინა 11 818 აშშ დოლარი (30 000 აშშ დოლარს – 18 182 აშშ დოლარი = 11 818 აშშ დოლარს). ამასთან, სასამართლომ თავად მოსარჩევე მ. მ-ის განმარტების საფუძველზე დაადგინა, რომ სოფ. ... მდებარე სახლის გაყიდვის შემდგომ თ. ფ-ემ მ. მ-ეს გაუგზავნა 4 747 აშშ დოლარი, შესაბამისად, საერთო ჯამში მოპასუხის მიერ დასაფარი დავალიანება შესადგენდა 7 767 აშშ დოლარს (11818 აშშ დოლარს – 474 აშშ დოლარი = 7 667 აშშ დოლარს).

15. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 940-ე მუხლით და აღნიშნა, რომ ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის სადავო არ არის ის გარემოება, რომ ერთობლივი საქმიანობისათვის შეძენილი ქონების მესაკუთრე გახდა თ. ფ-ე, რომელსაც უნდა დაეფარა ამ ქონების მთლიანი ღირებულება (რა ოდენობის ვალაც მ. მ-ეს ბანკის მიმართ ჰქონდა), ხოლო თ. ფ-ემ ვერ დაადასტურა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ სოფ. ... მდებარე უძრავი ქონების გასხვისებით მიღებული თანხით (მიუხედავად იმისა, თუ რა ფასად გასხვისდებოდა ქონება) იგი სრულად ფარავდა მ. მ-ის წინაშე არსებულ დავალიანებას (რაც მას რჩებოდა ბანკის მიმართ), მოპასუხეს მოსარჩევე მ. მ-ის მიმართ უნდა დაკისრებოდა 7 667 აშშ დოლარის გადახდა (30 000 აშშ დოლარს – 18 182 აშშ დოლარი – 4 747 აშშ დოლარი = 7 667 აშშ დოლარი).

16. რაც შეეხება მოსარჩელებს, ბ. ვ-ეს და ზ. მ-ეს (მ. მ-ის შვილს), სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან ისინი არ წარმოადგენდნენ ერთობლივი საქმიანობის მონაწილეებს, მათ წინაშე თ. ფ-ეს არანაირი ვალდებულება არ გააჩნდა, შესაბამისად, არ არსებობდა წარდგენილი სარჩელის მათ სასარგებლოდ დაკმაყოფილების საფუძველი.

17. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა, მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

### **18. საკასაციო საჩივარი ემყარება შემდეგ გარემოებებს:**

18.1. საპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სოფ. ... მდებარე უძრავი ქონების გასხვისებიდან მოსარჩელებმა მიიღეს 18 181 აშშ დოლარი, მაშინ როდესაც მოწმეთა ჩვენებები უტყუარად ადასტურებენ, რომ ქონება გაიყიდა არა 18 181, დოლარად, არამედ 12 500 აშშ დოლარად. სასამართლო არ ასაბუთებს, თუ რატომ არ გაიზიარა აღნიშნული ჩვენებები და მოსარჩელეთა განმარტებები ამ საკითხზე. ამასთან, სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოებაც, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ნასყიდობის თანხა, 30 000 აშშ დოლარი ჩანერილი იქნა თავად თ. ფ-ის მითითებით.

18.2. სასამართლომ, მართალია, დაადგინა, რომ მოსარჩელები ზ. მ-ე და ბ. ვ-ე წარმოადგენდნენ მ. მ-ის ოჯახის წევრებს, თუმცა თ. ფ-ე უსაფუძვლოდ არ მიიჩნია მათ მიმართ პასუხისმგებელ პირად მაშინ, როდესაც თ. ფ-ემ პასუხისმგებლობა აიღო არა მხოლოდ მ. მ-ის, არამედ ზ. მ-ისა და ბ. ვ-ის მიმართაც, მითუმეტეს, რომ ბოლოს დარჩენილი სესხის თანხა დაფარული აქვს მთლიანად ზ. მ-ესა და ბ. ვ-ეს;

18.3. სასამართლომ მხარეთა შორის არასწორად გაანაწილა სახელმწიფო ბაჟის თანხა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ ნაცვლად 1 198,19 ლარისა, დააკისრა 599.34 ლარი. კერძოდ, მოსარჩელები სარჩელით ითხოვდნენ მოპასუხისათვის 13 347,65 ლარის დაკისრებას, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა ნაწილობრივ 57,44%-ით – ნაცვლად მოთხოვნილი 13 347,65 აშშ დოლარისა მოპასუხეს დააკისრა 7667 აშშ დოლარის გადახდა. შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად მოსარჩელეთა მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 2086 ლარიდან მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა 1 198,19 ლარის გადახდა;

18.4. სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა იურიდიული მომსახურეობისათვის განეული ხარჯის 500 ლარის მოპასუხეთათვის დაკისრების თაობაზე.

19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2017 წლის 27 თებერვლის განჩინებით მოსარჩელეთა საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 12 იანვრის განჩინებით მ. მ-ის, ზ. მ-ისა და ბ. ვ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე იმ ნაწილში, რომლითაც თ. ფ-ეს მ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 599.34 ლარის გადახდა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის სანაცვლოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ცნობილ იქნა დასაშვებლად, ხოლო გადაწყვეტილების დანარჩენ ნაწილზე, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

21. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა რა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები, სასამართლო ხარჯების მხარისათვის ანაზღაურების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, მიიჩნევს, რომ საკასაციო პრეტენზია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამ ნაწილზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

22. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავი ეხება პროცესის ხარჯებს. კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით განმარტებულია, თუ რას შეადგენს თითოეული მათგანი, კერძოდ, სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, ხოლო, სასამართლოსგარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

23. მოგებული მხარის სასარგებლოდ წაგებული მხარისათვის პროცესის ხარჯების დაკისრების სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია საპროცესო კოდექსის 53-ე და 54-ე მუხლებში. კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამარ-

თლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

24. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელები სარჩელით ითხოვდნენ მოპასუხეთათვის თანხის, 13 347 აშშ დოლარის გადახდის დაკისრებას, რაც ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თ. ფ-ეს მ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 7 667 აშშ დოლარის გადახდა. ამავ გადაწყვეტილებით სასამართლომ იმსჯელა მხარეთა შორის პროცესის ხარჯების განაწილების თაობაზეც და სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დააკისრა 599.34 ლარის გადახდა.

25. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორების პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ მხარეთა შორის არასწორად განაწილა პროცესის ხარჯები (სახელმწიფო ბაჟი) და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დააკისრა იმაზე ნაკლები თანხა, ვიდრე მას დაკმაყოფილებული მოთხოვნის პროპორციულად ეკუთვნოდა.

26. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სააპელაციო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ – სარჩელით მოთხოვნილი თანხის, 13 347 აშშ დოლარის ნაცვლად მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დააკისრა 7 667 აშშ დოლარი, ანუ სარჩელი დაკმაყოფილდა 57,44%-ით.

27. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელეთა მიერ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილია 824 ლარი, ხოლო სააპელაციო საჩივარზე 1262,38 ლარი, საერთო ჯამში 2086,38 ლარი.

28. ამრიგად, იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა 57,44%-ით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1 მუხლის შესაბამისად სასამართლოს წაგებული მხარისათვის (მოპასუხისათვის) მოგებული მხარის (მოსარჩელის) სასარგებლოდ უნდა დაეკისრებინა მის მიერ გაღებული სა-

სამართლო ხარჯის ანაზღაურება სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად (57,44%-ის გათვალისწინებით), რაც მოცემულ შემთხვევაში შეადგენს 1 198,41 ლარს (2086,38-ის 57,44% = 1198,41). ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოსარჩელეთა მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის სანაცვლოდ მოპასუხისათვის 599.34 ლარის დაკისრების თაობაზე გამოტანილია კანონის დარღვევით.

29. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

30. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, რის გამოც, საკასაციო პალატა უფლებამოსილია, თავად გადაწყვიტოს დავა.

31. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს იმ ნაწილში, რომლითაც თ. ფ-ეს მ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 599.34 ლარის გადახდა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის სანაცვლოდ და ახალი გადაწყვეტილებით თ. ფ-ეს მ. მ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 1 198.41 ლარის გადახდა მ. მ-ის, ზ. მ-ისა და ბ. ვ-ის მიერ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის სანაცვლოდ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. მ. მ-ის, ზ. მ-ისა და ბ. ვ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომლითაც თ. ფ-ეს მ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 599.34 ლარის გადახდა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის სანაცვლოდ დაკმაყოფილდეს;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

პალატის 2016 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტის შეცვლით მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

3. თ. ფ-ეს მ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 1198.41 ლარის გადახდა მ. მ-ის, ზ. მ-ისა და ბ. ვ-ის მიერ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის სანაცვლოდ;

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის დანარჩენი პუნქტები დარჩეს ძალაში;

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **სასამართლო სარჯების განაწილება მხარეთა შორის**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

№ას-543-543-2018

22 თებერვალი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:**

1.1. ვ. ნ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორის მონინაალმდგევე მხარე ან დასაქმებული) სარჩელი აღძრა სასამართლოში ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტის მონინაარმდგევე მხარე, კასატორი, ცენტრი ან დამსაქმებელი) მიმართ და მოითხოვა შრომითი ურთიერთობის მოშლის შესახებ დამსაქმებლის 2015 წლის 8 ივნისის №88 ბრძანების (შემდგომში – გათავისუფლების შესახებ ბრძანება) ბათილად ცნობა, ცენტრის ნ-ოს ფილიალის მენეჯერის თა-

ნამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის სახით თვეში 175 ლარის ანაზღაურება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2010 წლის 5 იანვარს 2010 წლის 31 მაისამდე მხარეთა შორის გაფორმდა №20 შრომითი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელე დაინიშნა ცენტრის ნ-ოს ფილიალის მენეჯერის თანამდებობაზე. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, მოსარჩელემ გააგრძელა საქმიანობა ამავე პოზიციაზე 2015 წლის 8 ივნისამდე. 2015 წლის 16 ივნისს მას ჩაბარდა დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე სადავო ბრძანება. აღნიშნული ბრძანება არ შეიცავდა შრომითი ურთიერთობის მოშლის დასაბუთებას, ამიტომ 2015 წლის 20 ივნისს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა მოპასუხეს და მოითხოვა გათავისუფლების წერილობითი დასაბუთება. დამსაქმებლის №41 წერილით მას განემარტა, რომ დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლდა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხოლო, საფუძვლად ცენტრმა მიუთითა 2010 წლის 5 იანვარს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების 4.1. ქვეპუნქტის დარღვევა (უთანხმოება დასაქმებულსა და მის თანამშრომლებს შორის), ასევე, 2015 წლის 9 მაისს ფილიალში ჩატარებული ღონისძიების არაორგანიზებულიობა, რაც უსაფუძვლოა და ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

## **2. მოპასუხის პოზიცია:**

მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლთ მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ მოსარჩელესთან ხელშეკრულება მოიშალა დასაქმებულის მიერ ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებითა და შრომის შინაგანანხსით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევის გამო, კერძოდ, 2015 წლის 9 მაისს სოფელ ნ-ში დაგეგმილი ღონისძიებები ჩატარდა ხარვეზებით, ფილიალში იყო უნესრიგობა. ამასთან მოსარჩელეს თანამშრომლებთან ჰქონდა სისტემატური უთანხმოება, რის თაობაზე არაერთხელ მიეცა გაფრთხილება და განემარტა მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები. შრომითი ხელშეკრულების 4.1. პუნქტის თანახმად, დაქირავებულის საქმიანობა წარმოადგენს ძირითად საქმიანობას. სამუშაო დროის ფარგლებში სხვა ორგანიზაციაში საქმიანობა შეთავსებით დაქირავებულს შეუძლია მხოლოდ დამქირავებლის წერილობითი თანხმობის საფუძველზე. მოსარჩელე ასევე მუშაობდა ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის წრის ხელმძღვანელად.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 22 ნოემბრის გა-

დანყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

#### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დასაქმებულმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

#### **5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი დამსაქმებლის 2015 წლის 8 ივნისის №88 ბრძანება და მოსარჩელე აღდგენილ იქნა ცენტრის ნ-ოს ფილიალის მენეჯერის თანამდებობაზე, დამსაქმებელს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2015 წლის 8 ივნისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 180 ლარის ოდენობით, მასვე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 553.60 ლარის, ხოლო, მოსარჩელის სასარგებლოდ – 150 ლარის გადახდა.

#### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტის მონინალმდეგე მხარემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძველები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

**1. პროცესის ხარჯების განსაზღვრის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

**1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები (კასატორის პრეტენზიები):**

1.1.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 იანვრის განჩინებით ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის საკასაციო საჩივარი პროცესის ხარჯების განსაზღვრის ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხოლო, დანარჩენ ნაწილში, რო-

გორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად, შესაბამისად, წინამდებარე გადაწყვეტილების ფარგლებიც მხოლოდ ხარჯების განსაზღვრის კანონიერებას შეეხება.

1.1.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), სასამართლო იმსჯელებს კასატორის შემდეგი პრეტენზიების საფუძვლიანობაზე:

1.1.3. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაცია, ცენტრი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, რაც არ გაითვალისწინა სასამართლომ;

1.1.4. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და დავის საგნის ფასი განსაზღვრა 3 წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ერთობლიობით, რაც არასწორია, რადგანაც დასაქმებულის გათავისუფლებიდან არ იყო გასული სამი წელი, ის გათავისუფლდა 2015 წლის 8 ივნისს და ხელფასი შეადგენდა 180 ლარს, შესაბამისად, დავის საგნის ღირებულება 5 400 ლარს, ხოლო ამ თანხის 4% – 216 ლარს შეადგენდა. სააპელაციო პალატამ კი, ნაცვლად ხსენებულისა, დავის საგნის ღირებულება განსაზღვრა 6 480 ლარით, ხოლო სახელმწიფო ბაჟის ოდენობა – 553,60 ლარით, რაც არასწორია.

## **1.2. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი, სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

1.2.1. მოსარჩელე სამუშაოდან გათავისუფლდა 2015 წლის 8 ივნისიდან;

1.2.2. დასაქმებულის შრომის ანაზღაურება შეადგენდა თვეში 180 ლარს;

1.2.3. სარჩელი სასამართლოში აღძრულია 2015 წლის 31 ივლისს, სააპელაციო საჩივარი კი – 2016 წლის 30 დეკემბერს;

1.2.4. დასაქმებულის მოთხოვნას წარმოადგენდა გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება;

1.2.5. პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას მოსარჩელეს გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა, ხოლო, სააპელაციო საჩივარზე მან ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადა 150 ლარი.

1.2.6. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად (საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები – სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან), მოსარჩელე შრომის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში გათავისუფლებულია სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორებისაგან;

### **1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:**

1.3.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. განსახილველი ნორმიდან გამომდინარე, საპროცესო წესების დარღვევის თვალსაზრისით საკასაციო საჩივრის წარმატებას განაპირობებს კასატორის მხრიდან არა მხოლოდ ამ დარღვევაზე მითითება, არამედ, სასამართლომ უნდა დაადგინოს შედეგობრივად იქონია თუ არა გავლენა გადაწყვეტილების კანონიერებაზე ამ დარღვევამ.

1.3.2. საკასაციო პალატა უარყოფს კასატორის პოზიციას, რომ ის სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ კანონის საფუძველზე გათავისუფლებული. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ყველა საქმეზე თავისუფლდებიან დანესებულებები (ორგანიზაციები), რომელთა ხარჯები ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან. დასახელებული ნორმის საფუძველზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ორგანიზაციის გათავისუფლების უალტერნატივო წინაპირობაა ის გარემოება, რომ ორგანიზაციის დაფინანსების ერთადერთ წყაროს უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფო ბიუჯეტი. საქმეში წარმოდენილი ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის წესდების 5.15 პუნქტის თანახმად, ცენტრის საქმიანობის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა შესაძლებელია მოხდეს დამფუძნებლის დაფინანსებით, მიზნობრივი, საქველმოქმედო ან ნებაყოფლობითი შენატა-

ნებით, საკუთარი საქმიანობით მიღებული შემოსავლებით და სხვა ნებისმიერი წყაროდან მიღებული შემოსავლებით, რომელიც არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით. წესდებით გათვალისწინებული მითითებული დაშვებიდან გამომდინარეობს, რომ კასატორი ორგანიზაცია, გარდა სახელმწიფო ბიუჯეტისა, შეიძლება დაფინანსებას სხვა წყაროდანაც იღებდეს, ამასთანავე, არ არის წარმოდგენილი რაიმე დოკუმენტი, რომელიც ამგვარი შემოსავლის მიღებას გამორიცხავს, შესაბამისად, კასატორის ხსენებული არგუმენტი უსაფუძვლოა.

1.3.3. რაც შეეხება უშუალოდ დაკისრებული თანხის ოდენობასა და მისი გამოთვლის წესს, პალატა ამ ნაწილში იზიარებს კასატორის პრეტენზიას და მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ და „კ“ ქვეპუნქტების, ასევე, მე-2 ნაწილის დისპოზიციასზე, რომელთა თანახმადაც, ვადიანი გასაცემის ან გადასახდელის შესახებ სარჩელის ფასი განისაზღვრება არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხების ერთობლიობით. 4 000 ლარს შეადგენს იმ სარჩელის ფასი, როდესაც შეუძლებელია მისი დავის საგნის ღირებულების განსაზღვრა. თუ არაქონებრივ დავასთან ერთად განიხილება მისგან წარმოშობილი ქონებრივ-სამართლებრივი დავა, დავის საგნის ფასი განისაზღვრება უფრო მაღალი ღირებულების მოთხოვნის მიხედვით.

1.3.4. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ გათავისუფლებიდან სარჩელის აღძვრამდე გასული პერიოდი შეადგენს 2 თვეს, შესაბამისად, ქონებრივი თვალსაზრისით პირველი ინსტანციის წესით განხილვისას დავის საგნის ღირებულება უნდა შეფასებულიყო 4 000 ლარით, რომელიც აღემატება ქონებრივი დავის ღირებულებას (180X2), ხოლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა პირველი ინსტანციის სასამართლოში უნდა განსაზღვრულიყო ამ თანხის 3%-ით – 120 ლარით, რომელიც გადავადებული აქვს მოსარჩელეს. სააპელაციო საჩივრის წარდგენის დროისათვის დასაქმებულის გათავისუფლებიდან გასული იყო 18 თვე, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის ღირებულება ასევე უნდა განსაზღვრულიყო 4 000 ლარით, რადგანაც არც ამჯერად აღემატებოდა ქონებრივი დავის ღირებულება კანონით გათვალისწინებულ ოდენობას (180X18), ხოლო სააპელაციო საჩივარზე გადასახდელი ბაჟი, ზემოხსენებული ნორმის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად – 160 ლარით, საიდანაც 150 ლარი ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი ჰქონდა აპელანტს.

1.3.5. საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე და 55-ე მუხლებზე და მათი ანალიზის შედეგად გან-

მარტავს, რომ მოგებული მხარის სასარგებლოდ წაგებულ მხარეს ეკისრება იმ ხარჯების გადახდა, რომელიც წინასწარ იყო გაღებული. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, წაგებული მხარე გათავისუფლებულია თუ არა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. რაც შეეხება ბიუჯეტს, წაგებულ მხარეს, თუ ის არ არის ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორებისაგან გათავისუფლებული, ეკისრება მის წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნის პროპორციულად იმ ხარჯის გადახდა, რომლისგანაც გათავისუფლებული იყო მოსარჩელე. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან სააპელაციო პალატამ სრულად დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნები, მოპასუხეს ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადავადებული ბაჟის სახით 120 ლარის, ხოლო, სააპელაციო საჩივარზე გადასახდელი ბაჟიდან დამატებით 10 ლარის გადახდა.

1.3.6. რაც შეეხება სააპელაციო საჩივარზე აპელანტის მიერ წინასწარ გადახდილ 150 ლარს, ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერია და იგი სწორად დაეკისრა დამსაქმებელს დასაქმებულის მიმართ.

#### **1.4. ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საკასაციო პალატა სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორების ნაწილში აუქმებს გასაჩივრებულ გადანყვეტილებას და ვინაიდან არ არსებობს საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ამავე კოდექსის 411-ე მუხლის (საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები) თანახმად, თავად იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე: ზემოთ განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ კასატორს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 130 ლარის გადახდა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტის შეცვლით მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

2.1. კასატორ ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრს (ს/კ №426521784) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №., სახაზინო კოდი ..) დაეკისროს 130 ლარის გადახდა.

3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო**

№ას-477-477-2018

12 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** სხეულის დაზიანების შედეგად მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:**

1.1. ი. მ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, პირველი კასატორი ან კრედიტორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. ხ-ისა და ა. ა-ის (შემდგომში – პირველი და მეორე მოპასუხე, აპელანტის მონინალმდებელ მხარეები, ლ. ხ-ი ასევე წოდებული, როგორც მეორე კასატორი ან მოვალე) მიმართ და მოითხოვა სხეულის დაზიანების შედეგად გამონვეული მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად მოპასუხეებისათვის 3 181.79 ლარისა და მორალური ზიანის საკომპენსაციოდ – 2 000 ლარის დაკისრება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2015

წლის 10 ივლისს გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მ-ოში მოსარჩელეს საცხოვრებელ სახლში მიუცვივდნენ მოპასუხეები. პირველმა მოპასუხემ მოსარჩელეს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, ხოლო მეორემ – მის ქალიშვილს. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 10 დეკემბრის განაჩენით მოპასუხეები ცნობილ იქნენ დამნაშავეებად და თითოეულს მიესაჯა 1 000-1 000-ლარიანი ჯარიმა. მომხდარმა ინციდენტმა ძლიერ იმოქმედა მოსარჩელეზე, ნერვიულობის ნიადაგზე დაეწყო გულის შეტევები. 2015 წლის 4 აგვისტოს გახდა ცუდად და მოხვდა საგარეჯოს მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრში, სადაც დაუდგინეს მწვავე ინფარქტი და ვინაიდან მდგომარეობა იყო სერიოზული, სასწრაფო დახმარების მანქანით გადაიყვანეს შპს „კ-ში“, სადაც 5 აგვისტოდან 7 აგვისტოს ჩათვლით იმყოფებოდა. დაზარალებულს ჩაუტარდა გამოკვლევა და შესაბამისი მკურნალობა, გაუკეთდა გულის სტენტირება, მიეცა დანიშნულება და გაეწერა ბინაზე. მკურნალობის ხარჯმა შეადგინა 3 181 ლარზე მეტი. მოპასუხეთა მხრიდან განხორციელებული ფიზიკური შეურაცხყოფის შედეგად მოსარჩელეს ასევე მიადგა მორალური ზიანი: სრულიად ჯანსაღ ადამიანს გაურთულდა ჯანმრთელობა, დაკარგა შრომისუნარიანობა და შეუმცირდა შრომითი შემოსავლები, მიიღო ფიზიკური და სულიერი ტრავმა.

## **2. მოპასუხეების პოზიცია:**

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მის წინააღმდეგ მარტივი შედავება წარადგინეს, შესაგებლის თანახმად, 2015 წლის 26 ოქტომბერს მოსარჩელე სისხლის სამართლის საქმეზე ცნობილ იქნა დაზარალებულად, მასვე განემარტა საკუთარი უფლება-მოვალეობები და იმავე დღეს დაიკითხა დაზარალებულის სტატუსით. მის ავადმყოფობასთან მოპასუხეთა ქმედებებს კავშირი არ ჰქონდათ. სარჩელი დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნას ემყარება, ხოლო მას არ ერთვის სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების დამადასტურებელი მტკიცებულებები. რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ საპროცესო დოკუმენტს, ბუნებრივია, იგი არ წარმოადგენს წინასწარ განსაზღვრული იურიდიული ძალის მქონე მტკიცებულებას, რადგანაც, ეს უკანასკნელი სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმის მასალებთან ერთად.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

## **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით

გაასაჩივრა დაზარალებულმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

**5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც პირველ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის – 1 000 ლარის, ასევე, იურიდიული მომსახურების ხარჯის – 600 ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

**6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით იურიდიული მომსახურების ხარჯის განსაზღვრა.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, კასატორის პრეტენზიები და მიიჩნევს, რომ პროცესის ხარჯების განსაზღვრის ნაწილში საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

**1. პროცესის ხარჯების განსაზღვრის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. პალატა უპირველესად აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 იანვრის განჩინებით მოპასუხის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, ხოლო პროცესის ხარჯების განსაზღვრის ნაწილში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად – დასაშვებად, შესაბამისად, წინამდებარე გადაწყვეტილების ფარგლებში, შეფასების საგანს წარმოადგენს პროცესის გარეშე ხარჯის, კერძოდ, იურიდიული მომსახურებისათვის მოგებული მხარის მიერ გაღებული თანხის მოპასუხისათვის დაკისრების მართლზომიერება.

1.2. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა რა სარჩელი, ლ. ხ-ს ი. მ-ის სასარგებლოდ, მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით დააკისრა 1 000

ლარის გადახდა. ამავე გადაწყვეტილებით, სასამართლომ გაიზიარა აპელანტის შუამდგომლობა იურიდიული დახმარებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურების თაობაზე და მისი ოდენობა 600 ლარით განსაზღვრა იმგვარად, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის გამოყენების მიუხედავად, დაეყრდნო მხოლოდ საქმეში წარმოდგენილ ხელშეკრულებასა და მის შესაბამისად გადარიცხულ თანხას. სააპელაციო სასამართლოს ხსენებულ დასკვნებს, ასევე, სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის გამოყენებას არ ეთანხმება კასატორი და მიიჩნევს, რომ საპროცესო წესებით დადგენილი იურიდიული დახმარების ცენზიდან გამომდინარე, მას მოგებული მხარის სასარგებლოდ, შეუსაბამოდ დიდი თანხის გადახდა დაეკისრა.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე ნორმის მე-3 ნაწილის თანახმად კი, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

1.4. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის შედაგებას პროცესუალური ნორმების დარღვევის თაობაზე და აღნიშნავს, რომ მართალია, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლი, რომელიც დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის წესს ადგენს და რომლის წინაპირობები, მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არაა, თუმცა, ეს გარემოება არ წარმოადგენს კასატორის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს, არამედ, ქვემდგომმა სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულება. ამ საკითხთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს:

1.4.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავი ეძღვნება პროცესის ხარჯებს. კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები. იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით განმარტებულია, თუ რას შეადგენს თითოეული მათგანი, კერძოდ, სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, ხოლო სასამართლოსგარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები. მოგებული მხარის სასარგებლოდ, წაგებული მხა-

რისათვის პროცესის ხარჯების დაკისრების სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია საპროცესო კოდექსის 53-ე და 54-ე მუხლებში. ზოგადი პრინციპი ასეთია – იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. უშუალოდ იურიდიული მომსახურების ხარჯის ანაზღაურება მოწესრიგებულია საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადებით და დადგენილია, რომ იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით – 2 000 ლარამდე ოდენობით.

1.4.2. პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმოდგენილი იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებისა და მინდობილობის თანახმად (იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით სამოქალაქო კოდექსის 907-ე მუხლით გათვალისწინებული გარიგებაა, რომელიც ფორმათავისუფალია და შეიძლება დაიდოს, როგორც წერილობით, ისე – ზეპირი ფორმით. ამავე კოდექსის 710-ე მუხლის თანახმად კი, მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო მხოლოდ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. გასამრჯელო ჩაითვლება უსიტყვოდ შეთანხმებულად, თუ გარემოებათა მიხედვით მოქმედების შესრულება მხოლოდ გასამრჯელოთი არის მოსალოდნელი. თუ გასამრჯელოს ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ რაიმე ნიხრის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სანიხრო გასამრჯელო, ისევე, როგორც ნიხრის არარსებობისას – ჩვეულებრივი გასამრჯელო), მოსარჩელის ინეტერესებს „ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საქმეზე“ იცავდა ადვოკატი ე. გ-ა. იურიდიული მომსახურების საფასური განსაზღვრულია 600 ლარით. სხვა დამატებითი შეთანხმება კლიენტსა და ადვოკატს შორის საქმეში არ მოიპოვება, ამასთანავე, არც ეს ხელშეკრულება შეიცავს დათქმას მისი მოქმედების რომელიმე ინსტანციის სასამართლოთი შემოფარგვლის თაობაზე. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება და მის საფუძველზე გადახდილი თანხა მოიცავდა სამივე ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვას და დასტურდება ადვოკატის მომსა-

ხურებისათვის მოგებული მხარის მიერ გაღებული ხარჯის მოთხოვნის წინაპირობის არსებობა.

**1.5. რაც შეეხება ასანაზღაურებელი თანხის ოდენობას, პალატა მისი განსაზღვრის მიზნით ყურადღებას შემდეგ საკითხებზე გაამახვილებს:**

1.5.1. განსახილველი დავის საგანი მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურებაა. ამ კატეგორიის დავის საგნის ღირებულება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განისაზღვრება მოთხოვნილი თანხის ოდენობით, ხოლო ადვოკატის ხარჯის განსაზღვრისას, ამავე კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სარჩელის მოგებული ნაწილის 4%-ით, რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, 40 ლარია ( $1\ 000 \times 4\% = 40$ ).

1.6. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას იურიდიული მომსახურების ხარჯების ლ. ხ-ისათვის დაკისრების ნაწილში და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, თავად იღებს გადაწყვეტილებას. ზემოთ განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორს, მოსარჩელის სასარგებლოდ, იურიდიული მომსახურების ხარჯის სახით უნდა დაეკისროს 40 ლარის გადახდა.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

**გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. ლ. ხ-ის საკასაციო საჩივარი იურიდიული მომსახურების ხარჯების განსაზღვრის ნაწილში დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტის შეცვლით მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება:

2.1. ლ. ხ-ს (პ/№...) ი. მ-ის (პ/№...) სასარგებლოდ დაეკისროს 40 ლარის გადახდა.

3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 2. სასამართლო შეტყობინება და დაბარება

### სასამართლო უწყების შინაარსი

#### განჩინება

#### საქართველოს სახელმწიფო

№ას-1704-2018

17 ივლისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. საქალაქო სასამართლოს დაუსრულებელი გადაწყვეტილება

1.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 ოქტომბრის დაუსრულებელი გადაწყვეტილებით (მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო), სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (შემდგომი: მოსარჩელე, შეგებებული სარჩელით მოპასუხე ან ექსპერტიზის ბიურო) სარჩელი დაკმაყოფილდა; ა. გ-იას (შემდგომი: მოპასუხე, შეგებებული სარჩელით მოსარჩელე, დამკვეთი, აპელანტი ან კასატორი) მოსარჩელის სასარგებლოდ 145 ლარის გადახდა დაეკისრა; მოპასუხის 2013 წლის 6 დეკემბრის შეგებებული სარჩელი ექსპერტიზის ბიუროსათვის დამკვეთის სასარგებლოდ 85 000 აშშ დოლარის, 19 000 ლარისა და მორალური ზიანის – 20 000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

1.2. დაუსრულებელი გადაწყვეტილების მიხედვით, 2013 წლის 2 აგვისტოსთვის, როდესაც მოპასუხემ მიმართა ექსპერტიზის ბიუროს, ბიუროს საქმიანობა რეგულირდებოდა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №255 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით. საექსპერტო მომსახურების ღირებულება განისაზღვრებოდა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის №171 დადგენილებით დამტკიცებული ექსპერტიზის ბიუროს მომსახურების ტარიფებით. ბიურო უფლებამოსილი იყო და დღესაც გააჩნია აღნიშნული უფლებამოსილება, ცალკე პირთა მიმართვის საფუძველზე ჩაეტარებინა გამოკვლევა მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების ან ხელობის დარგში საჭირო გარემოებების დასადგენად. 2013 წლის 2 აგ-

ვისტოს №1004209813 განცხადებისა და №2000737413 ხელშეკრულების საფუძველზე, 2013 წლის 19 სექტემბერს მომზადდა №004209813 ექსპერტის დასკვნა, რომლის ღირებულების საფასურმაც შეადგინა 145 ლარი. დამკვეთმა წერილობით მიმართა მოსარჩელეს 2013 წლის 2 აგვისტოს. იმ პერიოდში მომსახურების ტარიფი განისაზღვრებოდა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის №171 დადგენილებით დამტკიცებული ბიუროს მომსახურების ტარიფებით. განეული საექსპერტო მომსახურების სატარიფო კოდები არის 53-ე (აუდიო ან ვიდეო ჩანაწერის აუდიტორული და აკუსტიკური ანალიზი), ფონოგრამის ვარგისიანობის დადგენა კვლევითის, ფონოგრამაზე დაფიქსირებული მეტყველების ხასიათის (კითხვითი თუ ზეპირი მეტყველება) ხანგრძლივობის, დიქტორის სქესის და რაოდენობის, აკუსტიკური ხელშეშლათა ხასიათის და დონის შეფასება, ჩანაწერის დამზადების დროის დადგენა, (ერთი ფონოგრამა 45 ლარი) და 56-ე (აუდიო ჩანაწერზე მონტაჟის ნიშნის დადგენა, ჩანაწერის დამზადების მეთოდის დადგენა 10 წუთის ჩათვლით 100 ლარი ყოველი დამატებითი წუთი +10 ლარი). განეული მომსახურების საერთო ფასმა შეადგინა 145 ლარი, რაც მოპასუხეს არ გადაუხდია. ამდენად, დამკვეთის დავალიანება ექსპერტიზის ბიუროს მიმართ შეადგენდა 145 ლარს.

1.3. 2017 წლის 27 ოქტომბერს 12:00 საათზე დანიშნულ სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე.

1.4. სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ იშუამდგომლა საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების და სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

1.5. სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომი: სსსკ) 70-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, 230-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 229-ე მუხლზე, 230-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და აღნიშნა, რომ სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები, იურიდიულად ამართლებს სარჩელის მოთხოვნას. ამასთან, არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რაც გათვალისწინებულია სსსკ-ის 233-ე მუხლით, რის გამოც მიღებულ უნდა იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ და სსსკ-ის 229-ე მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით მიღებული უნდა იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

## **2. მოპასუხის საჩივარი**

2.1. მოპასუხემ გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება მისი გაუქმებისა და საქმის განხილვის გა-

ნახლების მოთხოვნით.

### **3. საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 26 დეკემბრის განჩინება**

3.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 დეკემბრის განჩინებით მოპასუხის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და დაუსწრებელი გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.

3.2. სსსკ-ის 233-ე მუხლზე მითითებითა და განსახილველ შემთხვევაში საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ, სასამართლო გზავნილით სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მოპასუხისათვის ჯერ კიდევ 2017 წლის 16 აგვისტოს ცნობილი იყო იმის თაობაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო საქმეზე დანიშნული იყო საქმის განხილვა 2017 წლის 27 ოქტომბერს 12:00 საათზე.

3.3. მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლის 26 სექტემბერს მოცემული საქმე ლ. მ-სგან გადაენერა სხვა მოსამართლეს, არ შეცვლილა საქმის განხილვის თარიღი, ხოლო დარბაზის ცვლილების თაობაზე კი სხდომის მდივნის მიერ 23-ე დარბაზთან გაკეთებული იქნა განცხადება, ასევე, პროცესის დაწყების წინ რამდენჯერმე იქნენ მხარეები გამოძახებული 27-ე დარბაზში, მათ შორის მდივნის მიერ უშუალოდ №23-ე დარბაზთანაც იქნა მოკითხული მხარე, თუმცა უშედეგოდ. იმის გათვალისწინებით, რომ დარბაზებს შორის არცთუ დიდი დაშორებაა, სასამართლოს შეეძლო და სრულად უზრუნველყო კიდევ მოპასუხის მონაწილე სასამართლო სხდომაზე. უფრო მეტიც, სასამართლო სხდომა დაახლოებით 20-წუთიანი დაგვიანებით დაიწყო და მითითებულ დროს შეგებებული სარჩელით მოსარჩელის მიერ არ ყოფილა რაიმე სახის შეტყობინება დაფიქსირებული არც ახალი მოსამართლის კოლეგიის შემადგენლობისა და არც ძველი კოლეგიის შემადგენლობის მიმართ. სხდომის შემდეგ მოპასუხეს (შეგებებული სარჩელის ავტორს) არც მოსამართლე ლ. მ. სახელზე დაუწერია რაიმე სახის განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი, როგორც მხარე, გამოცხადდა დანიშნულ დროს სხდომის დარბაზთან და მისთვის გაურკვეველი მიზეზის გამო არ ჩატარდა სხდომა. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებულ დღეს ანუ 2017 წლის 27 ოქტომბერს სრულად ჩატარდა ყველა ის პროცესი, რომელიც სასამართლოს მიერ იყო დანიშნული, მიუხედავად საქმეზე წინამორბედი მოსამართლის ცვლილებისა და იმ საფუძველით, რომ შეიცვალა საქმის განმხილველი მოსამართლე და სხდომის დარბაზი, არც სასამართლოს და არც მხარეებს არ შექმნიათ პრობლემა სხდომების ჩატარების თაობაზე.

3.4. ასევე, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხეს 2017 წლის 27 სექტემბერს სასამართლოში განცხადება აქვს შეტანილი, სა-

დაც მითითებულია, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მოპასუხე 2017 წლის 27 ოქტომბერს ვერ გამოცხადდებოდა სხდომაზე, რაც, სასამართლოს შეფასებით, საფუძვლიან ვარაუდს ქმნიდა, რომ მხარე პროცესზე არ გამოცხადდებოდა. რაც შეეხება სასამართლოს ვალდებულებას, რომ საქმის განმხილველი მოსამართლის ცვლილების შესახებ, მის წარმოებაში არსებულ ყველა საქმეზე, ყველა მხარეს სავალდებულო წესით ეცნობოს, უსაფუძვლოა და ასეთს არც მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა განცხადება ან/და შუამდგომლობა წინამორბედი მოსამართლის სახელზე იყოს შედგენილი, აღნიშნულით არ ირღვევა მხარის უფლება, ვინაიდან სასამართლო კანონით დადგენილი წესით იხილავს ასეთ შუამდგომლობებს, მიუხედავად მისი ადრესატი მოსამართლისა (ანუ მოსამართლის ვინაობისა).

#### **4. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი**

4.1. აპელანტმა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი უცვლელად დატოვების შესახებ გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად მიუთითა იმ გარემოებებზე, რომ მისთვის ცნობილი არ იყო დარბაზის ცვლილება, ასევე მოსამართლის ცვლილება და აღნიშნულ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმებულიყო სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნტების საფუძველზე.

#### **5. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები**

5.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ივნისის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

5.2. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები.

#### **6. მოპასუხის საკასაციო საჩივრის საფუძვლები**

6.1. მოპასუხემ (აპელანტმა) საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება მისი გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების მოთხოვნით.

6.2. კასატორის განმარტებით, 2017 წლის 27 ოქტომბერს 12:00 საათზე იგი გამოცხადდა თბილისის საქალაქო სასამართლოში უწყებაში მითითებულ მოსამართლესთან და სხდომის დარბაზთან. უწყებაში მითითებული იყო მოსამართლე მამაკაცის სახელი და გვარი, დარბაზში კი ქალბატონი მოსამართლე იმყოფებოდა, რომელსაც თურმე განსახილველად გადაენერა საქმე, რის შესახებაც მოპასუხემ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების შემდეგ შეიტყო.

6.3. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯე-

ლობას მოსამართლის ცვლილების შესახებ მხარეთათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების არარსებობის თაობაზე და აღნიშნავს, რომ თავად მხარესაც არ ავალდებულებს კანონი საქმის განხილვასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების შესახებ ინფორმაცია თავისი ინიციატივით მოიპოვოს.

6.4. კასატორმა განმარტა, რომ მისი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, რის თაობაზეც წინასწარ აცნობა სასამართლოს, იგი საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად სასამართლოში გამოცხადდა იმ დროს და იმ დარბაზთან, რაც უწყებაში იყო მითითებული.

6.5. კასატორის განმარტებით, მას საქმის განხილვის შედეგების მიმართ ინტერესი არ დაუკარგავს, რასაც მისი ქმედებებიც ადასტურებს.

### **7. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი**

7.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 5 ივლისის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვისა და მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი დასაბუთებულია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

8. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორის პრეტენზიები საფუძვლიანია, რის გამოც საკასაციო განაცხადი უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე ხელახლა განხილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

9. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოპასუხის გამო-

უცხადებლობის გამო პირველი ინსტანციის სასამართლოში სამართალწარმოების ეტაპზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი მოწესრიგებულია სსსკ-ის 230.1 მუხლით. განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე არ გამოცხადდა საქალაქო სასამართლოს სხდომაზე, რაც მოპასუხის არასაპატიოდ გამოუცხადებლობად მიიჩნია სასამართლომ და დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა. პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები გაიზიარა სააპელაციო სასამართლომაც.

10. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობასა და დასკვნას, რომ მოპასუხე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილია, რომ მოპასუხისათვის გაგზავნილ უწყებაში მითითებულ სხდომის დარბაზში პროცესი არ ჩატარებულა. სხდომა 23-ე დარბაზის ნაცვლად 27-ე დარბაზში გაიმართა, რის თაობაზეც შეტყობინება მოპასუხეს სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების თანახმად არ მიუღია. ქვემდგომი სასამართლოები მოპასუხეს ინფორმირებულად მიიჩნევდნენ, რადგან, როგორც ეს საქმის მასალებშია მითითებული, მოსამართლის თანაშემწემ მოპასუხე 23-ე სხდომის დარბაზთან მოძებნა და ვერ იპოვა.

11. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ვერამახვილებს სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის დანაწესზე, რომლის თანახმად სასამართლო უწყება უნდა შეიცავდეს მითითებას პირის გამოცხადების დროისა და ადგილის შესახებ. მართალია, განსახილველ შემთხვევაში საქმის განხილვის დრო და თარიღი არ შეცვლილა, მაგრამ შეიცვალა ადგილი – სხდომის დარბაზი, რის თაობაზეც შეტყობინება მოპასუხეს არ მიუღია. ქვემდგომი სასამართლოების მსჯელობა იმის თაობაზე, რომ მოსამართლის თანაშემწემ არაერთხელ გამოაცხადა მხარის ვინაობა როგორც 27-ე სხდომის დარბაზთან, ასევე, მოიკითხა იგი 23-ე დარბაზთანაც, თუმცა, ვერ იპოვნა, არ ექცევა სსსკ-ით დადგენილ შეტყობინება-დაბარების წესის ფარგლებში, რის გამოც მხარის ინფორმირებულობის თაობაზე დასკვნას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს.

12. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „მირაგალ ესკოლანო და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ“ დაადგინა, რომ როდესაც საკითხი ეხება სამართლებრივი სიცხადის პრინციპს (Legal certainty), ეს არ არის უბრალოდ სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაციის პრობლემა, არამედ ადგილი ჰქონდა პროცედურული მოთხოვნის არაგონივრულ კონსტრუქციას, რამაც გამოიწვია ეფექტური სასამართლო დაცვის უფლების დარღვევა. მხარეებს უნდა შეეძლოთ გასაჩივრების უფლების გამოყენება იმ მო-

მენტიდან, როცა მათ ძალუძთ ეფექტურად შეაფასონ ის ტვირთი, რომელსაც აკისრებთ სასამართლო გადაწყვეტილება. ეროვნული სასამართლოების მიერ პროცედურული წესის განსაკუთრებით მკაცრმა ინტერპრეტაციამ არასწორად ჩამოართვა მომჩივნებს თავიანთი საჩივრების განხილვისათვის სასამართლოსადმი წვდომის უფლება (*Mirigall Escolano and Others v. Spain*, 38366/97, §33, 2000, ECHR).

13. სსსკ-ის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

14. ზემოაღნიშნული ნორმის დანაწესის საფუძველზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის უნდა დადასტურდეს შემდეგი წინაპირობები: 1. მოპასუხეს საქმის განხილვის შესახებ კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა; 2. იგი სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა; 3. სარჩელში მითითებული ფაქტები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

15. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოპასუხე კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებული არ იყო სხდომის ადგილის (მისი ცვლილების) შესახებ. ქვემდგომმა სასამართლოებმა მოპასუხის გამოუცხადებლობა არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობად მიიჩნიეს და მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანეს. საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების არც იმ მსჯელობას გაიზიარებს, რომელიც მოპასუხის მიერ 2017 წლის 27 სექტემბერს სასამართლოსათვის წარდგენილ განცხადებას ეხება (იხ. წინამდებარე განჩინების 3.4 ქვეპუნქტი, ასევე – გასაჩივრებული განჩინება), რომელშიც მხარე ვარაუდობს, რომ 27 ოქტომბრის სხდომაზე, ჯანმრთელობის გაუარესებული მდგომარეობის გამო, ვერ გამოცხადდება სასამართლოში. ამ განცხადების არარსებობის პირობებშიც, საკასაციო სასამართლო იმავე მსჯელობას განავითარებდა, რაც წინამდებარე განჩინებაშია განმარტებული სასამართლოს მიერ მხარისათვის სასამართლო სხდომის დროის, ადგილისა და თარიღის შეტყობინების თაობაზე. აქვე საკასაციო სასამართლო იმასაც აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი მოსამართლის (ან კოლეგიური შემადგენლობის რომელიმე მოსამართლის) ცვლილების შესახებ, მხარის ინფორმირების ვალდებულება, რაც საკასა-

ციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის უკანასკნელი რამდენიმე წლის პრაქტიკით მყარად დამკვიდრებული სტანდარტია, უკავშირდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფას, მხარემ იცოდეს ვინ იხილავს საქმეს, რათა შეძლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით მოსამართლის (მოსამართლეთა) აცილების უფლების გამოყენება და ამ თვალსაზრისით კანონით დადგენილი წინაპირობებიდან გამომდინარე დასაბუთებული შუამდგომლობის წარდგენა.

16. საკასაციო სასამართლო აქვე განმარტავს, რომ მიზანშეწონილია, განსახილველი შემთხვევის ანალოგიურ ვითარებაში ქვემდგომმა სასამართლოებმა სსსკ-ის 216.1 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებით ისარგებლონ და საქმის განხილვა გადადონ, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოპასუხის არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში ჩაყენება მეორე მხარესთან შედარებით. სასამართლოს აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებიდან. ასეთ ვითარებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებით შეილახა მოპასუხის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება. მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რომელიც საქმის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფრო ფართო ცნების ერთ-ერთი ელემენტია, მოითხოვს, რომ თითოეულ მხარეს მიეცეს გონივრული შესაძლებლობა, წარმოადგინოს საკუთარი საქმე ისეთ პირობებში, რომლებიც მას არ აყენებს არსებითად არამომგებიან პოზიციაში ოპონენტთან შედარებით (*Niderost-Huber v. Switzerland; Kress v. France; Gorraiz Lizarraga and Others v. Spain*). ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს და საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს, მოაწყონ თავიანთი სამართლებრივი სისტემები იმგვარად, რომ ხელი შეუწყონ სწრაფ და ეფექტიან საქმისწარმოებას, გადაწყვეტილებების დაუსწრებლად გამოტანის შესაძლებლობის ჩათვლით (*Azdajic v. Slovenia*), თუმცა, არა – სხვა სამართლებრივი გარანტიების, განსაკუთრებით მხარის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების საზიანოდ.

17. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება მოპასუხესთან მიმართებით არაპროპორციულად შეიზღუდა. ამის თავიდან ასაცილებლად სასამართლოს სხდომა სხვა დროისათვის უნდა გადაედო, შესაბამისად, იმავე სხდომაზე მოპასუხის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელი იყო (მდრ. სუსგ №ას-1033-953-2017, 30.01.2018წ.).

18. სსსკ-ის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვე-

ტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამონეგული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო, თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს იმ გარემოებათა წრეს, რომელთა არსებობის შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს.

19. სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

20. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განანილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განანილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა მოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. ა. გ-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ივნისის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის ხელახლა განსახილველად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. სასამართლო მტკიცებულება

#### მტკიცებულებათა შეფასება

##### განჩინება

##### საქართველოს სახელმწიფო

№ას-1004-2018 8 თებერვალი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაძური

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. თ. გ-ემ (შემდგომში – მოსარჩელე, მონინაალმდეგე მხარე ან კრედიტორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი, კასატორი, მოვალე ან დეპარტამენტი) მიმართ მოპასუხისათვის 171 810,55 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2012 წელს მოსარჩელემ შეასრულა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საავტომობილო გზის – თბილისი-სენაკი-ლესელიძის 231-ე კმ-ის (ქუთაისში, სამტრედიის მიმართულებით გზაგამტარი ხიდის) სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 168 938,6 ლარი. გარდა ამისა, მოსარჩელემ სამუშაოების ღირებულების დადგენის მიზნით, ჩაატარა ექსპერტიზა, რისთვისაც გადაიხადა 2 871,95 ლარი. შეკეთებული საავტომობილო გზის მესაკუთრეს წარმოადგენს სახელმწიფო მოპასუხე სააგენტოს სახით. რეკონსტრუქციაზე განეული ხარჯები არ აუნაზღაურებია მოპასუხეს.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის განხორციელების გამომრიცხველი შესაგებლით მო-

პასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საავტომობილო გზის თბილისი-სენაკი-ლესელიძის 231-ე კმ-ზე არსებულ გზაგამტარ ხიდზე რაიმე სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა არ არსებობდა, რის გამოც ხიდზე სამუშაოების ჩატარება არ წარმოადგენდა მოპასუხის ინტერესს, არც სამუშაოების წარმოება ყოფილა დაგეგმილი, შესაბამისად, განუული ხარჯი არც 2012 წლის ბიუჯეტით ყოფილა გათვალისწინებული და არც ტენდერი გამოცხადებულა. საბიუჯეტო ორგანიზაციას არ აქვს უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ, აუცილებლობის გარეშე, გახარჯოს ბიუჯეტით წინასწარ განერილი თანხა. დეპარტამენტი ვალდებულია, სამუშაოები დაგეგმოს, ჩაატაროს და მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით. აღნიშნულის გათვალისწინებით, პირის მიერ თავისი ინიციატივით, სხვა ორგანიზაციის მიერ გაცემული დავალების საფუძველზე თუ სხვა გარემოების არსებობის გამო, სახელმწიფო საკუთრების რაიმე ფორმით შეკეთება, განახლება ან/და მასზე რაიმე სხვა სამუშაოების ჩატარება არის დაუშვებელი. ამ სახით შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება ეწინააღმდეგება კანონმდებლობას. გარდა ამისა, მსგავს ვითარებაში ვერ დგინდება სამუშაოების შესრულების ხარისხი, მესაკუთრის მიერ რაიმე სარგებლის მიღებისა და ობიექტის ღირებულების გაზრდის ფაქტი. შესაძლებელია ობიექტი თავიდან გახდეს შესაკეთებელი და ამ გარემოებამ გამოიწვიოს ზედმეტი დანახარჯი, რაც დაუშვებელია საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის. კონკრეტულ შემთხვევაში, არ დგინდება ასევე მოსარჩელის მიერ სამუშაოების ჩატარების დრო, სახეობა და აუცილებლობა, ასევე, გაურკვეველია სამუშაოების ღირებულება. საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა ემყარება მხოლოდ მოსარჩელის მიერ შედგენილ და წარდგენილ ფორმა №2-ს, სადაც ჩამოთვლილია ხელშეკრულებისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე წარმოებული სამუშაოები, რაც დაუშვებელია ისეთი სპეციფიკური ნაგებობის შემთხვევაში, როგორცაა – გზა და მისი შემადგენელი ელემენტები. გზაგამტარ ხიდზე სამუშაოების ჩატარების აუცილებლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი გამოიყენებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას და ჩაატარებდა ელექტრონულ ტენდერს, განსაზღვრავდა საჭირო სამუშაოებს და ნაკლები დანახარჯებით შეასრულებდა სამუშაოს.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნა-

ნილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს კრედიტორის სასარგებლოდ დაეკისრა 168 938,6 ლარის გადახდა, ხოლო, 2 871,95 ლარის მოთხოვნის ნაწილში სარჩელი უარყოფილ იქნა.

#### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად უარყოფა მოითხოვა.

#### **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 3 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

#### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფაქტობრივი საფუძვლები (კასატორის პრეტენზიები):

საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს მოპასუხისათვის მოსარჩელის მიერ გზის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის განეული ხარჯის დაკისრების სისწორე წარმოადგენს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას პალატა სწორედ კასატორის პრეტენზიის ფარგლებში შეამოწმებს. საკასაციო საჩივრის თანახმად:

1.1.1. სასამართლომ დაადგინა მოსარჩელის მიერ ექსპერტიზის ბიუროსთვის მიმართვა და სამუშაოების ღირებულების დადგენის მიზნით ექსპეტიზის ჩატარება, რისი ხარჯიც განისაზღვრა 2 871,95

ლართ, ასევე, დეპარტამენტის ვალდებულება, განახორციელოს თბილისი-სენაკი-ლესელიძის 231-ე კმ-ზე არსებული გზაგამტარი ხიდის მოვლა-შენახვა. ასევე დაადგინა, რომ სამუშაოები მოსარჩელემ აწარმოა, რომლის ღირებულებამაც 168 938,6 ლარი შეადგინა, ამასთან, თითქოს არ არსებობდა განუვლი ხარჯის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი. აღნიშნული დასკვნა არასწორია, რადგანაც სასამართლო ღირებულების განსაზღვრისას დაეყრდნო მოსარჩელის მიერ წარდგენილ საექსპერტო დასკვნას იმ დასაბუთებით, რომ მოპასუხეს საპირისპირი მტკიცებულება, გარდა ახსნა-განმარტებისა, არ წარუდგენია, თუმცა, მხედველობაში არ მიუღია შესრულებული სამუშაოების კატეგორია – ნაგებობის (ხიდის) თავისებურება, რომელზეც მიმდინარეობდა სამუშაოები. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის №172 დადგენილებით განსაზღვრულია საგზაო სამუშაოების სახეობები, რომლებიც შეიძლება ჩატარდეს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე და დაზუსტებულია თითოეულ სახეობაში შესასრულებელ კონკრეტულ სამუშაოთა ჩამონათვალი. აღნიშნული სამუშაოების სახეობიდან გამომდინარე ხდება დეპარტამენტის მიერ სამუშაოების მიღება, რომელთა მიღების წესი ასევე დადგენილია კანონმდებლობით. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე არ აწარმოებს მოსარჩელის მიერ ჩატარებული სამუშაოების ტიპის რეკონსტრუქციას, ვინაიდან მათი შესრულება არ წარმოადგენს მის ვალდებულებას. რაც შეეხება ექსპერტიზის საპირწონედ რაიმე მტკიცებულების წარმოდგენას, მოპასუხე მოკლებული იყო შესაძლებლობას, წარედგინა რაიმე მტკიცებულება სწორედ სამუშაოების კატეგორიის დაუდგენლობის გამო (საქმეში წარმოდგენილ ყველა დოკუმენტში, მათ შორის ექსპერტიზის დასკვნაში, მითითებულია სხვადასხვა სახეობის სამუშაოები, რაც არაერთხელ იქნა აღნიშნული დეპარტამენტის მიერ). ტენდერის გამოცხადებისას სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება მათი კატეგორიის შესაბამისად, ხოლო დაუდგენელ სამუშაოებზე ფასის დადგენა ვერ მოხდებოდა ვერც დეპარტამენტისა და ვერც საექსპერტო დაწესებულების მიერ. ამასთან, მოსარჩელის მიერ სამუშაოების შესრულების პერიოდად მითითებულია 2012 წელი, ხოლო ექსპერტიზის დასკვნა დათარიღებულია 2013 წლის 12 ივლისით. მოპასუხეს სარჩელი ჩაბარდა 2015 წლის აგვისტოში და სწორედ მაშინ გახდა ცნობილი მოსარჩელის მიერ გაურკვეველი სამუშაოების წარმოების ფაქტი, შესაბამისად, თუნდაც საექსპერტო დაწესებულებისთვის მიმართვით მოპასუხე ვერც შესრულებული სამუშაოების მოცულობას და ვერც მათ ღირებულებას ვერ დაადგენდა სახეობის გაურკვეველობისა და მათი

ხანდაზმულობის გამო. თავად მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ რიგი სამუშაოების შესრულება უწევდა რამდენჯერმე ცუდი ამინდისა და სწრაფი ტემპის გამო, ამასთან, მას არ გააჩნია, არც სამუშაოების შესრულებისა და არც მათი ღირებულების დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტები ან სხვა), გარდა ფურცელზე ხელით დანერილი მასალების ღირებულებისა და ყოველდღიურად შესრულებული სამუშაოს ჩამონათვალისა (როგორც თავად აღნიშნავდა), რომელიც სასამართლოში არ ყოფილა წარმოდგენილი. სასამართლო სიტყვაზე ენდო მას და მისი ზეპირი ახსნა-განმარტების საფუძველზე დაადგინა სამუშაოების ღირებულება, რაც დაუშვებელია;

1.1.2. სასამართლომ მხოლოდ ახსნა-განმარტებაზე დაყრდნობით არასწორად დაადგინა, რომ დეპარტამენტს უნდა სცოდნოდა ხიდზე მიმდინარე სამუშაოების თაობაზე, მათი ხანგრძლივობიდან გამომდინარე, ეს დასკვნა სასამართლომ დაამყარა ასევე მოსარჩელის ინიციატივით დაკითხული მონმის ჩვენებას, თუმცა, ჩვენების მხოლოდ ნაწილობრივ გაზიარება არასწორია, ისევე, როგორც სურათებზე დაყრდნობით ვერ განისაზღვრება სამუშაოების წარმოების ვადა, რადგანაც ამ მტკიცებულებაზე დატანილი თარიღები არ ადასტურებს სამუშაოების შესრულების თარიღს და ვერ მიიჩნევა მტკიცებულებად. საქმის მასალებიდან, ასევე, მოსარჩელისა და მისივე მონმის ჩვენებიდან დასტურდება, რომ დეპარტამენტის წარმომადგენელი სამუშაოების მიმდინარეობას არ დასწრებია. მოსარჩელის განმარტებით, ადგილზე მისული არაერთი უწყების წარმომადგენელთაგან (მერია, პროკურატურა, თანამდებობის პირები და სხვა) არც ერთს არ განუცხადებია, რომ წარმოადგენდა დეპარტამენტს. მეტიც, მოსარჩელემ სამუშაოების დასრულების შემდგომ მიმართა ქ. ქუთაისის მერიას და მას აცნობა სამუშაოების დასრულება, თავადვე აღნიშნა, რომ იცოდა ვის ბალანსზე ირიცხებოდა ხიდი, თუმცა, სამუშაოების დამკვეთი იყო ქუთაისის მერია და შესაბამისად მოხდა მისთვის შეტყობინების (მოხსენებითი ბარათის) გაგზავნა. არასწორია სასამართლოს მსჯელობა სამუშაოს ხანგრძლივობისა და მისი მიმდინარეობისას გზის არაერთხელ გადაკეტვის თაობაზე, ვინაიდან ამ ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები მოსარჩელეს არ წარუდგენია, მონმის ჩვენება არ არის შესაბამისი მტკიცებულება, ხოლო რაიმე ოფიციალური ინფორმაცია გასაჩივრებულ განჩინებაში აღწერილი ფაქტების შესახებ დეპარტამენტში არ შესულა, გარდა ამისა, მოსარჩელემ დაარღვია დეპარტამენტის ინფორმირების ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 971-ე მუხლიდან;

1.1.3. სასამართლომ არ იმსჯელა სამუშაოების შემსრულებლების კვალიფიკაციის საკითხზე. კონტრაქტორ კომპანიებს, რომლებიც ტენდერში იღებენ მონაწილეობას და აფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებას, უკავდებათ ხარისხის თანხა (საკონტრაქტო ღირებულების 5%), რომელიც უბრუნდებათ მხოლოდ და მხოლოდ სამუშაოების ხარისხიანად შესრულების შემდეგ დეპარტამენტის კვალიფიციური პერსონალის მიერ მათი შემოწმების შემდეგ. ვინაიდან დეპარტამენტის ინტერესი ვერ იქნებოდა გაურკვეველი სახეობის სამუშაოების ჩატარება სპეციფიკურ ნაგებობაზე და ვერ მოხერხდებოდა ამ სამუშაოების მიღება, ხარისხის დაუდგენლობის გამო, კასატორის ინტერესში არ შედიოდა იმგვარი სამუშაოების ჩატარება, რომლის შესაბამისადაც არც ხიდის ღირებულება გაზრდილა (ვინაიდან დაუდგენელია როგორ, რა მასალით და როგორი ხარისხით არის ჩატარებული სამუშაოები. აქედან გამომდინარე, ხიდის საბალანსო ღირებულების გაზრდის დადგენა ვერ მოხდებოდა გარეგანი დათვალიერებით და ზეპირად გადმოცემული შესრულებული სამუშაოების საფუძველზე), შესაბამისად, სასამართლოს არ შეიძლებოდა, დაედგინა დეპარტამენტის უსაფუძვლოდ გამდიდრების ფაქტი;

1.1.4. კონდიქციურ ვალდებულებათა რეგულირებას ეთმობა სამოქალაქო კოდექსის 976-ე-991-ე მუხლები, უსაფუძვლო გამდიდრება სახეზეა, თუ არსებობს მოპასუხის გამდიდრება, ამის შესაბამისად მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისი და მატერიალურ სიკეთეთა ასეთი გადანაცვლების უსაფუძვლობა/ გაუმართლებლობა. სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლი, თუმცა, არ უნდა დაეკმაყოფილებინა სარჩელი, რადგანაც არ არსებობს მოცემული ნორმით გათვალისწინებული წინაპირობები: მოპასუხე არ გამდიდრებულა – ხიდის საბალანსო ღირებულება დარჩა იგივე, ვინაიდან მასზე განხორციელებული სამუშაოების სახეობითა და ხარისხით ვერ დადგინდება ხიდის ღირებულებამ მოიმატა თუ დაიკლო; მოსარჩელის ქმედებას არ გამოუწვევია მოპასუხის გამდიდრება (ისევე და ისევე გაურკვეველი სამუშაოების ჩატარებიდან გამომდინარე, რომლთა ღირებულების დადგენისთვის არ არის საკმარისი ზედაპირული შეფასება, ხოლო ზედაპირული შეფასების შესაძლებლობისას, აღნიშნული სამუშაო არ წარმოადგენს აუცილებლობას და არ უნდა იქნეს ანაზღაურებული); მოპასუხის გამდიდრება არ არის უკანონო, ვინაიდან არ დგინდება თავად გამდიდრების ფაქტი. დაუშვებელია მოქალაქეთა მიერ, რომელთაც არ გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება და დავალება, საავტომობილო გზების და მათი შემადგენელი ნაწილების რაიმე ფორმით გადაკეთებისა თუ მათ მთლიანობაში ჩარევა. მართალია, სასამარ-

თლომ სავსებით მართებულად განმარტა კონდიქციიდან გამომდინარე ანაზღაურების მიზანი, თუმცა, ზემოთ მითითებული გარემოებების გაუთვალისწინებლობის გამო, მიიღო არასწორი გადაწყვეტილება. სწორედ ზიანის ანაზღაურება დააკისრა სასამართლომ დეპარტამენტს თავისი გადაწყვეტილებით, ვინაიდან, არ არსებობდა უსაფუძვლო გამდიდრებისათვის საჭირო არც ერთი პირობა;

1.1.5. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის დარღვევით, სასამართლო არასწორად დაეყრდნო საქმეზე წარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნას, რომელიც არ წარმოადგენდა რეალურ მტკიცებულებას იმ სამუშაოების დადგენისთვის, რაც განახორციელა მოსარჩელემ, ამასთან, სასამართლომ თავად უარყო ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სამუშაოების სახეობა (სარეაბილიტაციო) და დაადგინა სარემონტო სამუშაოების ჩატარების ფაქტი. სასამართლომ მოისმინა მოწმის ჩვენება, რომელიც შეიცავდა უამრავ წინააღმდეგობას, თუმცა უგულვებლყო, ამ შემთხვევაში მოწმის მხრიდან შესაბამისი სამუშაოების შესრულების კვალიფიკაციის არარსებობა (მოწმის განმარტებით იგი იყო იურისტი და ბოლო 4 წლის განმავლობაში მუშაობდა პრარაბად, თუმცა ხიდზე სამუშაოები არასოდეს ჩაუტარებია, სანამ მისმა მეგობარმა – თ. გ-ემ, არ სთხოვა დახმარება), ასევე გაურკვეველია მოწმის როლი სამუშაოების ჩატარებაში (თავად მოწმის ჩვენებით იგი იყო საქმეთა მწარმოებელი, ე.წ პრარაბი და თვითონ ადგენდა რა სამუშაოების ჩატარება იყო აუცილებელი, ხოლო მოსარჩელის თქმით, მოწმეს არ გააჩნდა შესაბამისი კვალიფიკაცია, იგი თავად ადგენდა ჩასატარებელი სამუშაოების აუცილებლობას და სახეობას, ხოლო მოწმეს ევალეობდა მხოლოდ მუშების ყოველდღიური აღრიცხვა). გაურკვეველია, სასამართლომ შინაგანი რწმენით, რატომ შეაფასა მოწმის ჩვენების მხოლოდ ის ნაწილი, სადაც იგი განსაზღვრავს სამუშაოების მიმდინარეობის ხანგრძლივობას და არ გაითვალისწინა ჩვენების სხვა, საქმისთვის მნიშვნელოვანი ნაწილები;

1.1.6. მართალია, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი, თუმცა, მან ცალმხრივად, მოსარჩელის მიერ წარდგენილ ყველა მტკიცებულებას იურიდიული ძალა მიანიჭა, ხოლო მოპასუხის ახსნა-განმარტება უარყო, ისევე, როგორც შეფასება არ მისცა სამართლებრივ აქტებს, რომლებზეც მიუთითა მოპასუხემ.

**1.2. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე განჩინების მიმართ:**

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინების მიმართ სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა, დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. თბილისი-სენაკი-ლესელიძის 231-ე კმ-ზე (ქუთაისში სამტრედიის მიმართულებით) არსებული გზაგამტარი ხიდის მოვლა-შენახვის ვალდებულება ეკისრება მოპასუხეს;

1.2.2. გზაგამტარი ხიდის სარემონტო სამუშაოები აწარმოა მოსარჩელემ;

1.2.3. სარემონტო სამუშაოების ღირებულების დადგენის მიზნით მოსარჩელემ ჩაატარა ექსპერტიზა, რომლის თანახმადაც, სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 168 938,6 ლარი.

### **1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:**

1.3.1. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებების, საქმის მასალებისა და მხარეთა შედავების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობები, კერძოდ, მიღებული გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. ამ გარემოებიდან გამომდინარე, პალატა საკასაციო პრეტენზიათა დეტალურ კვლევას არ შეუდგება, ვინაიდან შეუძლებელია, მათ ფარგლებში შემოწმდეს ქვემდგომი სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნების სისწორე, არამედ, ყურადღებას გაამახვილებს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რამდენიმე თეორიულ და პრაქტიკულ საკითხზე.

1.3.2. უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლო შეეხება საქმის მომზადების ეტაპს, რომელიც დავის სწორად და სამართლიანად გადაწყვეტის უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს სარჩელისა და შესაგებლის ფორმალური გამართულობის საკითხი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე და 201-ე მუხლები ადგენენ რა ფორმალურ წინაპირობებს, თუ რას უნ-

და პასუხობდეს დავის დაწყების დროისათვის სარჩელი და შესაგებელი, ამავე კოდექსის 183-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლოს კანცელარია ამოწმებს მხოლოდ სარჩელის შესაბამისობას ამ მოთხოვნებთან იმგვარად, რომ შინაარსობრივი გამართულობის საკითხის ამ ეტაპზე გამორკვევას არ ითვალისწინებს კანონი. რეგისტრირებული სარჩელის მიღებას კი, წყვეტს პირველი ინსტანციის მოსამართლე, თუმცა, მიღების ეტაპზე ასევე არ განიხილება სარჩელის არსებითი მხარე, არამედ, სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე და 186-ე მუხლებით და იმის მიხედვით, აკმაყოფილებს თუ არა რეგისტრირებული სარჩელის შინაარსობრივი მხარე საპროცესო წესებს, წყვეტს მისი მიღების ან მიღებაზე უარის თქმის საკითხს. იმ შემთხვევაში, როდესაც სარჩელი გადალახავს ზემოხსენებულ ბარიერებს, დღის წესრიგში დგება საქმის არსებითად განხილვისათვის მომზადების საკითხი, რომელიც, როგორც ითქვა, დავის სწორად გადაწყვეტის ფუნდამენტია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 203-ე-206-ე მუხლები ადგენენ იმ საპროცესო ბერკეტებს, რომლებიც უნდა განკარგოს მოსამართლემ, რათა არსებითად განხილვის ეტაპზე ეფექტიანად განახორციელოს მართლმსაჯულება. უპირველესად, რაც ამ ეტაპზე მონშდება, არის მითითების ტვირთი, კერძოდ, მოსამართლე განსაზღვრავს, გადმოცემული ფაქტებიდან გამომდინარე, თუ რისი მიღწევა სურს მოსარჩელეს და მოიძიებს მისი მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, ხოლო, მას შემდეგ, რაც ცხადი გახდება მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, უნდა შემოწმდეს, სარჩელში მითითებული იურიდიული მნიშვნელობის ფაქტები და ამ ნორმის წინაპირობები, უფრო კონკრეტულად, მოსარჩელე გადმოსცემს თუ არა ყველა ფაქტს, რომელთა დადასტურებისა და მოძიებული სამართლებრივი საფუძვლის სუბსუმირება იურიდიულად ამართლებს სარჩელს (მითითების ტვირთი). იმ შემთხვევაში, თუკი სარჩელი ფორმალურად გაუმართავია, სასამართლო ვალდებულია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 203-ე მუხლის შესაბამისად, დააზუსტებინოს მხარეებს ფაქტები, მიიღოს მათი შემავსებელი განმარტებები და სხვა, ვინაიდან ამგვარი საპროცესო მოქმედების განუხორციელებლობა, ამავე კოდექსის 83.3, 201.4 და 219.1 მუხლების შესაბამისად, საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე მხარეებს ართმევს დამატებითი გარემოებების წარდგენის უფლებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სარჩელის ფორმალური გამართულობის საკითხის დაძლევის შემდგომ დღის წესრიგში დგება მოპასუხის შედავების არსებითობის საკითხი, კერძოდ, უნდა გამოირკვეს, მოთხოვნის განმაპირობებელ რომელ ფაქტებს ხდის სადავოდ მოპასუხე და ამის მიხედვით განისაზღვრება მტკიცების საგანი, რო-

მელშიც მხოლოდ სადავო ფაქტები შედის, იმის მიხედვით კი, თუ რა წარმოადგენს დადასტურების ობიექტს, სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ანაწილებს მტკიცების ტვირთს მხარეთა შორის (თუ მატერიალური სამართლის ნორმა, იურიდიული კონსტრუქციიდან გამომდინარე, განსხვავებულად არ არეგულირებს მტკიცების სტანდარტს).

1.3.3. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი სარჩელი ფორმალურად სრულიად გაუმართავია, მისი შესწავლით არ დგინდება რა საფუძვლით განახორციელა კრედიტორმა სამუშაოები, რა საჭიროება არსებობდა მათი განხორციელების და სხვა. არც სასამართლოებს დაუდგენიათ და არც საქმის მასალებიდან ირკვევა საქმის მომზადების დასრულებამდე შეავსო თუ არა მოსარჩელემ ფაქტები. მოპასუხის შესაგებლის შესწავლისა და იმ უდავო გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარეები სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ იმყოფებოდნენ, ამასთან, მოსარჩელეს არც კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველი გააჩნდა მაგისტრალზე ეწარმოებინა სამუშაოები, პალატა მიიჩნევს, რომ მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმები კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის მომწესრიგებელი დანაწესებში უნდა იქნეს მოძიებული, ამ მხრივ, კონკურენცია არსებობს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებასა (სკ-ის 669-ე-975-ე მუხლები) და კონდიქციურ ვალდებულებას შორის (სკ-ის 976-ე-991-ე მუხლები). მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების კონკურენცია უნდა გადაწყდეს სწორედ სარჩელში გადმოცემული ფაქტების შესაბამისად. თუკი სახეზე იქნება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელე უნდა მიუთითებდეს შესრულების აუცილებლობაზე, მეპატრონისათვის შეტყობინების ფაქტზე, მისთვის კონკრეტული ხარჯთაღრიცხვის წარდგენასა და იმ აუცილებელ დანახარჯებზე, რომლებიც შესრულებულ სამუშაოზე იქნა განეული, ამასთანავე, სავალდებულო არაა ფაქტობრივად განეული ხარჯი ემთხვეოდეს ასანაზღაურებელ ხარჯს, რამდენადაც კანონი მოითხოვს, რომ ამგვარი დანახარჯი, კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებლად უნდა იყოს მიჩნეული (სკ-ის 669-ე, 971-ე-973-ე მუხლები), გარდა ამისა, მოპასუხის შედავების გათვალისწინებით, ამ ფაქტების დადასტურება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელის მხარეზეა. იმ შემთხვევაში, თუკი გამოირიცხება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესიდან გამომდინარე მოთხოვნის წარდგენა, მაშინ საქმე დანახარჯების კონდიქციასთან გვაქვს (სკ-ის 987-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები). ამ შემთხვევაში, მოსარჩელის

მითითების ვალდებულებაა შეგნებულად ან შეცდომით სხვა პირის ქონებაზე ხარჯების განწევა, ამ ხარჯების განწევით მოპასუხის გამდიდრება, მოპასუხისათვის შესრულების გადაცემა და ამ დროისათვის გამდიდრების ფაქტის კვლავ არსებობა, რომელიც შეიძლება, მოპასუხის მხრიდან გარკვეული ხარჯების დაზოგვაშიც გამოიხატოს, ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ გამდიდრების ოდენობა, მსგავსად ზემოხსენებულისა, შეიძლება არც კი ემთხვეოდეს ფაქტობრივ დანახარჯს.

1.3.4. საქმეში წარმოდგენილი შესაგებლით ირკვევა, რომ მოპასუხემ არსებითი ხასიათის შედავება წარადგინა, რომელიც აფერხებს სარჩელის წარმატებას, კერძოდ, მან საერთოდ უარყო გზაგამტარი ხიდის სარემონტო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა, მისი ხარისხი, ხარჯების ოდენობა და შესრულებული სამუშაოების მის მიერ მიღება, შესაბამისად, ეს ფაქტები წარმოადგენს სადავოს, რომელთა სარწმუნოდ დადასტურება, როგორც უკვე ითქვა, მოსარჩელეს ეკისრება.

1.3.5. სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის საფუძველად მიუთითა კონდიქციაზე და სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები სარჩელის წარმატებულობის თაობაზე, თუმცა, ამ დასკვნების საფუძველიანობა შედავებულია საკასაციო საჩივრით. პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას მოსარჩელის მხრიდან ხარჯების განწევის აუცილებლობის, მათი ოდენობისა და შესრულების ხარისხის დადასტურების ვალდებულების შესახებ და მიიჩნევს, რომ ამ კუთხით საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით შეფასება. მოცემულ შემთხვევაში, დასაკისრებელი თანხის ოდენობა სასამართლომ დაამყარა მხოლოდ ექსპერტის დასკვნას და იმ გარემოებას, რომ მოპასუხეს საპირისპირო კვლევა არ წარუდგენია. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ხსენებულს და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ექსპერტიზის დასკვნა მოპასუხის შედავების ფარგლებში უნდა შეეფასებინა, შეემონმებინა მისი იურიდიული სანდოობა (სსსკ-ის 172-ე მუხლი) და თუკი ამგვარი შეფასების შედეგად დადასტურდებოდა მოთხოვნის ოდენობა, სწორედ ამის შემდგომ ემსჯელა მოპასუხის პოზიცია რამდენად აქარწყლებდა მოსარჩელის მიერ დადასტურებულ ფაქტს (შედავების ფარგლებში მოსარჩელის მიერ მტკიცების ტვირთის თანხის გართმევის შემდეგაა სამართლებრივად ღირებული იმ საკითხის შეფასება წარადგინა თუ არა მოპასუხემ საპირწონე მტკიცებულება), ამ მტკიცებულებით დგინდებოდა თუ არა აუცილებელი ხარჯის ოდენობა და ფაქტობრივად განეული დანახარჯი ექვემდებარებოდა თუ არა ანაზღაურებას, გარდა ამისა, გასაზიარებელია კასატორის პრეტენზია იმ ნაწილშიც, რომ სწორედ მოსარჩე-

ლეს ეკისრებოდა სამუშაოს შესრულების აუცილებლობის დადასტურების ვალდებულება, რომელიც ქვემდგომ სასამართლოებს არ დაუდგენიათ. იმ შემთხვევაში, თუკი არ დადგინდა შესრულების აუცილებლობა, მოპასუხის ინფორმირებულობა, შესრულების ხარისხი, ასევე, მოპასუხის მიერ შესრულების მიღება, იმის მიხედვით, თუ რა იქნება მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, იარსებებს სარჩელის უარყოფის სამოქალაქო კოდექსის 973-ე ან 987-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობა (ხარჯების აუცილებლობა ან თავს მოხვეული გამდიდრება). პალატა ასევე იზიარებს კასატორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ მოწმის ჩვენებაზე და საქმეში წარმოდგენილ ფოტოსურათებზე დატანილ თარიღზე დაყრდნობით, არასწორად განსაზღვრა მოპასუხის ინფორმირებულობის საკითხი. მოცემული დავის გადანაცვებისათვის, მიუხედავად მოთხოვნის საფუძველისა, როგორც უკვე ითქვა, მნიშვნელოვანია დადგინდეს მოპასუხის ინფორმირება და მის მიერ შესრულების მიღება. ამ ფაქტების მტკიცება, ეკისრება მოსარჩელეს, რომელმაც უნდა წარმოადგინოს განკუთვნიანი მტკიცებულებები, რომლებიც უტყუარად დაადასტურებს სადავო ფაქტებს, უფრო მეტიც, საქმეში წარმოდგენილია წერილობითი მტკიცებულება, რომლითაც სამუშაოს შემსრულებელი, ნაცვლად მოპასუხისა, შესრულების თაობაზე მიმართავს ქ. ქუთაისის მერს და მისი მხრიდან ითხოვს რეაგირებას. რაც შეეხება კასატორის პოზიციას, რომ ის, როგორც საბიუჯეტო ორგანიზაცია, ვალდებულია, იმოქმედოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მას პალატა სარჩელის უარყოფის საფუძველად ვერ განიხილავს, რადგანაც თავად ამ კანონის პირველი მუხლიდან გამომდინარე, იგი საჯარო კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია და ემსახურება საჯარო მიზნებს, კერძო სასამართლებრივ ურთიერთობაში კი, მათ შორის სახელმწიფო, სამოქალაქო კოდექსის 8.2. მუხლის თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტად გვევლინება და სარჩელის საფუძველიანობის დადასტურება მის პასუხისმგებლობას მხოლოდ ზემოხსენებული მიზეზით არ გამოორიცხავს.

#### **1.4. საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე (საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანაცვლებას და საქმეს ხელახლა გან-

სახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა) საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს, რომელმაც უნდა შეამოწმოს სარჩელის გამართულობის საკითხი, განსაზღვროს მოთხოვნის განმაპირობებელი საფუძვლები და საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი კვლევის შედეგად გადაწყვიტოს უფლების საკითხი.

## **2. პროცესის ხარჯები:**

ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებით საქმის წარმოება არ დასრულებულა, პალატა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად (თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღდგრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განანილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით), ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

## **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 3 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# მტკიცებულებათა შეფასება

## ბანკინება საქართველოს სახელით

№სს-1144-2018

7 ივნისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-  
ვლები:**

1.1. შპს „რ. ტ.“ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორ-  
რის მონინალმდებე მხარე, კომპანია ან დამსაქმებელი) სარჩელი  
აღძრა სასამართლოში მ. გ-ის (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტის  
მონინალმდებე მხარე, კასატორი ან დასაქმებული) მიმართ, მიყენ-  
ებული ზიანის – 38 989,60 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების  
მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მო-  
პასუხე 2012 წლის 6 სექტემბრიდან მუშაობდა მოსარჩელე კომპა-  
ნიაში მზა პროდუქციისა და მატერიალური საწყობის გამგედ, მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებელ პირად. 2015 წლის 30  
ივლისს დასაქმებული გახდა ცუდად, სასწრაფო-სამედიცინო ბრი-  
გადამ გადაიყვანა რუსეთის საავადმყოფოში და დაენიშნა სტაცი-  
ონარული მკურნალობა. იმავე დღეს, ჩატარდა კომპანიის მზა პრო-  
დუქციისა და მატერიალური საწყობის ინვენტარიზაცია, რა დრო-  
საც საწყობში აღმოჩნდა 38 989.60 ლარის დანაკლისი, რომლის ანაზ-  
ღაურება დაეკისრა მოპასუხეს, თუმცა იგი დღემდე თავს არიდებს  
საწარმოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

**2. მოპასუხის პოზიცია:**

მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით მოპასუხემ სარჩელი  
არ ცნო და განმარტა, რომ ის ჯეროვნად ასრულებდა შრომით მო-  
ვალეობებს, დამსაქმებლის ბრძანება, რომლითაც განისაზღვრე-  
ბოდა საწყობის დანაკლისის არსებობის შემთხვევაში მისი პასუ-  
ხისმგებლობა, მას არ ჩაჰბარებია, გარდა ამისა, მოპასუხის გან-  
მარტებით, ინვენტარიზაციის ჩატარებისას ის საავადმყოფოში იმ-

ყოფებოდა და მისთვის უცნობია, რა დანაკლისი აღმოაჩინა მოსარჩელემ, ხოლო სარჩელში არ არის მითითებული, თუ როდის ჩატარდა წინა ინვენტარიზაცია და რასთან შედარებით აღმოჩნდა დანაკლისი.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომლითაც მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

### **5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 38 989,60 ლარის გადახდა.

### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტის მონინა აღმდეგე მხარემ, მოითხოვა მისი, ასევე, 2017 წლის 16 თებერვლის საოქმო განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის უარყოფა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

### **1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების დასაბუთება:**

#### **1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები (კასატორის პრეტენზიები):**

საკასაციო საჩივრის ფარგლებში პალატის შეფასების საგანს დასაქმებულის მხრიდან შრომითი მოვალეობის დარღვევისა და დამსაქმებლისათვის ზიანის მიყენების წინაპირობების არსებობა წარმოადგენს. სააპელაციო პალატის დასკვნით, მოსარჩელემ დაადასტურა მოთხოვნის საფუძვლიანობა, რის გამოც სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი, კასატორი კი, არ ეთანხმება ქვემდგომი სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს. სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას პალატა კასატორის პრეტენზიის ფარგლებში შეამონმებს, რომელიც ძირითადად სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის არასწორ განმარტებას, ზიანის მიუყენებლობისა და მოთხოვნილზე ნაკლები ოდენობით ზიანის მტკიცების ტვირთის მოპასუხისათვის არასწორად დაკისრებას შეეხება. კასატორის განმარტებით:

(i) პირველი ინსტანციის სასამართლომ, საქმის მასალებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტი არ დასტურდებოდა, სააპელაციო პალატას კი, ამ დასკვნის გასაქარწყლებლად არ ჰქონდა საკმარისი მტკიცებულებები, გარდა აპელანტის შუამდგომლობით გამოთხოვილი მონმეთა ჩვენებებისა და საგადასახადო შემონმების შედეგებისა, რომლებიც არ არის სადავო გარემოების დადგენისათვის საკმარისი. მთავარი საკითხი, რაც სასამართლოს არ დაუდგენია, არის ის, იმყოფებოდა თუ არა სანყოში და ჰქონდა თუ არა კასატორს მიღება-ჩაბარების აქტი ჩაბარებული ის საქონელი, რომელიც 30 ივლისის ინვენტარიზაციის შედეგებშია ასახული. აპელანტის მცდელობა საქმის განხილვისას იყო იმის დადასტურება, რომ დანაკლისზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მოპასუხეს. ამ უკანასკნელს არ უარუყვია საკუთარი პოზიცია კომპანიაში და განმარტა, რომ მას ევალებოდა სანყოში ტვირთის შესვლა-გასვლის კონტროლი, თუმცა, ამასთანავე, განმარტა, რომ ბოლო აღრიცხვის შემდგომ, რომელიც 2015 წელს ჩატარდა, დაზიანდა მისი კომპიუტერი და ვეღარ აკონტროლებდა ბულალტრულ ნაშთს, შესაბამისად, მისთვის უცნობი იყო რა ბულალტრული ნაშთი ერიცხებოდა სამსახურს. კასატორი პასუხს აგებდა მასთან რეალურად მიბარებულ საქონელზე, ხოლო დამსაქმებელმა ვერ დაამტკიცა ის ფაქტი, რომ კასატორს 336 130,30 ლარის ღირებულების პროდუქცია მიაბარა, რადგანაც, თუკი დამსაქმებელი მოპასუხეს ედავება კონკრეტული ოდენობის ქონებრივ დანაკლისზე, მასვე ეკისრება ამ ქონების მიბარების მტკიცების ტვირთი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ აუდიტორული დასკვნის თანახმად, 18 666,14 ლარის საქონელი წარმოადგენდა სხვის საკუთრებას, შესაბამისად, ხსენებული არ უნდა ყოფილიყო აღრიცხული ბულალტრულ ნაშთში, გარდა ამისა, დასკვნაში არ არის ჩამოთვლილი, თუ რა წარმოადგენს

18 666,14 ლარის ღირებულების ფასეულობას;

(ii) სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის გამოყენებისათვის საზეზე უნდა ყოფილიყო მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც საქმის მასალებით დადგენილი არ არის, არამედ, სააპელაციო სასამართლო მოპასუხეს ბრალს სდებს პრევენციის ღონისძიებების გაუტარებლობაში ისე, რომ მოსარჩელე თავად ვერ მიუთითებს მოპასუხის მხრიდან რაიმე უკანონო ქმედების განხორციელებაზე. მონმედ დაკითხული კომპანიის ბუღალტერი ადასტურებს, რომ მოპასუხე ყოველთვის კეთილსინდისიერად ასრულებდა სამუშაოს, ამ ფაქტს არც კომპანიის დირექტორი უარყოფს, უფრო მეტიც, კომპანიას მიმართული აქვს საგამოძიებო ორგანოებისათვის და ცნობილია დაზარალებულად, თუმცა პასუხისმგებელი პირი ამ ეტაპზეც კი არ არის დადგენილი, ხოლო მოსარჩელე ვერ მიუთითებს კონკრეტულად შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე, რომელი მოვალეობა დაარღვია დასაქმებულმა;

(iii) რაც შეეხება ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის შემდეგ ელემენტს – მიზეზობრივ კავშირს, მასზე საუბარი ზედმეტია, ვინაიდან საერთოდ არ დასტურდება კასატორისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობები;

(iv) სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დაურთო საქმეს მტკიცებულებები. ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი ყველა ახალი მტკიცებულება 2015 წლითა დათარიღებული, შესაბამისად, მხარეს მათი სააპელაციო სასამართლოში წარდგენის უფლება აღარ გააჩნდა.

1.2. საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე განჩინების მიმართ:

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნიათ სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა, დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. 2012 წლის სექტემბრიდან მხარეები იმყოფებიან შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში;

1.2.2. დასაქმებული კომპანიაში ასრულებდა სანყოფის ზედამხედველის ფუნქციებს, მეთვალყურეობდა სანყოფის განთავსებულ პროდუქციას და გასცემდა მას, იყო პასუხისმგებელი პროდუქციაზე, მას გააჩნდა სანყოფის გასაღები და დამცავი კოდი;

1.2.3. ხელშეკრულების 2.2.2 პუნქტის თანახმად, დასაქმებული ვალდებულია, გაუფრთხილდეს დამქირავებლის ქონებას, უზრუნველყოს მისთვის ჩაბარებული დოკუმენტების ჯეროვანი დაცვა;

1.2.4. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღწერის ოქმის თანახმად, 2015 წლის 30 ივლისს კომპანიაში ჩატარდა მზა პროდუქციისა და მატერიალური სანყოფის ინვენტარიზაცია, რა დროსაც სანყოფში აღმოჩნდა 38 989.60 ლარის დანაკლისი. მოსარჩელის მითითებით, ინვენტარიზაცია ჩატარეს ორგანიზაციის თანამშრომლებმა: ბუღალტერმა, სანყოფის უფროსის დროებითი მოვალეობის შემსრულებელმა და გაყიდვების მენეჯერმა. ინვენტარიზაციისას დათვლილ იქნა იმ დროისათვის სანყოფში არსებული პროდუქცია, რაც შედარდა ბუღალტრულად აღრიცხულ ნაშთთან და აღმოჩნდა დანაკლისი. დანაკლისის არსებობა დაადასტურა სააპელაციო და მასზე საუბარია საგამოძიებო სამსახურის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე გამოკითხული პირების ჩვენებებითაც;

1.2.5. მოპასუხის მუშაობის არცერთ ეტაპზე არ ყოფილა დაფიქსირებული სანყოფში არსებული დანაკლისი.

### **1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:**

1.3.1. განსახილველი სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებს შრომის კოდექსის 44-ე, სამოქალაქო კოდექსის 394-ე და 408.1 მუხლები წარმოადგენს, რომელთა ფარგლებშიც მისათითებელი ფაქტებია: მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობაში ყოფნა; მოპასუხის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების ბრალეული დარღვევა; ამ დარღვევის შედეგად მოსარჩელისათვის მატერიალური ან სხვა სახის დანაკლისის არსებობა; მიზეზობრივი კავშირის არსებობა ვალდებულების ბრალეულ დარღვევასა და დამდგარ შედეგს შორის. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველი სარჩელის დამფუძნებელი ნორმის ელემენტების მითითების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს, ხოლო იმის მიხედვით, თუ რომელ ფაქტებს შეედავება მოპასუხე, მოსარჩელესვე ეკისრება ამ ფაქტების დადასტურების ვალდებულება (სსსკ-ის 102-ე მუხლი). მხოლოდ მას შემდეგაა მიზანშეწონილი მოპასუხის მხრიდან მტკიცებულებათა მიღება-გამოკვლევა, თუკი მოსარჩელე თავს გა-

ართმევს მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადასტურების ტვირთს. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის გამომრიცხველი მტკიცებულებების წარდგენა მოპასუხეს შეიძლება, მხოლოდ მას შემდეგ მოეთხოვოს, რაც მოსარჩელე სარწმუნოდ დაადასტურებს მოთხოვნის წინაპირობებს.

1.3.2. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას სამართლის მხრიდან მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილების თაობაზე და მიიჩნევს, რომ სახეზეა გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული წინაპირობა. უპირველესად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საქმის მომზადების ეტაპზე, სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილი შესაგებლით მოპასუხემ სადავო გახადა, როგორც დანაკლისზე საკუთარი პასუხისმგებლობის არსებობა, ისე – ინვენტარიზაციის შედეგები, კერძოდ, შესაგებელში მითითებულია, რომ შრომითი ხელშეკრულება პასუხისმგებლობის დაკისრებაზე მხარეთა შეთანხმებას არ შეიცავს, ამასთანავე, ინვენტარიზაციის ჩატარებას არ დასწრებია მოპასუხე, გარდა ამისა, მოსარჩელეს არ აქვს წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც ინვენტარიზაციამდე პერიოდს ასახავდა. ხსენებული შედაგების გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ, გარდა მხარეთა შრომით ურთიერთობაში ყოფნისა, ყველა ფაქტი მტკიცების საგანში შედის.

1.3.3. სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელთან დაკავშირებით მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტზე: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს პროცესის მიზნებისათვის განკუთვნიად მტკიცებულებათა ზოგად ჩამონათვალს და განსაზღვრავს, თუ რა წარმოადგენს დასაშვებ მტკიცებულებებს (ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მონმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით). ვინაიდან მოთხოვნის მომწესრიგებელი მატერიალური სამართლის ნორმები მტკიცების განსხვავებულ სტანდარტს არ გვთავაზობს, სადავო გარემოებათა დადასტურების მიზნით დასაშვებია ყველა ზემოხსენებული მტკიცებულების გამოყენება. რაც შეეხება სადავო ფაქტის დადგენას, სასამართლო მოპასუხის შედაგების არსებითობისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით (მტკიცებულებების შეფასება ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად), საკუთარ შინაგან რწმენაზე

დაყრდნობით ადგენს ამა თუ იმ ფაქტის არსებობის საკითხს, რა დროსაც მოწმდება წარდგენილი მტკიცებულების იურიდიული სანდოობა, მისი საკმარისობა და სხვა.

1.3.4. საკასაციო პალატა არ იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას იმის თაობაზე, რომ, ვინაიდან მოპასუხის მუშაობის განმავლობაში არ დაფიქსირებულა სანყობში მატერიალური ფასეულობის დანაკლისი, პრეზუმირებული იყო დასაქმებულის მიერ სანყობის დანაკლისის გარეშე ჩაბარება, ამასთან, მოსარჩელის სხვა თანამშრომლების მიერ შედგენილი 2015 წლის 30 ივლისის აღწერის ოქმისა და იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხეს ამ მტკიცებულების საწინააღმდეგო სხვა დოკუმენტი არ წარუდგენია, სარჩელი საფუძვლიანად მიიჩნია. გადაწყვეტილების თანახმად, პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს წარმოადგენდა მოპასუხის მიერ ზიანის დადგომის რისკის პრევენციის განუხორციელებლობა. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე მოთხოვნის განმაპირობებელ ფაქტებად არ მიუთითებს ისეთ ქმედებას, რომელთა ანალიზი სასამართლოს მისცემდა დელიქტურ ვალდებულებაზე მსჯელობის შესაძლებლობას (სკ-ის 992-ე მუხლი), უფრო მეტიც, საქმის მასალებით ირკვევა, რომ სადავო ფაქტზე დაწყებულია სისხლის სამართლის საქმისწარმოება და სამართალდამცავ ორგანოებს მოპასუხის ბრალეულობა არ დაუდგენიათ. რაც შეეხება შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნას, განსხვავებით დელიქტური ვალდებულებისაგან, ამ შემთხვევაში, სახეზე უნდა იყოს შრომის ორგანიზაციული მონესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაო ვალდებულების დარღვევა, ამასთანავე, მხარის ქმედება არა პრეზუმირებული, არამედ – მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის განმაპირობებელი უშუალო გარემოება უნდა იყოს.

1.3.5. დასაქმებულისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობა არ შეიძლება, გახდეს მხოლოდ პრეზუმირებული გარემოება იმის თაობაზე, რომ არსებობს დანაკლისი, მაშინ, როდესაც მოპასუხე შესაგებელშივე აპელირებდა ზიანის გამოთვლის საკითხზე და მიუთითებდა, რომ 2015 წლამდე ინვენტარიზაციის ჩატარების ფაქტს მოსარჩელე ვერ ამტკიცებდა. იმ ვითარებაში, როდესაც საუბარია მიბარებული საქონლის დანაკლისზე, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, კონკრეტული ოდენობით ნივთის მიბარების ფაქტი მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. გარდა ამისა, მოპასუხის შედავების ფარგლებში მნიშვნელოვანია, დადგინდეს დამსაქმებლის თანამშრომლების მიერ შედგენილი აღწერის აქტის იუ-

რიდიული სანდოობის საკითხი და ის გარემოება, თუ რამდენად სარწმუნოდაა დასაბუთებული ამ დოკუმენტში დანაკლისის არსებობა. საკასაციო პალატის შეფასებით, შრომითი ხელშეკრულების დარღვევის საფუძველით მატერიალური დანაკლისის ღირებულების დასაქმებულისათვის დაკისრების საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს ასევე ის ფაქტიც, რომ მოპასუხე ფლობდა საწყობის გასაღებს, დამცავ კოდს და მას ეკისრებოდა დანაკარგების პრევენცია, რადგანაც არც გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ დგინდება და არც სარჩელში პირდაპირ არაა მითითებული ის ფაქტი, რომ მატერიალური აქტივების დანაკლისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან მიმართებით დასაქმებულის გულგრილი დამოკიდებულების შედეგია (მაგალითად: ევალეზოდა არასამუშაო საათებში საწყობის მეთვალყურეობა; გასაღების ან დამცავი კოდის შენახვის წესის დარღვევის გამო დადგა ზიანი და სხვა). გარდა ამისა, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შრომითი ხელშეკრულების 2.2.2. პუნქტი წარმოადგენს ზოგადი ხასიათის ჩანაწერს და მისი არც სიტყვასიტყვითი და არ ლოგიკური განმარტებიდან (სკ-ის 52-ე მუხლი) არ გამომდინარეობს მხარეთა შეთანხმება საწყობში აღმოჩენილ დანაკლისზე დასაქმებულის უპირობო პასუხისმგებლობის თაობაზე.

#### **1.4. საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პროცესუალურსამართლებრივი დასაბუთება:**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საპროცესო წესების დარღვევით დაადგინა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. ამასთანავე, რადგანაც საჭიროა მტკიცებულებათა ხელახალი გამოკვლევა, ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველით, პალატა საქმეს ხელახლა განსახილვად უბრუნებს იმავე სასამართლოს, რომელმაც ამ განჩინებაში განვითარებული მსჯელობის შესაბამისად უნდა განაწილოს მხარეთა შორის მტკიცებების ტვირთი, შეაფასოს საქმის მასალები, დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და შემდგომ გადაწყვიტოს უფლების საკითხი.

#### **2. საოქმო განჩინების კანონიერება:**

2.1. 2017 წლის 16 თებერვლის საოქმო განჩინებით სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა აპელანტის შუამდგომლობა საქმე-

ზე დამატებითი მტკიცებულებების დართვის თაობაზე. შუამდგომლობის შესწავლით ირკვევა, რომ ახალ მტკიცებულებებს ძირითადად გამოძიების მასალები წარმოადგენს.

2.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიძლება, მოყვანილ იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილ იქნეს ახალი მტკიცებულებები. სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო, წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა.

2.3. სადავო მტკიცებულებების საქმისათვის დართვის შესახებ განჩინებას სააპელაციო პალატამ საფუძვლად ის გარემოებაც დაუდო, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში ამ მტკიცებულებათა წარდგენა მოპასუხეს სადავო არ გაუხდია. აღნიშნული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლით განსაზღვრული მხარის უფლებაა, რაც შეიძლება კონკრეტული საკითხის შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში მიიღოს. კასატორს ხსენებული გარემოება სადავოდ არ გაუხდია, უფრო მეტიც, საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ მსჯელობას იმის თაობაზე, რომ მხარეს საგამოძიებო ორგანოდან დოკუმენტები მას შემდეგ გადაეცა, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ დაასრულა საქმის განხილვა და გამოაცხადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინების წინააღმდეგ საკასაციო საჩივარი არ შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-394-ე მუხლებით გათვალისწინებულ დასაბუთებულ შედეგებს.

### **3. პროცესის ხარჯები:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეუღია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ვინაიდან მოცემული საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ქვემდგომ სასამართლოს, პროცესის ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 404-ე, 412-ე მუხლებით და

## დაადგინა:

1. მ. გ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. კასატორის მოთხოვნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 16 თებერვლის (საოქმო) განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ექსპერტიზის დანიშვნა

### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-661-617-2017

28 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** ხელშეშლის აღკვეთა

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. საჯარო რეესტრის 2015 წლის 30 იანვრის ამონაწერით დგინდება, რომ უძრავი ქონება, მდებარე კასპის რაიონის სოფელ ... (ს/კ №...), საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ე. მ-ის (შემდგენში: მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) სახელზე (იხ. ამონაწერი).
2. საჯარო რეესტრის 2013 წლის 15 მაისის ამონაწერის მიხედვით, უძრავ ქონებაზე, მდებარე კასპის რაიონის სოფელ ..., სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) მიწის ნაკვეთის (ს/კ №...) საკუთრების უფლება რეგისტრირებულია ო. მ-ის (შემდგენში: პირველი მოპასუხე) სახელზე (იხ. ამონაწერი).
3. საჯარო რეესტრის 2013 წლის 16 აგვისტოს ამონაწერით დასტურდება, რომ უძრავ ქონებაზე, მდებარე კასპის რაიონის სოფელ ... სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი

(ს/კ №...) საკუთრების უფლებით აღრიცხულია ს. მ-ის (შემდეგში: მეორე მოპასუხე) სახელზე (იხ. ამონაწერი).

4. უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ პირველი და მეორე მოპასუხეები ძმები არიან.

#### **5. სარჩელის მოთხოვნა და საფუძვლები**

5.1. მოსარჩელემ 2015 წლის 3 აგვისტოს სარჩელი აღძრა ამ განჩინების მე-2 და მე-3 პუნქტებში დასახელებული მოპასუხეების წინააღმდეგ და მოითხოვა:

5.1.1. მოპასუხეებს აღეკვეთოთ მოსარჩელისათვის ამ უკანასკნელის კუთვნილი უძრავი ნივთით (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი) სარგებლობის ხელშეშლა;

5.1.2. მოპასუხეებს დაევალოთ მათ საკუთრებად რიცხული უძრავი ქონების-სახნავი დანიშნულების მიწის ნაკვეთებს (რეგისტრირებული საკადასტრო კოდებით: №... და №...) შორის არსებული ტერიტორიის გამოთავისუფლება და ამ ტერიტორიისათვის გზის დანიშნულების დაბრუნება №... საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებული ნაკვეთის მთელ პერიმეტრზე.

5.2. მოსარჩელემ საკუთარი მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძვლად მიუთითა, რომ მას საკუთრებაში აქვს ამ განჩინების პირველ პუნქტში დასახელებული მიწის ნაკვეთი (№...), რომლის მომიჯნავედ ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან იყო სოფლის კოლმეურნეობის ფერმები, სადაც გადიოდა სოფლის გზა, რომელიც მის ნაკვეთს აკავშირებდა გრუნტის სამანქანო გზასთან. საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიხედვით, ყოფილი ფერმის მეორე კორპუსის მესაკუთრეა ს. მი (მეორე მოპასუხე; მიწის ნაკვეთის ს/კ №...), ხოლო მის ქვემოთ, შარაგზის გადმოღმა არსებული მიწის ნაკვეთისა კი მისი ძმა – ო. მ. (პირველი მოპასუხე; მიწის ნაკვეთის ს/კ №...). მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეებმა ფერმის კორპუსები დაშალეს და მითითებული ორი ნაკვეთი გააერთიანეს, ერთობლივად მოხნეს და ამ ქმედებით მიითვისეს და გააუქმეს ამ ორ ნაკვეთს შორის გამავალი საჯარო გზა, რითაც მოსარჩელე უკავშირდებოდა სოფლის გრუნტიან სამანქანო გზას. აღნიშნულით მოპასუხეებმა მოსარჩელეს მოუსპეს ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთით სრულფასოვანი სარგებლობის საშუალება, ვინაიდან მას ნაკვეთში ველარ შეჭრას ტექნიკა და, შესაბამისად, ვერ გამოაქვს მოსავალი;

5.3. მოსარჩელის მტკიცებით, ორთოფოტოზეც და საკადასტრო რუკაზეც ნათლად იკვეთება, რომ №... (მეორე მოპასუხის კუთვნილი ნაკვეთი) და №... (პირველი მოპასუხის კუთვნილი ნაკვეთი) მიწის ნაკვეთებს შორის არსებობს არეალი, რომელიც საჯარო საკუთრებაა და აღნიშნული არ წარმოადგენს მოპასუხეთა საკუთრებაში შემავალი მიწის ნაკვეთს, ხოლო მისი დასაკუთრებით კი პრაქტიკუ-

ლად მოპასუხებმა სახელმწიფო ქონება მიითვისეს (იხ. სარჩელი).

## **6. მოპასუხეთა შესაგებელი**

6.1. მოპასუხებმა წერილობით წარდგენილი შესაგებლებით სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ მოსარჩელე ნამდვილად ფლობს მიწის ნაკვეთს კასპის რაიონის სოფელ ... მათივე განცხადებით, იმ ადგილებში, სადაც ამჟამად მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებია, ნამდვილად იყო კოლმეურნეობის ფერმები, თუმცა, არასდროს ყოფილა საჯარო გზა. თავის დროზე სწორედ ფერმებთან მისასვლელი გზა იყო, რომელიც ფერმების გაუქმების შემდეგ ასევე გაუქმდა, შესაბამისად, ეს გზა არასდროს ყოფილა უშუალოდ მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზა;

6.2. იმის გამო, რომ მოპასუხეები წლების განმავლობაში არ სარგებლობდნენ თავიანთი მიწის ნაკვეთებით, მოსარჩელე სწორედ მათ საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე გადაადგილდებოდა, თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ეს საჯარო გზა იყო, რადგან გზის სტატუსი მას არასდროს ჰქონია. ამასთან აღსანიშნავია, რომ მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს აქვს სხვა მხრიდან მისასვლელი გზაც, შესაბამისად, არ ვლინდება მოსარჩელისათვის საკუთარი უძრავი ნივთით სრულფასოვანი სარგებლობის შეზღუდვა;

6.3. მოპასუხებმა ისიც მიუთითეს, რომ ისინი წლების განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ მიწის ნაკვეთებით, რომლებიც კანონით დადგენილი წესით დაარეგისტრირეს 2013 წელს; დღეის მდგომარეობით მათ ნამდვილად აქვთ საკუთრებაში დამუშავებული ნაკვეთები, რადგან, როგორც მესაკუთრეებს, უფლება აქვთ თავიანთი შეხედულებისამებრ განკარგონ კუთვნილი უძრავი ქონება (იხ. შესაგებლები).

## **7. გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები**

7.1. გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

7.2. სასამართლომ წინამდებარე განჩინების 1-4 პუნქტებში ასახულ გარემოებებზე მიუთითა და დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 170-ე „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას“, 172-ე „მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბ-

რუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება. თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით“ მუხლები და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 102-ე მუხლი, რომლის თანახმად „1. თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. 2. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მონშეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. 3. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით“.

7.3. რაიონულმა სასამართლომ სსსკ-ის 102-ე მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეზე იყო გადატანილი იმ გარემოებების მტკიცების ტვირთი, რაც მისი სასარჩელი მოთხოვნების საფუძვლიანობას დაადასტურებდა, კერძოდ, რაში გამოიხატებოდა მოპასუხეთა ქმედება, რითაც ხელი ეშლებოდა მოსარჩელეს თავის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთით – მიწის ნაკვეთით სარგებლობაში; ასევე, არსებობდა თუ არა სავალი გზა, რომელიც გრუნტიან სამანქანო გზასთან აკავშირებდა მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს და აღნიშნული სავალი გზა თვითნებურად მიითვისეს, გამოიყენეს, მოხნეს თუ არა მოპასუხეებმა.

7.4. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეზე წარმოდგენილი მოსარჩელისა და მოპასუხეთა სახელზე არსებული უძრავი ქონების – მიწის ნაკვეთების ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან, დგინდებოდა, რომ სამივე მათგანის საკუთრებაშია მიწის ნაკვეთები მდებარე კასპის რაიონი სოფელ ... (იხ. ამ განჩინების 1-3 პუნქტები).

7.5. საქმეში ასევე წარდგენილი იყო საკადასტრო რუკა და ორთოფოტო, სადაც სხვებთან ერთად, აღნიშნულია მხარეთა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები.

7.6. მოსარჩელის მიერ წარდგენილ საკადასტრო რუკასა და ორთოფოტოზე ამ უკანასკნელის მიერ მარკერით არის აღნიშნული ის ე.წ. „საჯარო გზა“, რომლითაც მოსარჩელემ უნდა ისარგებლოს და, ამ უკანასკნელის მტკიცებით, რომლის სარგებლობის უფლებაც მოპასუხეთა ქმედების შედეგად მას შეეზღუდა.

7.7. სასამართლომ საქმეზე წარდგენილ მტკიცებულებათა ერთობლივად შეფასებით დაასკვნა, რომ არ დგინდებოდა მოსარჩელის მიერ მითითებული სადავო გარემოება, რომ ამ უკანასკნელს მოპასუხეთა ქმედების შედეგად რაიმე სახის ზიანი მიაღწა, მათ შორის, შეეზღუდა ან/და აეკრძალა თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთით სარგებლობა. მხოლოდ მოსარჩელის ახსნა-განმარტება ვერ იქნებოდა მიჩნეული აღნიშნულის დამადასტურებელ სათანადო მტკიცებულებად და ვერ დაედებოდა საფუძვლად სარჩელის დაკმაყოფილებას. მოპასუხეები სარგებლობენ თავიანთ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთით, აღნიშნულის საწინააღმდეგო გარემოების მტკიცების ტვირთი გადატანილი იყო მოსარჩელეზე, რომელმაც დამაჯერებელი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა მოპასუხეთა მიერ მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ნივთით სარგებლობაში ხელშეშლა, ამ უკანასკნელმა ვერ წარუდგინა სასამართლოს. აღნიშნული მოსარჩელის პირველი სასარჩელო მოთხოვნის (იხ. ამ განჩინების 5.1.1 ქვეპუნქტი) უარყოფის საფუძველი გახდა.

7.8. მოსარჩელის მეორე სასარჩელო მოთხოვნაზე (იხ. ამ განჩინების 5.1.2 ქვეპუნქტი) მსჯელობისას, რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდებოდა, თუ სად გადაიოდა ე.წ. „საჯარო გზა“, რა სიგრძისა და სიგანის იყო, ნამდვილად იყო თუ არა ასეთი ე.წ. „საჯარო გზა“ სწორედ „№... და №... საკადასტრო ერთეულებს შორის ... საკადასტრო ერთეულის მთელ პერიმეტრზე“ (მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის შესაბამისად).

7.9. სასამართლომ აღნიშნა, თავად მოსარჩელის მიერ წარდგენილ საკადასტრო რუკასა და ორთოფოტოზე, გარდა უკვე დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთებისა, ასევე არის ცარიელი სივრცე, რაც თავისთავად არ გულისხმობს, რომ ყველა მათგანი არის „გზა“, რითაც მიწის ნაკვეთები ერთმანეთს უკავშირდება ან/და უკავშირდება გრუნტიან გზას ან/და სამანქანე გზას ან/და სოფლის გზას და ა.შ. სასამართლომ აღნიშნა, რომ საკადასტრო რუკასა და ორთოფოტოზე, რომელიც, როგორც მოსარჩელის წარმომადგენელმა განაცხადა, ხელმისაწვდომია ინტერნეტის საშუალებით და სწორედ ასეთი სახით იქნა წარდგენილი სასამართლოსათვის, „საჯარო გზა“ კი თავად მხარის მიერ არის მონიშნული, თუ სად და რა მიმართულებით უნდა გავიდეს იგი, ხოლო სასამართლო სხდომაზე კი მხარემ მიუთითა, რომ სურვილისა და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია გზის მიმართულების შეცვლაც, რადგან სარჩელზე დართული, ანუ თავდაპირველად არსებული მონიშნული „საჯარო გზა“ №... საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ნივთის – მიწის ნაკვეთზე გადიოდა.

7.10. სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელეს საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებებით უნდა დაედგინებინა, რომ ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სრულფასოვანი სარგებლობის უფლება მოპასუხეებმა თავისი ქმედებით მოუსპეს, რაც იმაში გამოიხატება, რომ მოსარჩელეს ვერ შეჰყავს კუთვნილ მიწის ნაკვეთში ტექნიკა და შესაბამისად, ვერ გამოაქვს მონეული მოსავალი. სასამართლოს შეფასებით, აღნიშნულის დამადასტურებელი თუნდაც ირიბი სახის მტკიცებულება, საქმეში არ მოიპოვებოდა, ისევე როგორც არ დგინდებოდა, რომ მხოლოდ ეს ერთი მისასვლელი გზა აქვს მოსარჩელეს. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე, რაიონულმა სასამართლომ ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია მეორე სასარჩელო მოთხოვნაც.

### **8. მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის საფუძვლები**

8.1. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, საჩივრის უარყოფა შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

8.1.1. მოპასუხემ შესაგებელში დაადასტურა, რომ იგი მოსარჩელეს არ აძლევს საჯარო ტერიტორიაზე გავლის უფლებას. საჯარო რეესტრის დოკუმენტებით დასტურდება და სასამართლომაც დადგენილად ცნო, რომ სადავო ტერიტორია არ არის მოპასუხეთა საკუთრება, თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივრი;

8.1.2. საქმეში წარდგენილი ორთოფოტოთი დასტურდება, რომ სადავო ტერიტორია არის საჯარო გრუნტის გზა. საკადასტრო რუკისა და ორთოფოტოს შედარებით დგინდება, რომ მოპასუხეთა მიწის ნაკვეთებს შორის არსებული თავისუფალი არეალი ემთხვევა არსებული გრუნტის გზის კონტურს. აღნიშნული ტერიტორია საკადასტრო რუკაზე დატანილია საჯარო ტერიტორიად და არა მხოლოდ მოსარჩელეს, ნებისმიერ მსურველს აქვს მასზე თავისუფლად გადაადგილების კონსტიტუციური უფლება;

8.1.3. სადავო გზით მოსარჩელე უკავშირდება სოფლის გრუნტის სამანქანო გზას და, მოპასუხეთა მხრიდან ხელშეშლის გამო, მას აღარ აქვს უძრავი ნივთით სრულფასოვანი სარგებლობის საშუალება, მოსარჩელეს საკუთარ მიწის ნაკვეთში ვერ შეჰყავს ტექნიკა და ვერ გამოაქვს მოსავალი.

### **9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები**

9.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 21 მარტის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვე-

ტილება უცვლელად დარჩა.

9.2. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასება და მიუთითა მათზე (სსსკ-ის 390.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

9.3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 31.01.2017წ. საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა ამ უკანასკნელის მიწის ნაკვეთთან (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი) მისასვლელად მოპასუხეების მიწის ნაკვეთებს შორის გავლის ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის ნაწილში საქმეზე სპეციალისტის მოწვევის შესახებ;

9.3.1. პირველი და მეორე მოპასუხეების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს (იხ. ამ განჩინების მე-2 და მე-3 პუნქტები) შორის გზის არსებობის საკითხის გასარკვევად და საკადასტრო მონაცემების წასაკითხად, შესაჯერებლად სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მოწვეულ იქნა სპეციალისტი.

9.3.2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში 07.03.2017წ. გამართულ სასამართლო სხდომაზე მოწვეული სპეციალისტის სტატუსით გამოცხადდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გეოდეზიისა და გეოინფორმაციის დეპარტამენტის კადასტრის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი მ. უ. (იხ. 07.03.2017წ. სხდომის ოქმი CD დისკზე, 15:41:03-15:41:32).

9.4. სპეციალისტის განმარტებით: მოპასუხეთა საკუთრებაში რიცხული მიწის ნაკვეთები საკადასტრო კოდებით: №... და №..., რეგისტრირებულია სახელწიფოს საკუთრებაში არსებული ყოფილი ფერმის ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენდა ერთ მთლიან მიწის ნაკვეთს და აღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებულ ტერიტორიაზე არასდროს ყოფილა რაიმე სახის გზა. ფერმის ტერიტორია სახელწიფოს მიერ გასხვისდა და იგი დარეგისტრირდა მოპასუხეთა საკუთრებად (15:41:48-15:42:53; 15:46:06); მართალია, დღეის მდგომარეობით №... და №... მიწის ნაკვეთებს შორის არსებობს დაახლოებით 6 მეტრი სიგრძის ფართობი, თუმცა, ეს, სავარაუდოდ, გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთების კერძო მესაკუთრეთა სახელზე აღრიცხვა განხორციელდა სხვადასხვა დროს, თავად მათ მიერ წარდგენილი აზომვითი ნახაზების შესაბამისად (15:46:06-15:47:28; 16:06:20-16:07:20).

9.4.1. მოსარჩელის საკუთრებაში რიცხულ მიწის ნაკვეთს – საკადასტრო კოდით №..., კადასტრის მონაცემების მიხედვით გააჩნია მისასვლელი გზა აღმოსავლეთის მხრიდან, რომელიც თავიდანვე ჰქონდა. რაც შეეხება ე.წ. ძველი ფერმის ტერიტორიას, ვიდრე

ტერიტორიას შეეღობავენ, სარგებლობდნენ ამ ტერიტორიით, ვინაიდან აქედან გადაადგილება ამოკლებდა კავშირს საჯარო გზასთან (15:43:18-15:43:33);

9.4.2. იმ მოცემულობით, რაც ორთოფოტოზე რეგისტრირდება, მხოლოდ მოპასუხეთა საკუთრებაში არსებულ ნაკვეთებს შორის არსებული ცარიელი ადგილის გამოყენებით მოსარჩელე ჯერონად მაინც ვერ დაუკავშირდება გზას კუთვნილი მიწის ნაკვეთიდან, თუ არ გადაიარა მოპასუხის ან/და სხვა მესაკუთრის ნაკვეთი (15:57:38-15:59:22; 16:07:20-16:08:15).

9.4.3. საქმეს დაერთო სპეციალისტის მიერ წარდგენილი მასალები რეგისტრირებული მონაცემების თაობაზე, რომელსაც ახსნა-განმარტების მიცემისას ეყრდნობოდა სპეციალისტი (იხ. 07.03.2017წ. სხდომის ოქმზე თანდართული მასალები).

9.5. სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილზე მიუთითა, რომლის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

9.5.1. სასამართლომ განმარტა, რომ მტკიცებულებათა შეფასების შედეგი აისახება სასამართლოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში, რომელიც უნდა შეიცავდეს მსჯელობას იმის შესახებ, თუ რატომ იზიარებს ან რატომ უარყოფს სასამართლო ამა თუ იმ მტკიცებულებას. ამასთან, მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა ნიშნავს არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ მტკიცებულებაზე დაყრდნობას, არამედ მათ ერთობლიობაში შესწავლა-ანალიზს, რომელთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე სასამართლო გამოიტანს დასკვნას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობა-არარსებობის შესახებ.

9.5.2. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მონვეული სპეციალისტის განმარტებების და საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგენილად მიიჩნია დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოება, რომ მოპასუხეთა საკუთრებაში აღრიცხულ №... და №... საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთებს შორის არსებულ ტერიტორიას არ აქვს და არც წარსულში ჰქონია გზის სტატუსი. ის გარემოება, რომ მოსარჩელის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს აღმოსავლეთის მხრიდან გააჩნია საჯარო გზასთან დამაკავშირებელი გზა, დადასტურა საქმეზე მონველმა სპეციალისტმა და სადავოდ არ გაუხდია არც მოსარჩელეს. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნას არც წარმოადგენს მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონების ჯეროვანი გამოყე-

ნებისათვის აუცილებელი კავშირის უზრუნველყოფა (სსკ-ის მე-80 მუხლი).

9.5.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელეს გააჩნია ჯეროვანი კავშირი საჯარო გზასთან და არ დგინდება სადავო ტერიტორიის გზის სტატუსით არსებობის ფაქტი, მოსარჩელის კანონიერ უფლებებთან შემხებლობაში ვერ იქნება, თუ რა მოცემულობით არსებობს დღეს მოპასუხეთა საკუთრებაში აღრიცხულ მიწის ნაკვეთებს შორის მდებარე დაურეგისტრირებული ფართი ან/და რამდენად ემთხვევა რეგისტრირებული მონაცემები დამუშავებულ მიწის ფართს.

9.6. სააპელაციო სასამართლომ სარჩელი უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა.

### **10. მოსარჩელის საკასაციო საჩივრის საფუძვლები**

10.1. მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, მისი გაუქმება მოითხოვა და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებების იდენტურ საკასაციო პრეტენზიებზე დაყრდნობით (იხ. წინამდებარე განჩინების მე-8 პუნქტი).

### **11. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი**

11.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 24 ივლისის განჩინებით წარმოებაშია მიღებული, ხოლო ამავე წლის 23 ოქტომბრის განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგი მოტივაციით:

12. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონიშნავს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნო-

ბილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

13. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს, რომ მოსარჩელემ მოითხოვა კუთვნილი უძრავი ნივთით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთა მოპასუხეთაგან და გზის დანიშნულების დაბრუნება პირველი მოპასუხის საკუთრებად რიცხული მიწის ნაკვეთის (ს/კ №...) მთელ პერიმეტრზე, რაც საკასაციო სასამართლოს შეფასებით, შესაძლოა შემონმდეს აუცილებელი გზის სამართლებრივი დანაწესის ფარგლებში (იხ. წინამდებარე განჩინების 5.1.1-5.1.2 ქვეპუნქტები).

14. მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ასევე, სასამართლომ უნდა შეამოწმოს სსკ-ის 180-ე მუხლის წინაპირობები, თუმცა, საამისოდ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტებისა და მოპასუხეთა შესაგებელში აღწერილი ფაქტების მიხედვით (სსკ-ის 177-ე-178-ე და 201-ე მუხლები), საკითხის დამატებითი გამოკვლევა და შესწავლაა საჭირო, რაც მოითხოვს სპეციალურ ცოდნას. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე დაკითხული სპეციალისტის განმარტება არ არის საკმარისი, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიყენოს სსკ-ის 162-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შესაძლებლობა: „თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია“.

15. კასატორის წარმომადგენელმა საკასაციო სასამართლოს 24.11.2017წ. სხდომაზე (იხ. სხდომის ოქმი – 12:30:07-დან) მიუთითა საქმის მასალებში მოთავსებულ ორთოფოტოზე და განმარტა, რომ ამ დოკუმენტზე ს/კოდით ... მონიშნული მიწის ნაკვეთი საქმის განხილვის დროისათვის არავის სახელზე არ არის რეგისტრირებული (სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა, განმცხადებელს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე), არც ამ ტერიტორიაზე არ უშვებენ მოსარჩელეს ის პირები, რომელთაც უკანონოდ აქვთ დაკავებული სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი. კასატორის წარმომადგენლის მითითებით, მოპასუხეთა მიწის ნაკვეთებს (ს/კოდები: №... და №...) შორის არსებობს 6-მეტრიანი თავისუფალი სივრცე, რომლითაც სარგებლობდა მოსარჩელე. სასამართლოს შე-

კითხვების პასუხად, თავად კასატორმა განმარტა, რომ ის 15 წელი ამუშავებდა საკუთარი მინის ნაკვეთს და ამდენივე წელი სადავო გზით მარტო თვითონ სარგებლობდა. კასატორის წარმომადგენელმა მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ მტკიცებულებებზე და განმარტა, რომ საჯარო გზიდან საკუთარ მინის ნაკვეთამდე მოსარჩელეს (კასატორს) შეუძლია მოხვდეს მხოლოდ მოპასუხეთა მინის ნაკვეთებს შორის არსებული თავისუფალი სივრცის გავლით (იხ. საკასაციო სასამართლოს სხდომის ოქმი – 12:50:40-დან). კასატორი აცხადებს, რომ მის საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთით რეალურად ვერ სარგებლობს, რადგან არსაიდან აქვს მისასვლელი თავის უძრავ ქონებამდე, 15 წლის მანძილზე იგი საჯარო გზას უკავშირდებოდა იმ თავისუფალი კორიდორით, როგორც გზით, რომელიც მოპასუხეთა კუთვნილ მინის ნაკვეთებს შორის გადის, მათ ამ თავისუფალი ტერიტორიით სარგებლობის უფლება არ აქვთ. მოპასუხეებს სრულად აქვთ გადაკეტილი ეს თავისუფალი სივრცე, რაც ხელს უშლის მოსარჩელეს თავისი მინის ნაკვეთით სარგებლობაში იმგვარად, როგორც ის სარგებლობდა ადრე 15 წლის განმავლობაში, ვერ შეჰყავს ტრაქტორი, ვერ გააშაქოს მონეული მოსავალი.

16. კასატორის მტკიცებების საწინააღმდეგოდ, პირველმა მოპასუხემ მიუთითა, რომ თუკი მოსარჩელე გამოივლის მოპასუხეთა მინის ნაკვეთებს შორის არსებულ თავისუფალ ტერიტორიაზე, ის მოხვდება სხვა პირის – კ-ის მინის ნაკვეთზე. მოპასუხემ განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული მინის თავისუფალი არეალი რეალურად არა 6, არამედ 3 მეტრია და მისი მინის ნაკვეთის გარეთ მდებარეობს, ამასთან, მის საკუთრებად რიცხული №... მინის ნაკვეთი არის „სეტკით“ შეღობილი, აქ არასდროს ყოფილა გზა, იყო ფერმის შიდა ტერიტორია, შესაძლოა სადმე გზაც იყოს მონიშნული, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ფერმის შიდა ტერიტორია იყო და არა საერთო სარგებლობის გზა, ასეთი არც არასდროს ყოფილა. თუკი მოპასუხე ამ სადავო თავისუფალ ტერიტორიაზე შემოვა, მან აუცილებლად უნდა გადაიაროს პირველი მოპასუხის კუთვნილი მინის ნაკვეთი, სადაც მხარეს აქვს ხეხილი; მოსარჩელეს აქვს სხვა მხრიდან შესასვლელი თავის მინის ნაკვეთში, ასევე, არის ერთი თავისუფალი მინის ნაკვეთი, დაახლოებით 0,20 კვ.მ, რომლის დაკანონება უნდა მოსარჩელეს, ოღონდ ისე, რომ აუცილებლად პირველი მოპასუხის მინის ნაკვეთზე გადაიაროს, რისი უფლებაც არ აქვს მოსარჩელეს. პირველი მოპასუხე აცხადებს, რომ თუკი მის საკუთრებას არ შეეხება მოსარჩელე, ცხადია, ამ უკანასკნელთან მას არავითარი პრეტენზია არ ექნება, უბრალოდ, მოსარჩელე ფიზიკურად ვერ მოხვდება თავის მინის ნაკვეთში პირველი მოპასუ-

ხის კუთვნილი საკუთრების გარეშე. მოპასუხემ განმარტა, რომ მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის №... გადავლის გარეშე, მოსარჩელე ვერ მოხვდება თავის მიწის ნაკვეთში, რადგან ეს უკანასკნელი კუთვნილი მიწის ნაკვეთზეც უნდა გადავიდეს. პირველი მოპასუხე განმარტავს, რომ მოპასუხეთა მიწის ნაკვეთებს შორის არსებულ თავისუფალ 6-მეტრიან სივრცეზე, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაა და მოპასუხეს არც აქვს გადაკეტილი, რომც იაროს ფეხით მოსარჩელემ, იგი ტრაქტორს მაინც ვერ გაატარებს, რადგან მოუწევს პირველი მოპასუხის მიწის ნაკვეთის გადავლა. სარჩელის მიხედვით მოსარჩელეს არ აქვს მეორე მოპასუხის წინააღმდეგ მოთხოვნა (იხ. საკასაციო სასამართლოს სხდომის ოქმი – 12:51:10-დან; ასევე 13:35:27-დან).

**17. სასამართლომ საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე მითითებული ფაქტები, უწინარესად, შეამოწმა სარჩელსა და მის პასუხად წარდგენილ შესაგებლებში მითითებული ფაქტების მიხედვით, რათა უზრუნველყოფილიყო მხარეთა დისპოზიციურობის, შეჯიბრებითობისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპები. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ განსაზღვრა მოსარჩელის მიერ მისაღწევი შედეგის (მოთხოვნის) სამართლებრივი საფუძველი (იხ. წინამდებარე განჩინების მე-14 პუნქტი), შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დამატებით უნდა შეამოწმოს და გამოიკვლიოს ექსპერტის სპეციალური ცოდნის გამოყენებით, შემდეგი საკითხები:**

17.1. მოპასუხეთა მიწის ნაკვეთებს (საკადასტრო კოდებით: №... და №...) შორის რა ოდენობის თავისუფალი სივრცეა და ვისი საკუთრებაა;

17.2. შესაძლებელია თუ არა ამ თავისუფალი სივრცით მოსარჩელემ ისარგებლოს (იგულისხმება არა მხოლოდ ფეხით სიარული, არამედ ტრაქტორისა და სხვა ტექნიკის შეყვანა საკუთარი მიწის ნაკვეთის დამუშავების, მოვლის, მონეული მოსავლის გამოტანისა და საკუთრების უფლების განკარგვა) იმგვარად, რომ არ შეილახოს მოპასუხეთა კუთვნილი საკუთრების უფლება ამ უკანასკნელთა მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდებით: №... და №...), მათ ნაწილზეც კი;

**18. იმ შემთხვევაში, თუკი გამოირიცხება სსკ-ის 172-ე მუხლით დადგენილი წინაპირობების საფუძველზე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი შესაძლოა გამომდინარეობდეს სსკ-ის 180-ე მუხლიდან, ამ მიზნით, სააპელაციო სასამართლომ ექსპერტის სპეციალური ცოდნის გამოყენებით უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს:**

18.1. არსებობს თუ არა სხვა ალტერნატიული გზა, რომელიც საჯარო გზასთან დააკავშირებს მოსარჩელის მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდით: №...) და მისცემს მოსარჩელეს მისი საკუთრებით იმგვარად სარგებლობის შესაძლებლობას (არა მხოლოდ ფეხით სიარულის, არამედ ტრაქტორისა და სხვა ტექნიკის შეყვანას საკუთარი მიწის ნაკვეთის დამუშავების, მოვლის, მონეული მოსავლის გამოტანისა და საკუთრების უფლების განკარგვის საშუალებას), რომ არ შეილახოს სხვა პირთა (მ.შ. მოპასუხეების) საკუთრების უფლება.

19. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოხსენებული გარემოებების გამოკვლევის გარეშე, შეუძლებელია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, რაც მოცემულ შემთხვევაში სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 21 მარტის განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძველია (სსსკ-ის 412-ე მუხლი).

20. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემავალბელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით, 257-ე მუხლის პირველი ნაწილით, 372-ე, 399-ე მუხლებით, 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 412-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ე. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 21 მარტის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად;
3. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 4. საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

სარჩელის სახე

განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო

№ას-671-671-2018

22 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
ზ. ძლიერიშვილი

**დავის საგანი:** 2013 წლის 18 დეკემბრის გამოსყიდვის უფლებით უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა; 2013 წლის 18 დეკემბრის შეთანხმების – სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმების შესახებ – ბათილად ცნობა; უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა; 2014 წლის 22 ივლისის შეთანხმების ბათილად ცნობა;

საკითხი, რომელზედაც მიღებულია განჩინება – საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილება.

### აღწერილობითი ნაწილი:

1. ნ. ლ-სა (შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი ან მსესხებელი) და გ. კ-სა (შემდეგში: პირველი მოპასუხე, პირველი იპოთეკარი ან პირველი გამსესხებელი) და მ. მ-ის (შემდეგში: მეორე მოპასუხე, მეორე იპოთეკარი, მოთხოვნის დამთმობი ან მეორე გამსესხებელი) წარმომადგენელ მ.მ-ს შორის, 2012 წლის 13 დეკემბერს, დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. მითითებული ხელშეკრულების შესაბამისად მეორე მოპასუხემ მოსარჩელეს ასესხა 250 000 აშშ დოლარი, ხოლო პირველმა მოპასუხემ – ასევე 250 000 აშშ დოლარი. სესხის ხელშეკრულება დაიდო 3 თვის ვადით და თვეში 3% სარგებლის დარიცხვის პირობით. იპოთეკარებმა სესხის ხელშეკრულების გაფორმების დროს მიიღეს 1 თვის სარგებელი, ხოლო მომდევნო თვეების პროცენტი უნდა მიეღოთ 2013 წლის 13 თებერვალს და 13 მარტს ძირითად თანხასთან ერთად. ხელშეკრულების 1.9 პუნქტის თანახმად მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მსესხებელს გამსესხებლის სასარგებლოდ დაერიცხებოდა პირ-

გასამტეხლო გადასახდელი თანხის 0,3% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. მითითებული სესხის უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დაიტვირთა მსესხებლის კუთვნილი უძრავი ნივთი მდებარე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ... საკადასტრო კოდი: №... (შემდეგში: იპოთეკის საგანი ან სადავო უძრავი ქონება).

2. მოსარჩელემ დადგენილ ვადაში ნასესხები თანხა ვერ დააბრუნა და 2 თვის საპროცენტო სარგებელიც ვერ გადაიხადა.

3. მეორე გამსესხებელმა 2012 წლის 13 დეკემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 20 000 აშშ დოლარის მოთხოვნის უფლება და ამ თანხაზე დარიცხული პროცენტი და პირგასამტეხლო, დაუთმო მ. მ-ს (შემდეგში: მესამე მოპასუხე ან მოთხოვნის მიმღები), რომლის მოთხოვნის საფუძველზე 2013 წლის 3 სექტემბერს ნოტარიუსის მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი და მასში აღსასრულებელ ვალდებულებად მიეთითა 20 000 აშშ დოლარი, ორი თვის სარგებელი და 0,3 % პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2013 წლის 13 მაისიდან აღსრულებამდე, ასევე სააღსრულებო ფურცლის გაცემის ხარჯი 124,36 ლარი. ასევე, დადგინდა იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაცია. სააღსრულებო ფურცელი აღსრულების მიზნით წარედგინა თბილისის სააღსრულებო ბიუროს.

4. 2013 წლის 6 სექტემბერს, მოსარჩელეს აღმასრულებელმა გაუგზავნა წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ.

5. მოსარჩელის წარმომადგენელ ს. ლ-ს და პირველ მოპასუხეს შორის, 2013 წლის 18 დეკემბერს, გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით, რომლის შესაბამისად სადავო უძრავი ქონება საკუთრებაში გადაეცა პირველ იპოთეკარს. მხარეებმა მიუთითეს, რომ ქონება გაიყიდა 665 000 აშშ დოლარად, ამასთან, მსესხებელს უფლება ჰქონდა 1 თვის ვადაში – 2014 წლის 18 იანვრამდე გამოესყიდა უძრავი ნივთი.

6. მესამე მოპასუხემ, 2013 წლის 17 დეკემბერს, განცხადებით მიმართა ქ. თბილისის სააღსრულებო ბიუროს და მოითხოვა მოსარჩელის მიმართ დაწყებული სააღსრულებო წარმოების შეწყვეტა, რის შესაბამისადაც 2013 წლის 3 სექტემბერს გაცემულ სააღსრულებო ფურცელზე სააღსრულებო საქმის წარმოება შეწყდა.

7. მოთხოვნის დამთმობს, პირველ მოპასუხესა და მოთხოვნის მიმღებს შორის, 2013 წლის 18 დეკემბერს, შედგა შეთანხმება 13.12.2012 წლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმების შესახებ. ამავე ხელშეკრულებით მხარეებმა დაადასტურეს თანხმობა მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე.

8. მოსარჩელის წარმომადგენელ – მ. ლ-სა და პირველ მოპასუხეს შორის, 2014 წლის 22 ივლისს, სანოტარო წესით დამტკიცდა შეთანხმება, რომლის შესაბამისად მსესხებელმა აიღო ვალდებულება, რომ თანხმდებელ პირებთან ერთად გაათავისუფლებდა პირველი იპოთეკარის საცხოვრებელ სახლს, აგრეთვე გადასცემდა საცხოვრებელი სახლისა და ოთახების ყველა გასაღებს არა უგვიანეს 2014 წლის 3 სექტემბრისა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მითითებული პირობა არ შესრულდებოდა, მოსარჩელე პირველ გამსესხებელს საკუთრებაში გადასცემდა საცხოვრებელი სახლის ხუთივე სართულზე, სარდაფსა და ეზოში არსებულ ნივთებს, კერძოდ, ყველა ოთახის ავეჯს, ჭალებს, ლიფტს, აბაზანა-ტუალეტის ავეჯსა და აქსესუარებს და სხვა ნივთებს იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობითაც მოხდა 2014 წლის 18 ივლისს 16:10 საათიდან 18:00 საათამდე საცხოვრებელი სახლის ხუთივე სართულზე, სარდაფსა და ეზოში არსებული მოძრავი ნივთების, ავეჯის და სხვა ნივთების ფოტო და ვიდეო გადაღება.

9. სადავო უძრავი ქონების საბაზრო ფასი საორიენტაციოდ 1 200 000 აშშ დოლარია.

#### **10. სარჩელის საფუძვლები**

10.1. მოსარჩელემ 2014 წლის 12 სექტემბერს სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხეთა წინააღმდეგ და მოითხოვა:

10.1.1. 2013 წლის 18 დეკემბრის გამოსყიდვის უფლებით უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა;

10.1.2. 2013 წლის 18 დეკემბრის შეთანხმების – სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმების შესახებ – ბათილად ცნობა;

10.1.3. სადავო უძრავი ქონების მოსარჩელის მესაკუთრედ ცნობა;

10.1.4. 2014 წლის 22 ივლისის შეთანხმების ბათილად ცნობა.

#### **11. მოპასუხეთა შესაგებელი**

11.1. მოპასუხეებმა წერილობით წარდგენილი შესაგებლებით სარჩელი არ ცნეს.

#### **12. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება**

12.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით მსესხებლის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელის წარმომადგენელ მ. ლ-სა და პირველ მოპასუხეს შორის 2014 წლის 22 ივლისს გაფორმებული შეთანხმება; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

12.2. საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 50-ე, 56-ე,

428-ე, 86-ე, 54-ე, 327-ე, 53-ე მუხლებით იხელმძღვანელა.

### **13. მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი**

13.1. მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი გაუქმებისა და სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით.

### **14. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები**

14.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

14.2. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში შესაფასებელია, ერთი მხრივ, მოსარჩელესა და მეორე მხრივ, პირველ მოპასუხეს შორის გაფორმებული, გამოსყიდვის უფლებით, ნასყიდობის ხელშეკრულების იურიდიული ძალა.

14.3. სააპელაციო სასამართლომ, აპელანტის პრეტენზიაზე აუდიო-ჩანაწერების დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევასთან დაკავშირებით, განმარტა, დადგინდეს, რომ საუბარში მონაწილე ყველა პირისათვის ცნობილი არ იყო ასეთი ჩანაწერის მიმდინარეობის შესახებ. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ №ას-238-226-2016 საქმეზე 2016 წლის 3 ივნისს მიღებულ გადაწყვეტილებაში განმარტა შემდეგი: ფარული ჩანწერა თვითდახმარების ან თვითდახმარებასთან მიახლოებულ ფარგლებში ჩადენილ ქმედებად შეიძლება შეფასდეს იმ შემთხვევაში, თუ ფარული ჩანაწერი ერთადერთი გზაა საკუთარი უფლების დასაცავად, რადგან სხვაგვარად პირი საკუთარ უფლებას ვერ დაიცავს ან არსებობს ყველა სხვა მტკიცებულების განადგურების რეალური საშიშროება. ასეთ ვითარებაში ფარული ჩანაწერის გზით მტკიცებულების შექმნა დასაშვებია. ამდენად, თუ პირზე ხორციელდება ზეწოლა, მუქარა, შანტაჟი, საკუთარი უფლებების დაუშვებელი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად, კონსტიტუციურ ღირებულებათა მრავალმხრივი ანონ-დანონვის შედეგად, შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს სხვის პირად სფეროში ჩარევა, თუმცა, აღნიშნული დაუშვებელია მაშინ, როდესაც სხვის პირად სფეროში ჩარევა თვითდახმარებას კი არა, მეორე მხარისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას ემსახურება. პირად სფეროში ჩარევა კი საჭირო გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ უფლება-მოვალეობათა კრედიტორმა თავის დროზე არ იზრუნა შესაბამისი მტკიცებულების (ხელშეკრულების, ხელწერილის და ა.შ.) შექმნაზე. ასეთ ვითარებაში გაუმართლებელია ჩარევა პირად სფეროში, ამგვარი გზით მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებელი მტკიცებულებაა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ წარ-

მოდგენილი მტკიცებულებები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომი: სსსკ) 103-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელ მტკიცებულებად მიიჩნია.

14.4. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, იმისათვის, რომ მხარეთა შორის დადებულ გარიგებას მისთვის თანმდევი შედეგი მოჰყვეს, იგი უნდა იყოს ნამდვილი. პირის შესაძლებლობა, კანონის ფარგლებში თავისუფლად დადოს ხელშეკრულება (ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი), განხორციელებადია იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნია ნება, გამოიყენოს ზემოთ დასახელებული შესაძლებლობა და გამოავლინოს იგი მისთვის სასურველი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნების გამოვლენა არის კონკრეტული სამართლებრივი შედეგის დადგომისაკენ მიმართული სუბიექტური ნების ობიექტურად შეცნობადი გაცხადება.

14.5. სსკ-ის 56-ე მუხლი აწესრიგებს ნების ნაკლის ისეთ შემთხვევებს, როგორცაა მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგება. რიგ შემთხვევებში, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება, დადებულია იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს. ფორმალური მოთხოვნების მხრივ, ამგვარი გარიგება შეესაბამება კანონს, თუმცა შინაარსობრივად ასახავს მხარეთა რეალური ნების სანიხალმდეგო მდგომარეობას. უფრო მეტიც, მხარეებმა წინასწარვე იციან, რომ ისინი შეუბოჭილი არ იქნებიან დადებული ხელშეკრულებით. აღსანიშნავია, რომ სასამართლო ხშირად აწყდება სირთულეებს გარიგების თვალთმაქცურად მიჩნევისას, რადგან ფორმალური ნაკლოვანებები მას თითქმის არ ახასიათებს. გარიგების ასეთად მიჩნევისთვის აუცილებელია იმის დადგენა, რომ ხელშეკრულების დადებისას მხარეებს არ სურდათ იმ შედეგების მიღწევა, რაც გარიგების მოცემული სახისთვისაა დამახასიათებელი. მიუხედავად, მათი მსგავსებისა, ხელშეკრულების „თვალთმაქცური“ და „მოჩვენებითი“ ხასიათი სხვადასხვა სამართლებრივი კატეგორიაა მათთვის დამახასიათებელი და ერთმანეთისაგან განსხვავებული ნორმატიული შინაარსით. თვალთმაქცური გარიგება, ფართო გაგებით, მოჩვენებითი გარიგებაა, თუმცა, მისგან განასხვავებს ის გარემოება, რომ მხარეთა შორის თვალთმაქცურად დადებული გარიგების ბათილად ცნობისას, მათ შორის, სამართლებრივი ურთიერთობა კი არ სრულდება, არამედ შესაბამისი სამართლებრივი წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში მათი ნამდვილი შეთანხმების საფუძველზე წარმოიშვება. სსკ-ის 56-ე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს ქცევის წესს და იმპერატიულად მიუთითებს, რომ მხოლოდ გარიგების თვალთმაქცურად მიჩნევით არ უნდა შემოიფარგლოს სასამართლოს საქმიანო-

ბა. სასამართლომ უნდა იმსჯელოს რა გარიგება დაიფარა შეცილებული გარიგებით და უნდა იხელმძღვანელოს დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესებით. ასეთ დროს, დიდი მნიშვნელობა გააჩნია მტკიცების ტვირთის სწორად განსაზღვრას. საყურადღებოა, რომ მოჩვენებითი გარიგებების დროს მხარეთა ნების გამოვლენის არანამდვილობის მტკიცების ტვირთი აკისრია მას, ვისაც მიაჩნია, რომ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით შეილახა მისი უფლება, მოცემულ შემთხვევაში – მსესხებელს.

14.6. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2012 წლის 13 დეკემბრის ხელშეკრულება გაფორმდა 3 თვის ვადით, ანუ სესხის თანხა პროცენტთან ერთად მოვალეს უნდა დაებრუნებინა 2013 წლის 13 მარტს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლოს გადახდაც ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო, 2013 წლის 18 დეკემბრის ხელშეკრულებით, ნასყიდობის ფასის განსაზღვრისას კი, მხარეები შეთანხმდნენ იმ დროს არსებული დავალიანების ოდენობაზე, რაც დააფიქსირეს კიდევ ხელშეკრულებაში და ეს იყო 665 000 აშშ დოლარი.

14.7. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბება ხდება არა სუბიექტურად, არამედ ობიექტური მიუკერძოებლობის კონტექსტში შესწავლილი მტკიცებულებების ურთიერთმეჯერების საფუძველზე. მართლმსაჯულების მიზანი მტკიცებულებათა ერთობლივი ანალიზის, მათი ობიექტური და სრულყოფილი შესწავლის შედეგად ჭეშმარიტების უტყუარად გამორკვევაა იმგვარად, რომ დადგენილი გარემოება არ ემყარებოდეს მხოლოდ ვარაუდს, არამედ განპირობებული იყოს საქმის მასალების ერთობლივი ანალიზით.

14.8. სასამართლომ ფაქტობრივი სინამდვილის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნია, ხაზი გაესვა თვალთმაქცური გარიგების ბათილად ცნობისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვანი ასპექტებისათვის, სახელდობრ, რამდენად შეესაბამება მხარეთა მიერ დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული უფლებავალდებულებები ფაქტობრივად არსებულ ურთიერთობას (უფლება-ვალდებულებებს). საკვანძო საკითხის – გარიგების თვალთმაქცური ხასიათი, სპეციფიკურობა, პროცესუალურ ჭრილში მისი მტკიცების საშუალებაში გამოიხატება, კერძოდ, ასეთ დროს, რთულია გარიგების დამდები პირების ნების ნაკლის დამადასტურებელი პირდაპირი მტკიცებულებების წარმოდგენა, სასამართლო ძირითადად უნდა დაეყრდნოს არაპირდაპირ მტკიცებულებებს, უნდა შეაფასოს როგორც არსებული, ასევე წინმსწრები ვითარება, რომელშიც სადავო ხელშეკრულების დადება განხორციელდა; გარი-

გების დამდები პირების დამოკიდებულება და ა.შ. შესაბამისად, დაფარულია თუ არა სხვა გარიგება, ვერ შეფასდება სუბიექტური კრიტერიუმით. რთულია ზღვარი გაივლოს მხარეთა შინაგან და გარეგან ნებას შორის, რის გამოც, გამოყენებულ უნდა იქნეს შეფასების ობიექტური ტესტი და ამ გზით განისაზღვროს სურდათ თუ არა მხარეებს სხვა გარიგების დაფარვა. სასამართლოსათვის აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ნების გამოვლენის ნაკლზე, ფიქტიური გარიგების შეთანხმებაზე, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას.

14.9. სამოქალაქო სამართალში მოქმედი კანონის ცოდნის პრეზუმფციიდან გამომდინარე (სსკ-ის მესამე მუხლის მეორე ნაწილი) თითოეული მხარე მიიჩნევა კანონის მცოდნედ, წინააღმდეგ შემთხვევაში, რთულია დადგინდეს ჩარჩო, რომელშიც კანონის არცოდნა საპატიოდ ჩაითვლება. ნებისმიერი ხელშემკერელი მხარე სამოქალაქო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი რისკის მატარებელია, რომელიც მოქმედებს სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში, რაც გულისხმობს, როგორც კონტრაჰენტის შერჩევის თავისუფლებას, ასევე, ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრასაც. შესაბამისად, მხარეები ამყარებენ რა ერთმანეთთან სხვადასხვა სახელშეკრულებო ურთიერთობებს, ივარაუდება, რომ მათ იციან ამ ურთიერთობიდან წარმოშობილი საკუთარი უფლება-მოვალეობების შესახებ. მოსარჩელემ დაადასტურა თავისი ხელმოწერით მის მიერ გამოხატული ნება, შესაბამისად, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ ხელშეკრულების შინაარსი შეესაბამებოდა მის ნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოპასუხემ უნდა ამტკიცოს ისეთი ობიექტური ან სუბიექტური საფუძვლის არსებობა, რაც მას ხელს შეუშლიდა წერილობითი დოკუმენტის გაცნობასა და აღქმაში (ქმედუუნარობა, მოპასუხის მხრიდან ზენოლა და ა.შ.).

14.10. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ხელშეკრულება, ორი ან მეტი პირის კონსენსუსის შედეგია და ამ გზით მხარეები იმ მიზნის რეალიზაციას ახდენენ, რამაც ხელშეკრულების დადება განაპირობა. მიზანი კი, სხვადასხვა გარემო ფაქტორების შედეგად ყალიბდება, მაგალითად, მატერიალური სარგებლის, დოვლათის მიღება და ა.შ. სწორედ ამიტომ, ხელშეკრულებით ნაკისრი უფლება-მოვალეობები მხარეთათვის შესასრულებლად სავალდებულოა, მხარეების მიერ დასახული მიზნის მიღწევა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებამ უნდა უზრუნველყოს. სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარე-

მოებები ვერ ადასტურებდა ნასყიდობის ხელშეკრულების თვალთმაქცურობას და მხარეების მიერ გამოვლენილი ნება შეესაბამებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგს. მოპასუხისა და მოსარჩელის სურვილს წარმოადგენდა, პირველ მოპასუხეს საკუთრებაში მიეღო უძრავი ნივთი მოსარჩელისათვის გადაცემული ვალის სანაცვლოდ, სხვა კრედიტორებთან კი, თავად მოეგვარებინა სამართლებრივი ურთიერთობები, რაც მოხერხდა კიდევ და მათთან შეთანხმებით გაუქმდა იპოთეკის ხელშეკრულება სადავო უძრავ ნივთზე. გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას უდავოდ იკვეთება პირველი მოპასუხის განზრახვა, გამხდარიყო უძრავი ნივთის მესაკუთრე. იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში და ამასთან, მან მოითხოვა აპელანტის საცხოვრებელი სახლიდან გამოსახლება. ამასთან, გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი არ შეიძლება გახდეს წინამდებარე საქმეში მოსარჩელის მიერ გამოკვეთილი იურიდიული ინტერესი ქონების მის სახელზე აღრიცხვასთან და უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაციასთან დაკავშირებით, რაც მისი მოსაზრებით, შესაძლოა მომგებიანი აღმოჩნდეს, რის საწინააღმდეგედაც მოწინააღმდეგე (მოპასუხე) მხარემ მიუთითა 2013 წლის 13 დეკემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების 2.7 პუნქტზე და განმარტა, რომ მოსარჩელის იურიდიული ინტერესი უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაციის კუთხით ვერ იქნებოდა, ვინაიდან აღნიშნული პუნქტი უშვებდა ორივე მხარის ერთობლივი თანხმობით იპოთეკის საგნის პირდაპირ საკუთრებაში გადასვლას; ამ პუნქტმა პრაქტიკული განხორციელება ჰპოვა 2013 წლის 18 დეკემბრის გამოსყიდვის უფლებით უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას, როდესაც მოსარჩელემ თახმობა განაცხადა, რომ უძრავი ქონება პირველი მოპასუხის სახელზე აღრიცხულიყო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ მხარეებს შორის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა დასრულდა და მათ შორის ნასყიდობა-გამოსყიდვის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობა წარმოიშვა.

14.11. ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა კერძო სამართლის სუბიექტებს – კრედიტორსა და მოვალეს შორის ურთიერთობაა, შესაბამისად, მოთხოვნაზე უფლებამოსილი და შესრულებაზე ვალდებული, სწორედ ეს პირები არიან. იგივე დანაწესია ნასყიდობის ხელშეკრულების (გამოსყიდვის უფლებით) მარეგულირებელ ნორმებშიც (სსკ-ის 477-ე-504-ე მუხლები), რომლითაც ამ ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობანი სწორედ ამ მხარეებს – მყიდველსა და გამყიდველს გააჩნიათ. მოვალის (გამ-

ყიდველი) მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება უნდა შესრულებულიყო ისე, როგორც ამაზე მხარეები შეთანხმდნენ და როგორი გონივრული მოლოდინიც კრედიტორს ჰქონდა, კერძოდ, სრულად, ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას (სსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

14.12. სააპელაციო სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს მყიდველისათვის (პირველი იპოთეკარისათვის) გამოსყიდვის საფასური არათუ შეთანხმებულ ერთი თვის ვადაში, არამედ სასამართლოში საქმის განხილვის პერიოდშიც არ გადაუხდია, აღნიშნული კი, ცხადყოფს მის მიერ ვალდებულების დარღვევას, ხოლო პირველი მოპასუხის მხრიდან – ნივთზე საკუთრების უფლების მოპოვების საფუძვლის მართლზომიერებას.

14.13. რაც შეეხება, უძრავი ქონების ღირებულებას, სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მტკიცება, რომ, ვინაიდან, ნასყიდობის ფასი არ არის ქონების საბაზრო ღირებულების პროპორციული, სადავო გარიგება ბათილი არის. სასამართლომ განმარტა, რომ შეთანხმება (ანაზღაურების ოდენობაზე) მიღწეულ იქნა მხარეთა მიერ ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენის შედეგად, სასამართლოს სწორედ ნების ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე არ გააჩნია შესაძლებლობა, იმსჯელოს (მით უფრო, მაშინ როდესაც სახეზე არ არის ნების გამოვლენის ნაკლი), რატომ განსაზღვრეს გარიგების მხარეებმა ნასყიდობის საფასურად იმაზე მეტი ან იმაზე ნაკლები საფასური, რაც ქონების საბაზრო ღირებულებაა.

14.14. აპელანტი, ასევე მოითხოვდა ბათილად ყოფილიყო ცნობილი მოპასუხეთა 2013 წლის 18 დეკემბრის შეთანხმება სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმების შესახებ. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ ვინაიდან მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დადასტურებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები, მას არ გააჩნია ზემოთ აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების იურიდიული ინტერესი. ქონება აღარ წარმოადგენს მის საკუთრებას და შესაბამისად ამ ნივთზე იპოთეკის უფლების გაუქმება-არგაუქმების საკითხი, მისი ინტერესის სფეროში ვეღარ იქნება.

### **15. მოსარჩელის საკასაციო საჩივრის საფუძვლები**

15.1. მოსარჩელემ (მსესხებელმა) საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, მისი გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

15.2. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ისე რათვალა ფაქტი დადგენილად, რომ მასზე არც კი უმსჯელია, კერ-

ძოდ: მოპასუხე მოსამზადებელ სხდომაზე, ასევე შესაგებებელში უთითებდა, რომ 665 000 აშშ დოლარი პირველმა მოპასუხემ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას გადაიხადა, ხოლო მოსარჩელემ სესხის თანხა ყველა მოვალეს სადავო ხელშეკრულების გაფორმებისას გადაუხადა. მხარემ ეს პოზიცია მთავარ სხდომაზე შეცვალა, რაც აპელანტმა არაერთხელ გააკრიტიკა, მაგრამ სასამართლომ პოზიციის შეცვლა საპატიოდ და ფაქტი დადგენილად მიიჩნია.

15.3. მიუხედავად იმისა, რომ პირველმა იპოთეკარმა მთავარ სხდომაზე შეცვალა პოზიცია, მას ის ფაქტი, რომ 665 000 აშშ დოლარი 500 000 აშშ დოლარისა და 150 000 აშშ დოლარისაგან შედგებოდა, არ დაუდასტურებია. უფრო მეტიც, იგი აცხადებდა, რომ იპოთეკარებმა მიიღეს ძირითადი თანხა, ხოლო 150 000 აშშ დოლარი იყო სხვა ვალდებულების შესასრულებლად, თუმცა რა ვალდებულების, დავის დასრულების შემდგომაც არ დაუკონკრეტებია.

15.4. კასატორის განმარტებით, სადავო უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება 1 200 000 აშშ დოლარად უსაფუძვლოდ შეფასდა, რადგან საქმეში იყო ექსპერტიზის დასკვნა, განსხვავებული ღირებულებებით, სასამართლოს კი მესამე დასკვნა არ მოუთხოვია.

15.5. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა ჩვეულებრივ პირობებში, რომ არა ასეთი მდგომარეობა, რამდენად იყო შესაძლებელი, დადებულიყო მსგავსი ტიპის თვალთმაქცური ხელშეკრულება, როცა შესრულება მოთხოვნას მნიშვნელოვნად აღემატება და რამდენად იყო ეს მოსარჩელის ნამდვილი ნება.

15.6. კასატორი აღნიშნავს, რომ მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის ფაქტი, რომ პირველი და მეორე მოპასუხეები ერთ ოჯახად ცხოვრობენ, მოთხოვნის მიმღები კი მოთხოვნის დამთმობის ძმაა. აგრეთვე, არც ისაა სადავო, რომ მესამე მოპასუხის მოთხოვნის საფუძველზე დადგა აპელანტის ქონების რეალიზაციის საფრთხე და სწორედ სამივე მხარის ერთობლივი ქმედებით, მსესხებელს შეუქმნეს ისეთი მდგომარეობა, რომ მას პირველ გამსესხებელთან დაედო თვალთმაქცური ხელშეკრულება, გამოსყიდვის უფლებით.

15.7. კასატორის განმარტებით სააპელაციო სასამართლომ არასწორად ცნო აუდიო-ჩანაწერები დაუშვებელ მტკიცებულებად. სასამართლო დაეყრდნო იმ არგუმენტს, რომ საუბარში მონაწილე ყველა პირისთვის ცნობილი არ იყო ასეთი ჩანაწერის მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნული მსჯელობა უკანონოდ მიაჩნია კასატორს, რადგან პირველ და მეორე მოპასუხეებს არაერთხელ ჰქონდათ დათვალეირებული სადავო უძრავი ქონება და იცოდნენ, რომ სახლში ვიდეო-კამერები იყო დამონტაჟებული.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვისა და მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მოსარჩელის (მსესხებლის) საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ დასაბუთებულია და იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

16. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). განსახილველ შემთხვევაში სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, კერძოდ, 2014 წლის 22 ივლისის შეთანხმება ბათილად არის ცნობილი (იხ. წინამდებარე განჩინების მე-8 პუნქტი და 12.1 ქვეპუნქტი). აღიარებითი სარჩელის სამართლებრივ ბუნებასა და მხარის იურიდიულ ინტერესზე საკასაციო სასამართლოს მსჯელობა ქვემოთ პუნქტებშია განვითარებული, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და სააპელაციო სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას დაედო საფუძვლად მხოლოდ 2014 წლის 22 ივლისის შეთანხმების ბათილად ცნობის ნაწილში. სააპელაციო სასამართლო საქმის ხელახლა განხილვის დროს აღარ იმსჯელებს მოსარჩელის იმ მოთხოვნებზე, რომლებიც არ დაკმაყოფილდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, კერძოდ: ა) 2013 წლის 18 დეკემბრის გამოსყიდვის უფლებით უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ; ბ) 2013 წლის 18 დეკემბრის შეთანხმების – სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმების შესახებ – ბათილად ცნობის შესახებ; გ) სადავო უძრავი ქონებაზე მოსარჩელის მესაკუთრედ ცნობის შესახებ; ამ სასარჩელო მოთხოვნების უარყოფის ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ სრულად არის გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები

17. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი

ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადანყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებელი თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

18. აღიარებითი სარჩელის სამართლებრივი ბუნების შესახებ საკასაციო სასამართლო არაერთ გადანყვეტილებაში/განჩინებაში განმარტავს, რომ: აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის, ისევე, როგორც მისი დასაბუთებულობის საკითხის შემოწმება სამართლის საკითხია და აქედან გამომდინარე, სასამართლომ პროცესის მონაწილე მხარის პრეტენზიის არარსებობის პირობებშიც, საკუთარი ინიციატივით უნდა შეამოწმოს სარჩელის დასაშვებობა საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. კანონის დანაწესიდან გამომდინარე, აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადანყვეტილებით მოხდეს, მაგალითად, მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ – უფლების სადავობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიურია და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადანყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02.03.2017წ; შეადარეთ ასევე, სუსგ-ებს: №1089-1009-2017, 05.12.2017წ; №ას-437-409-17 29.09.17, №ას-916-857-17 12.09.17, №ას-302-285-17, 16.06.17, №ას-244-232-17 19.05.17 №ას-937-887-2015, 10.11.2015წ.; №ას-17-14-2015, 01.07.2015წ.; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015წ.; №ას-869-819-2015, 11.12.2015წ.; №ას-773-730-2015, 08.09.2015წ.; №ას-181-174-2016, 06.05.2016წ.; №ას-1025-967-2015, 23.12.2015წ.; №ას-323-308-2016, 03.06.2016წ.; №ას-407-390-2016, 10.06.2016წ; №ას-375-359-2016, 17.06.2016წ.).

19. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის სახეობად დაყოფას (მიკუთვნებითი, გარდაქმნითი და აღიარებითი) პრაქ-

ტიკული მნიშვნელობა გააჩნია და უზრუნველყოფს პირის კანონით დაცული უფლებისა და ინტერესების სასამართლო წესით დაცვას. როგორც წესი, მოსარჩელის ინტერესი განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის მიღწევას უკავშირდება (მაგ. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ქონების დაბრუნება, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ზიანის ანაზღაურება და ა.შ), რომელიც მხოლოდ მიკუთვნებითი სარჩელით მიიღწევა და ასეთ შემთხვევაში, აღიარებითი სარჩელის აღძვრა დაუშვებელია, რადგანაც, საპროცესო ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარე, დარღვეული უფლების აღდგენასა და სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას პირმა ერთი და არა რამდენიმე სარჩელის აღძვრის გზით უნდა მიაღწიოს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებას მოსარჩელისათვის მისთვის სასარგებლო შედეგი უნდა მოჰქონდეს და მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის საჭიროება აღარ უნდა არსებობდეს.

20. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვა წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის სსსკ-ის 372-ე მუხლით, ანუ საქმე ხელმეორედ არსებითად იხილება. აქედან გამომდინარე, სსსკ-ის 380-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილ იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილ იქნეს ახალი მტკიცებულებები.

21. სწორედ აღნიშნული საპროცესო დანაწესის ფარგლებში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, რამდენად არის შესაძლებელი მიკუთვნებითი მოთხოვნის დაყენება, ანუ არა ახალი ფაქტობრივი გარემოებების ან ახალი მტკიცებულებების წარდგენის/მითითების გზით, არამედ – უკვე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, რათა მოსარჩელემ მიაღწიოს მისთვის სასურველ იურიდიულ შედეგს, რომელიც აღსრულებადი იქნება. სამართალწარმოების მიზანი პირის დარღვეული უფლების დაცვა და აღდგენაა, რაც მოიცავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესს. გადაწყვეტილება აღსრულებადი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილებითაც კი ვერ დაკმაყოფილება მისი სამართლებრივი ინტერესი.

22. მოცემულ შემთხვევაში, უწინარესად, უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაადგინა საქმის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ყველა ფაქტობრივი გარემოება, თუმცა, მოსარჩელის მოთხოვნიდან გამომდინარე არ შეამოწმა სარჩელის გამართულობა (2014 წლის 22 ივლისის შეთანხმების ბათილად ცნობის ნაწილ-

ში), რა დროსაც სასამართლოს უნდა შეემონმებინა, თუ რა სურდა მოსარჩელეს, ამ შეთანხმების ბათილად ცნობის შემთხვევაში, რა სამართლებრივ შედეგს აღწევს მხარე, როგორ გაუმჯობესდება მისი მდგომარეობა და შეთანხმების ბათილად ცნობა, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილშია მითითებული, რა სახით და როგორ უნდა აღსრულდეს. მართლმსაჯულების ეფექტიანობა მის საპროცესო ეკონომიკაშიც გამოიხატება და სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოს მოსარჩელისათვის შეკითხვების მეშვეობით უნდა მიეცა სასარჩელო მოთხოვნის დაკონკრეტების (დაზუსტების) შესაძლებლობა (სსსკ-ის 83-ე მუხლის მეოთხე ნაწილი), რადგანაც ამ შემთხვევაში მოთხოვნილი შეთანხმების ბათილობა, სავარაუდოდ იმის წინაპირობას წარმოადგენს, რისი მიღწევაც სურს მოსარჩელეს, ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სარჩელის დაზუსტება, მოთხოვნის გამართულად ჩამოყალიბება არ წარმოადგენს იმ შემთხვევას, რომელიც დადგენილია სსსკ-ის 381-ე მუხლით, როდესაც დაუშვებელია სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე დავის საგნის შეცვლა ან გადიდება.

22.1. საქმის მასალების მიხედვით 22.07.2014წ. სანოტარო აქტის საფუძველზე დამტკიცდა შეთანხმება, რომლის შესაბამისად მსესხებელმა აიღო ვალდებულება, რომ თანმხლებ პირებთან ერთად გაათავისუფლდება პირველი იპოთეკარის საცხოვრებელ სახლს, აგრეთვე გადასცემდა საცხოვრებელი სახლისა და ოთახების ყველა გასაღებს არა უგვიანეს 2014 წლის 3 სექტემბრისა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მითითებული პირობა არ შესრულდებოდა, მოსარჩელე პირველ გამსესხებელს საკუთრებაში გადასცემდა საცხოვრებელი სახლის ხუთივე სართულზე, სარდაფსა და ეზოში არსებულ ნივთებს, კერძოდ, ყველა ოთახის ავეჯს, ჭალებს, ლიფტს, აბაზანა-ტუალეტის ავეჯსა და აქსესუარებს და სხვა ნივთებს იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობითაც მოხდა 2014 წლის 18 ივლისს 16:10 საათიდან 18:00 საათამდე საცხოვრებელი სახლის ხუთივე სართულზე, სარდაფსა და ეზოში არსებული მოძრავი ნივთების, ავეჯის და სხვა ნივთების ფოტო და ვიდეო გადაღება.

21.2. საქმის ხელახლა განხილვის დროს სააპელაციო სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს მოსარჩელის მოთხოვნაზე 2014 წლის 22 ივლისის შეთანხმების ბათილად ცნობის ნაწილში (იხ. მე-8 ფაქტობრივი გარემოება), ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლომ უნდა შეამოწმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და განსაზღვროს სასარჩელო მოთხოვნას რა წარმოადგენს, 2014 წლის 22 ივლისის შეთანხმების ბათილად

ცნობა ხომ არ უკავშირდება იმ მოძრავი ნივთების დაბრუნებას, რომელიც მოსარჩელეს ეკუთვნის. ამავე ნაწილში უნდა შემოწმდეს მოპასუხე გ. კ. შესაგებელი (იხ. შესაგებელი სარჩელის მე-8 ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით), სასარჩელო მოთხოვნის შემოწმების მსგავსად, შესაგებლის გარდა, სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე (მთავარ სხდომამდე) მოპასუხეთა მიერ გაცხადებული პოზიცია უნდა შემოწმდეს 22.07.2014წ. შეთანხმების ბათილად ცნობის ნაწილში, რაც, როგორც დაკმაყოფილებული სარჩელის ნაწილი, მოპასუხეთა მიერ არ არის გასაჩივრებული არც სააპელაციო და არც საკასაციო წესით.

22.3. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო საქმის ხელახლა განხილვის ეტაპზე მივა დასკვნამდე, რომ მოსარჩელე რეალურად ითხოვს 22.07.2014წ. შეთანხმების ბათილად ცნობას, როგორც ფაქტობრივ წინაპირობას იმ მოძრავი ნივთების დასაბრუნებლად, რაც ამ შეთანხმებაშია დაფიქსირებული, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული მოსარჩელის მიკუთვნებით მოთხოვნად უნდა შეაფასოს და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში იმგვარად დაასახელოს (აღწეროს) მოსარჩელისათვის დასაბრუნებელ მოძრავ ნივთთა ჩამონათვალი, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულებადი იყოს და მხარეს არ დასჭირდეს ახალი სამართალწარმოების დაწყება; როგორც უკვე აღინიშნა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი, რომელიც ნ. ლ-ის წარმომადგენელს მ. ლ-სა და გ. კ-ს შორის 2014 წლის 22 ივლისს გაფორმებული შეთანხმების ბათილად ცნობას ადგენს, რაც უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით, სამართლებრივად მოსარჩელისათვის არავითარ შედეგს არ იძლევა და არააღსრულებადად აქცევს სასამართლოს გადაწყვეტილებას. იმ შემთხვევაში, თუ სასარჩელო მოთხოვნის ეს ნაწილი აღიარებითი სარჩელია, მაშინ, ცხადია, რომ ამ მოთხოვნის მიმართ მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესი არ არსებობს, რაც ამ ნაწილში სარჩელის განუხილველად დატოვების წინაპირობაა (სსსკ-ის 187.2 მუხლი), ეს სამართლის საკითხია, რასაც სასამართლო საკუთარი ინიციატივით ამომეებს და მხარისათვის საუარესოდ შებრუნებად არ განიხილება.

23. სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკი-

ცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

24. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეუღია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემადგებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. ნ. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# სარჩელის სახე

## ბანჩინება საქართველოს სახელით

№ას-856-822-2016

13 მაისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-  
ვლები:**

1.1. გ. ა-მა (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორის მონინალმდევე მხარე) სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. ა-ისა და ე. ქ-ას (შემდგომში – პირველი და მეორე მოპასუხე (მეორე მოპასუხის კანონიერი წარმომადგენელი ნ. ჯ-ე), აპელანტის მონინალმდევე მხარეების, მეორე მოპასუხე ასევე წოდებული, როგორც კასატორი) მიმართ და მოითხოვა მოპასუხეებს შორის ბ-ის რაიონის დაბა ბ-ში, ბ-ის ქუჩის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების ნასყიდობის 2013 წლის 24 მაისის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოპასუხეებს შორის მოჩვენებით გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება. პირველ მოპასუხეს ცალკე საკარმიდამო მიწის ნაკვეთი არ გააჩნია. იგი საკარმიდამო ნაკვეთს თანასაკუთრებაში ფლობს თავის ძმასთან – მოსარჩელესთან ერთად, რაც თანასაკუთრებადაა რეგისტრირებული და მიმდინარეობს სასამართლო დავა. პირველმა მოპასუხემ ფარულად მიმართა საჯარო რეესტრს, რეგისტრაციისას თანასაკუთრების ნახაზსა და საზღვრებში შეიყვანა მოსარჩელის კერძო საკუთრებაში არსებული 274 კვ.მ მიწა, რის შემდეგაც თანასაკუთრების ნაწილს დაუმატა გვერდზე არსებული თავისუფალი ფართიც და ინდივიდუალურ საკუთრებად დაირეგისტრირა 624 კვ.მ ქონება. მოგვიანებით, გაასხვისა თავის შვილიშვილზე – მეორე მოპასუხეზე. მოსარჩელემ მიმართა სასამართლოს რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით, რაც დაკმაყოფილდა. მეორე მოპასუხის კანონიერ წარმომადგენელს უძრავი ქონება არ გადასცემია. გამყიდველი არაკეთილსინდისიერი მესაკუთრეა, ისევე, რო-

გორც შემძენი არ არის კეთილსინდისიერი, რადგანაც ის გამსხვი-  
სებლის შვილიშვილია და მას შეუძლებელია არ სცოდნოდა, რომ  
უძრავ ქონებაზე მიმდინარეობდა სასამართლო დავა.

## **2. მოპასუხეების პოზიცია:**

მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით მოპასუხეებმა არ  
ცნეს სარჩელი და განმარტეს, რომ გასხვისებული მიწის ნაკვეთი  
არ წარმოადგენს მოსარჩელისა და პირველი მოპასუხის თანასა-  
კუთრებას. დავა მიმდინარეობდა არა კონკრეტულად ამ მიწის ნაკ-  
ვეთზე, არამედ – თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე,  
შესაბამისად, შემძენს (მის კანონიერ წარმომადგენელს) არ შეიძ-  
ლებოდა ევარაუდა მიწის ნაკვეთზე დავის წარმოშობის შესაძლებ-  
ლობა. მოპასუხეთა ნათესაური კავშირის მიუხედავად, მხარეთა  
შორის დადებულია ნამდვილი გარიგება, რომელსაც მოჩვენებითი  
ხასიათი არ გააჩნია.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 27 თებერვლის  
გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

## **4. აპელანტის მოთხოვნა:**

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით  
გაასაჩივრა მოსარჩელემ, მისი გაუქმება და სარჩელის უარყოფა  
მოითხოვა.

## **5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწი- ლი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-  
ლატის 2016 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით სააპელაციო სა-  
ჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქ-  
მდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათი-  
ლად იქნა ცნობილი მოპასუხეებს შორის 2013 წლის 24 მაისს დადე-  
ბული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება.

## **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით  
გაასაჩივრა მეორე მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი  
გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

## **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივ-  
რებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივ-  
რის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმა-  
ყოფილდეს, უნდა გაუქმდეს ქვემდგომი სასამართლოების მიერ მი-  
ღებული გადაწყვეტილებები, ხოლო, გ. ა-ის სარჩელი განუხილვე-

ლად იქნას დატოვებული შემდეგი გარემოებების გამო:

**1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის განუხილველად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს აღიარებითი სარჩელის საფუძვლიანობის საკითხი, რომელიც მოპასუხეებს შორის დადებული განკარგვითი ხელშეკრულების – ნასყიდობის ნამდვილობას შეეხება. ვიდრე პალატა საკასაციო პრეტენზიათა დასაბუთებულობას შეამოწმებდეს, ყურადღებას საკასაციო სამართალწარმოების რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალზე გაამახვილებს:

1.1.1. საკასაციო წესით მართლმსაჯულების განხორციელებისას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება მოწმდება ორი მიმართულებით, კერძოდ: სასამართლო უპირველესად ამოწმებს, ხომ არ ვლინდება გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები, რომლებიც მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლში, ხოლო, ამ საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაში, შეფასებას ექვემდებარება კასატორის პრეტენზიების დასაბუთებულობა, ამ გარემოებათა ჩამონათვალი კი, რეგლამენტირებულია ამავე კოდექსის 393-ე მუხლში.

1.1.2. განსახილველ შემთხვევაში, პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“<sup>14</sup> ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი, რამდენადაც, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ისე – მისი შეცვლის შესახებ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მათი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

1.2. საკასაციო პალატა მიუბრუნდება განსახილველ საკითხს, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, აღიარებითი სარჩელის საფუძვლიანობას შეეხება. უნდა ითქვას, რომ სარჩელის ინსტიტუტის საპროცესო კლასიფიკაციას თავად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ანალიზი იძლევა და დოქტრინაში განვითარებული შეხედულების თანახმად, ძირითად სახეებად გვევლინება მიკუთვნებითი, გარდაქმნითი და აღიარებითი სარჩელები. პირველი ორი ჯგუფის სარჩელების ძირითადი მახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ ამ ტიპის სარჩელებზე მიღებული გადაწყვეტილება რეალური, აღსრულებადი გადაწყვეტილებაა და ამიტომ მათ აღსრულებად სარჩელადაც მოიხსენიებენ. რაც შეეხება აღიარებით სარჩელს, ის ასევე დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დაცვის საპროცესო საშუალებაა, თუმცა, აღიარებითი სარჩელის მიმართ სა-

კანონმდებლო დათქმები განსხვავებულია. აღიარებითი სარჩელის ლეგალურ დეფინიციას შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, სარჩელი შეიძლება, აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს. აღიარებითი სარჩელი, ბუნებრივია, სრულად უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით განსაზღვრულ ფორმალურ-შინაარსობრივ მოთხოვნებს, თუმცა, ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტით დაწესებულია დამატებითი მოთხოვნა ამ ტიპის სარჩელებისათვის – იურიდიული ინტერესი, რომელსაც სასამართლო სარჩელის დასაშვებობისას ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ამონიშნავს, ხოლო, დაშვების შემთხვევაში, სწორედ ამ ინტერესის ნამდვილობაზეა დამოკიდებული სარჩელის წარმატებულობა. გასათვალისწინებელია, რომ დავის მიმართ იურიდიული ინტერესის არსებობის შემომწმება განეკუთვნება სამართლის საკითხს, რა დროსაც პასუხი უნდა გაეცეს მთავარ კითხვებს: აქვს მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი დავის მიმართ? უზრუნველყოფს მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას? იურიდიული ინტერესის არსებობა განპირობებულია არა ზოგადად მხარის სუბიექტური ინტერესით, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესით, რომლის შედეგის რეალიზაცია შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღძვრით. მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უფლების დაცვას უნდა ემსახურებოდეს აღიარებითი სარჩელი. იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს განეკუთვნება შემდეგი:

ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში;

ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას;

გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა.

1.2.1. საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის საკითხის განხილვისას, მნიშვნელოვანია, გაირკვეს, ხომ არ არსებობს მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის წინაპირობები, რადგან ამგვარი წინაპირობების არსებობისას, მოსარჩელე ვერ

შეძლებს თავისი ნამდვილი მიზნის (უფლების დაცვის) აღიარებითი სარჩელით მიღწევას, აღნიშნული კი, თავის მხრივ, საფუძველს აცლის აღიარებით მოთხოვნას. ამავდროულად, გასათვალისწინებელია, საპროცესო ეკონომიის პრინციპი, რომელიც უფლების რეალური დაცვის ხელშეწყობის საშუალებაა და ემსახურება იმას, რომ დარღვეული უფლების დაცვა მხარემ ერთი და არა რამდენიმე სარჩელის აღძვრის გზით უზრუნველყოს.

1.2.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ ერთ-ერთ საქმეზე (იხ. სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი) განმარტა შემდეგი: აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი რამ სასამართლომ გადაწყვეტილებით აღიაროს, მაგალითად: მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადავოობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს, ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათისაა და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა (იხ. სუსგ-ები: №ას-17-14-2015, 01.07.2015წ.; №ას-937-887-2015, 10.11.2015; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015წ.; №ას-869-819-2015, 11.12.2015წ.; №ას-773-730-2015, 08.09.2015წ.; №ას-181-174-2016, 06.05.2016წ.; №ას-1025-967-2015, 23.12.2015წ.; №ას-323-308-2016, 03.06.2016წ.; №ას-407-390-2016, 10.6.2016წ.; №ას-375-359-2016, 17.06.2016წ.).

1.3. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე საკუთარ მოთხოვნას ამყარებს ორ გარემოებაზე: ის მიუთითებს, რომ მოპასუხეებს შორის დადებული ნასყიდობა არის მოჩვენებითი ხასიათის (სკ-ის 56-ე მუხლი); პირველმა მოპასუხემ განკარგა საზიარო საგანი (სკ-ის 959-ე მუხლი). სამოქალაქო კოდექსის კერძო ნაწილის მე-2 კარით აღიარებულია საზიარო უფლებების ცნება, საზიარო საგანზე თანასაკუთრება ამ უფლების მქონე პირთა დადასტურებული უფლებაა. სამოქალაქო კოდექსის 957-ე მუხლის მე-3 ნაწილი იმპერატიულად ადგენს, რომ ცალკეული მონილის თანხმობის გარეშე არ შეიძლება სარგებლობის წილზე მისი უფლების შემცირება. საკუთრების სანივთო ბუნებიდან გამომდინარე კი, სამოქალაქო კოდექ-

სის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყოველ თანამესაკუთრეს აქვს ნივთის გამოთხოვის უფლება მხოლოდ ყველა თანამესაკუთრის სასარგებლოდ. თანამესაკუთრის მიერ სარჩელის აღძვრა დასაშვებია, თუმცა, მხოლოდ სარჩელის უფლება განსახილველი საკითხის გადანყვეტისათვის არასაკმარისია. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ დადასტურდება სადავო ქონების განკარგვის ბათილობა, მხოლოდ აღნიშნული ვერ გახდება საზიარო საგნის თანამესაკუთრეთა უფლებების დაცვის საკმარისი საშუალება, ვინაიდან იმის მიხედვით, თუ რას განიხილავს მოსარჩელე უფლების დარღვევად, მან უნდა აღძვრას შესაბამისი სარჩელი (ხელშეშლის აღკვეთა, ქონების თანასაკუთრებაში დაბრუნება, წილის მიკუთვნება, უკანონო მფლობელობიდან საზიარო საგნის/მისი ნაწილის გამოთხოვა და სხვა), რომლის მტკიცების საგანს და არა სასარჩელო მოთხოვნას შეიძლება წარმოადგენდეს ცალკეულ გარიგებათა ნამდვილობა. ამდენად, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ მოსარჩელის დარღვეული უფლების აღდგენის საუკეთესო საშუალება, განსახილველ შემთხვევაში, აღიარებითი სარჩელი არ არის, ამასთანავე, სასამართლო, სამოქალაქო სამართლებრივ კოდექსის 248-ე მუხლის იმპერატიული შეზღუდვიდან გამომდინარე, ვერ გასცდება სასარჩელო მოთხოვნას და ვერ მიაკუთვნებს მხარეს იმას, რაც არ უთხოვია, ან იმაზე მეტს, ვიდრე ის მოითხოვდა. ამ გარემოებათა გათვალისწინებით კი, დგინდება, რომ აღიარებითი სარჩელი, განსახილველ შემთხვევაში, დაუშვებელია.

1.4. საკასაციო პალატა, საკითხის სრულყოფის მიზნით მოიშველიებს „აღამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ ევროპულ კონვენციას, რომლის მე-6 მუხლით რეგულირებულია სამართლიანი სასამართლოს კონცეფცია. კონვენციის აღნიშნული დათქმა, ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, ექვემდებარება ფართო განმარტებას და არა მხოლოდ საქმის მიუკერძოებელ განხილვას, არამედ სამართლიან გადანყვეტასაც მოიცავს, რაც თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ მართლმსაჯულების განხორციელებას არ უნდა ჰქონდეს ფორმალური ხასიათი, არამედ, სამართალწარმოების მიზანი დარღვეული უფლების ეფექტურ და რეალურ დაცვაზეა ორიენტირებული, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადანყვეტაზე მიანიშნებს და არა ფორმალური ხასიათის სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა შედეგად არ მოჰყვება. (საქმეზე: *Apostol v. Georgia*; §37; ასევე, *Hornsby v. Greece*, §40 ევროსასამართლომ განმარტა, რომ საერთო სასამართლოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ აღძრული სარჩელისადმი მოსარჩელის იურიდიულ ინტერესზე, ასევე, იმ საკითხზე, თუკი აღიარებითი სარჩელის ნაცვლად, შესაძ-

ლებელია მიკუთვნებითი მოთხოვნის წაყენება მოპასუხისადმი, რაც იმავდროულად გადაწყვეტილების აღსრულებაუნარიანობის საკითხსაც უკავშირდება, რადგან გადაწყვეტილების აღსრულება მხარისათვის გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს განუყოფელი ნაწილია, ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე. იხ. ასევე: (IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia, §42; Burdov v. Russia, §34; Hornsby v. Greece, §40).

1.5. მოხმობილი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმადაც, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოხმობილი ნორმა მითითებითი ხასიათისაა და, მართალია, ამავე კოდექსის 275-ე მუხლის წინაპირობების შემორჩენაზე მასშია საუბარი, თუმცა ეს უკანასკნელი ნორმაც არ შეიცავს სარჩელის განუხილველად დატოვების ამომწურავ ჩამონათვალს, რის გამოც, დასაშვებია საპროცესო ანალოგიის პრინციპის გამოყენება (სსსკ-ის მე-7 მუხლი) იმ შემთხვევისათვის, როდესაც ვლინდება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა (იხ. სუსგ №ას-551-522-2015, 14 აგვისტო, 2015 წელი). მოცემულ შემთხვევაში, რადგანაც აღიარებითი სარჩელი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, იგი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

## **2. სასამართლო ხარჯები:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სარჩელის განუხილველად დატოვების გამო, პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს ნ. ჯ-ის მიერ 15.08.2016წ. №1 საგადახდო დავალებით სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 ლარის 70% – 210 ლარი.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე, 372-ე, 399-ე მუხლებით და

## დაადგინა:

1. ე. ქ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება, ასევე, ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება და გ. ა-ის სარჩელი ი. ა-ისა და ე. ქ-ას მიმართ მოპასუხეებს შორის 2013 წლის 24 მაისს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე დარჩეს განუხილველად.
3. ე. ქ-ას (მის კანონიერ წარმომადგენელ ნ. ჯ-ეს პ/ნ...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი.....) დაუბრუნდეს ნ. ჯ-ის მიერ 15.08.2016წ. №1 საგადახდო დავალებით სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 ლარისა 70% – 210 ლარი.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 5. დაუსწრებელი გადაწყვეტილება პროცესზე გამომუშავებლობის საპატიოობა

### განჩინება საქართველოს სსხელით

№ას-843-2019

10 იანვარი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ნ. ჯ. ვ. მ-დმა (შემდგომში – მოსარჩელე, მონინალმდევე მხარე) სარჩელი აღძრა ი. მ-ას (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი ან საჩივრის ავტორი ან კასატორი) მიმართ 23089 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

2. მოსარჩელის განმარტებით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოპასუხე მოაწყობდა მასსარდს რემონტით. აღნიშნული სამუშაოების შესრულების და მასალის ხარჯებისათვის მოსარჩელემ მოპასუხეს თანხა გადასცა სამ ეტაპად: თავდაპირველად – 1500 აშშ დოლარი, 2016 წლის 18 აპრილს – 2896 აშშ დოლარი (რაც მოპასუხემ დაადასტურა ხელწერილით), აპრილის თვეში – 2578 აშშ დოლარი. მთლიანობაში მოპასუხისათვის გადახდილია 20474 აშშ დოლარი. მოპასუხემ გარკვეული სამუშაოს შესრულების შემდეგ შეწყვიტა მუშაობა.

3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მის მიერ მიღებული თანხა სრულად მოხმარდა სამშენებლო სამუშაოებს. ამასთან, მოპასუხემ სადავო გახადა შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების შესახებ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა და აღნიშნა, რომ შესრულებული სამუშაო შეუსაბამოდ არის შეფასებული, ვინაიდან შეფასება ეყრდნობა არა სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდს, არამედ დოლარის ლართან მიმართებით არსებულ კურსს.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ

დაეკისრა 6924 აშშ დოლარის გადახდა.

5. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრდა მოპასუხის მიერ. აპელანტი მოითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის უარყოფა.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 20 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მოსარჩელის (მონინალმდეგე მხარე) შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, დაკმაყოფილდა. სააპელაციო საჩივარს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 12 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად და დაინიშნა მისი ზეპირი მოსმენით განხილვა, რის თაობაზეც, მხარეებს ეცნობათ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

8. სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რომელიც დაინიშნული იყო 2019 წლის 20 თებერვალს, 13:00 საათზე, არ გამოცხადდა არც აპელანტი და არც მისი წარმომადგენელი.

9. მონინალმდეგე მხარის წარმომადგენელმა იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე აპელანტის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

10. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი უკუგზავნილით დასტურდებოდა რომ სასამართლო უწყება 2018 წლის 21 ნოემბერს ჰქონდა ჩაბარებული აპელანტის წარმომადგენელს. 2019 წლის 19 თებერვალს სასამართლოს განცხადებით მომართა აპელანტის წარმომადგენელმა და სხდომის სხვა დროისათვის გადადება მოითხოვა იმ საფუძვლით, რომ გარდაეცვალა ახლობელი და მოუწია ქალაქიდან გამგზავრება.

11. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ-ის) 215-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, კანონმდებელი განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებად და სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად მიიჩნევს „ახლო ნათესავის“ და არა „ახლობლის“ გარდაცვალებას, როგორც ეს განცხადებაშია მითითებული და ამასთან, არ არის დაკონკრეტებული თუ რა ნათესაური კავშირი აქვს აპელანტის წარმომადგენელს ახლობელთან. ასევე, არ არის წარმოდგენილი გარდაცვალების დამადასტურებელი მტკიცებულება.

12. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის გამო-

უცხადებლობა არ იყო განპირობებული საპატიო მიზეზით. იმავდროულად, აღნიშნა, რომ აპელანტის (მოპასუხის) მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობაა ვარაუდი, რომ მხარე აღიარებს მოთხოვნის მართებულობას და ცნობს სარჩელს, რის გამოც, კარგავს თავის დაცვის ინტერესს. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს ასევე შეიძლება წარმოადგენდეს ვარაუდი, რომ მოპასუხე ცდილობს საქმის განხილვის გაჭიანურებას ან უგულვებლყოფს კანონის მოთხოვნებს განზრახ ან დაუდევრობის გამო. დაუსწრებელ გადაწყვეტილებას ასევე აქვს პრევენციული ფუნქცია და ნაწილობრივ სადამსჯელო ფუნქციაც, რათა შემდგომში აღკვეთილ იქნეს მხარეთა არაკეთილსინდისიერი ქმედება.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 20 თებერვლის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარადგინა აპელანტმა (მოპასუხე).

14. საჩივრის ავტორის განმარტებით, მონინალმდეგე მხარის წარმომადგენლის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა გამომწვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ, წარმომადგენლის ახლობლის გარდაცვალებით, რაც სასამართლოს სსსკ-ის 215.3 მუხლის თანახმად, საპატიოდ უნდა მიეჩნია. ამასთან, საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ გარდაცვალების მოწმობის სასამართლოში წარდგენის ვალდებულება მას არ ეკისრება, ვინაიდან, საქართველოს სსკ-ის 215-ე მუხლი, ახლო ნათესავის გარდაცვალებისას ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულების სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას, არ ითვალისწინებს. აპელანტის განმარტებით, ახლობლის, იგივე ახლო ნათესავის მოულოდნელი გარდაცვალება სერიოზულ სტრესს იწვევს გარდაცვლილის ახლობლებში. ასეთ დროს, გარდაცვალების ცნობის მოთხოვნა გარდაცვლილის ოჯახისათვის მიუღებელია ქართული ტრადიციებიდან გამომდინარე. შესაბამისად, საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ სახეზე იყო სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები.

15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 10 აპრილის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ამავე სასამართლოს 2019 წლის 20 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ამ განჩინების პპ: 7-12-ში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და განმარტა, რომ გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძ-

ვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის განხილვის განახლება, თუ დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები. სსსკ-ის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. სსსკ-ის 233.1 მუხლის თანახმად, მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ: ა) გამოუცხადებელი მხარე მონვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; დ) არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები. ამ მუხლის ჩამონათვალი არაა ამომწურავი. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია მიუთითოს სხვა გარემოებებზეც, რაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახდა და რომლის შესახებაც მას არ შეეძლო დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამასთან, კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს წინასწარ აცნობოს სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის და მიზეზის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინება სხდომამდე შეუძლებელია. იმ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, რომლებზეც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე, ეკისრება მომჩივანს.

16. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სსსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილი ადგენს, რომ ასეთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარმოდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დანსებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

17. სსსკ-ის 241-ე მუხლის ბოლო წინადადების ამავე კოდექსის 215.3 მუხლთან შეჯერების შედეგად, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, 1. საპატიო მიზეზად შეუძლია მიუთითოს „სხვა გარემოებებზეც“, რაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახდა და 2. რომლის შესახებაც მას არ შეეძლო დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამდენად, იმისათვის, რომ სასამართლომ იმსჯელოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მიზანშეწონილობაზე, ეს ორი წინაპირობა კუმულაციურად უნდა არსებობდეს.

18. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორს არ მიუთითებია სსსკ-ის 233.1 მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების რომელიმე საფუძველზე. საჩივრის ავტორი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვდა მხოლოდ იმ საფუძველით, რომ მის მიერ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა გამონვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ, კი მისი ახლობლის (მისივე განმარტებით დედის ბიძაშვილის მეუღლე) გარდაცვალებით, რის თაობაზე, სასამართლოს აცნობა პროცესამდე 1 დღით ადრე.

19. სააპელაციო პალატამ იმ გარემოებაზე მითითება, რომ აპელანტის წარმომადგენელს არ ეკისრებოდა საპატიო მიზეზად მითითებული გარემოების, კერძოდ, კი „ახლობლის“ (რაც აპელანტის მოსაზრებით გაიგივებული უნდა იყოს ახლო ნათესავთან) გარდაცვალების დამადასტურებელი მტკიცებულების, სასამართლოში წარდგენის ვალდებულება, არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ აპელანტის ამგვარი მოლოდინი ეწინააღმდეგება მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს (სსსკ-ის 4.1, 102-ე და 103.1 მუხლები).

20. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საჩივრის ავტორმა (აპელანტი) შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით:

21. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაარღვია სსსკ-ის 393.2 და 394-ე მუხლის მოთხოვნები. კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; ასევე, არასწორად განმარტა კანონი; გადაწყვეტილება იურიდიულად საკმარისად არ არის დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება შეუძლებელია.

22. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ იმ-

სჯელა, არ შეაფასა და შესაბამისად არც გააქარწყლა საჩივარში წარმოდგენილი საფუძვლიანი პრეტენზია იმის შესახებ, რომ პენსიონერ აპელანტს, რომელმაც გადაიხადა ბაჟი სოლიდური ოდენობით და დიდი ხნის განმავლობაში მოთმინებით ელოდა საქმის არსებითად განხილვას, პირველ სასამართლო სხდომაზე საპატიო მიზეზით აპელანტის გამოუცხადებლობა რატომ ნიშნავს, რომ აპელანტს სურდა საქმის გაჭიანურება. აპელანტმა პროცესამდე ერთი დღით ადრე წერილობით აცნობა გამოუცხადებლობის შესახებ სასამართლოს. კასატორის განცხადებით, უსაფუძვლოა და არ უნდა იქნეს გაზიარებული სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ კანონმდებელი სსკ-ის 215.2 მუხლის თანახმად განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებად და სასამართლო ხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად მიიჩნევს „ახლო ნათესავის“ და არა „ახლობლის“ გარდაცვალებას, როგორც ეს განცხადებაშია მითითებული. აპელანტის მიერ წარმოდგენილი განცხადებით უტყუარად არის დადასტურებული სხდომის გადადების საპატიოობა და სასამართლოს მიმართ პატივისცემა, თუმცა, სასამართლომ ნორმის არასწორი გამოყენების შედეგად შეუზღუდა მხარეს უფლება საქმე განხილულიყო არსებითად, რის გამოც, კასატორს მიაჩნია, რომ სასამართლომ უხეშად დაარღვია სამოქალაქო საპროცესო ნორმათა მოთხოვნები.

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2019 წლის 1 აგვისტოს განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით (საკასაციო საჩივარი ქონებრივ და არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე).

### **სამოტივაციო ნაწილი:**

24. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

25. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე აპელანტის (მოპასუხე) გამოუცხადებლობის გამო, მიღებული დაუსწრებელი გა-

დანყვეტილებისა და მისი უცვლელად დატოვების შესახებ განჩინების კანონიერებას.

26. მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში დაინიშნა 2019 წლის 20 თებერვალს, 13:00 საათზე. აღნიშნულის შესახებ მხარეებს ეცნობათ სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის დღის თაობაზე ინფორმირებულობა კასატორს სადავოდ არ გაუხდია არც საკაცო საჩივარსა და არც დაუსწრებელი გადანყვეტილების გაუქმების შესახებ წარდგენილ საჩივარში. შესაბამისად, საკასაციო პალატა უდავო გარემოებად მიიჩნევს სხდომაზე მხარეთა მონაწილეობის შესახებ გარემოებას.

27. დადგენილია, რომ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი (მოპასუხე), ხოლო გამოცხადებულმა მონაწილემდეგე მხარემ მოითხოვა დაუსწრებელი გადანყვეტილების მიღება და სააპელაციო საჩივრის უარყოფა.

28. სსსკ-ის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მონაწილემდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადანყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამავდროულად, მე-3 ნაწილის შესაბამისად, გამოიყენება ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანის შესახებ.

29. საკასაციო სასამართლო უარყოფს კასატორის პრეტენზიას დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის შესახებ (სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტი) და განმარტავს, რომ სააპელაციო პალატის მიერ დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანისათვის ვლინდებოდა ყველა კანონისმიერი წინაპირობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 387-ე მუხლი არეგულირებს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დაუსწრებელი გადანყვეტილების მიღების წესსა და წინაპირობებს. აღნიშნული ნორმით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში კი, გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანის შესახებ. სსსკ-ის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მონაწილემდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადანყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, მიიღოს და-

უსწრებელი გადაწყვეტილება, თუ აპელანტი, რომელსაც საქმის განხილვის დრო კანონით დადგენილი წესით ეცნობა, არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სხდომაზე და არც გამოცხადების შეუძლებლობის თაობაზე არ აცნობა სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო, მონინალმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს. ამავდროულად, ზემოაღნიშნული საპროცესო ღონისძიება ერთგვარი სანქციაა ისეთი მხარისათვის, რომელიც არასაპატიოდ არ ცხადდება საქმის განხილვაზე. ამდენად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის უნდა არსებობდეს 387-ე მუხლის პირველი ნაწილის შემადგენლობის ყველა კომპონენტი: ა) აპელანტის გამოუცხადებლობა; ბ) გამოუცხადებლობის არასაპატიო მიზეზი; გ) მონინალმდეგე მხარის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

30. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო სხდომის დღის შესახებ ინფორმირებულობა უდავო გარემოებაა. სადავოა მხოლოდ გამოუცხადებლობის საპატიოობა, კერძოდ, კასატორის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ მისი გამოუცხადებლობა განაპირობა ახლობლის გარდაცვალებამ, რის გამოც, კასატორის წარმომადგენელს მოუწია ქალაქიდან გასვლა.

31. შესაბამისად, საკასაციო პალატამ უნდა იმსჯელოს აპელანტის წარმომადგენლის გამოუცხადებლობა გამონვეული იყო თუ არა საპატიო მიზეზით. წარმოდგენილი საკითხის სწორად შესაფასებლად კი, უნდა გაირკვეს, რა სახის გარემოება შეიძლება, ჩაითვალოს საპატიოდ.

32. სსსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის საპატიოდ მიჩნევის წანამძღვრებს და ასეთად მიიჩნევს ავადმყოფობას, ახლო ნათესავის გარდაცვალებას ან სხვა განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებას, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის საპროცესო მოქმედების შესრულებას. მითითებული დანაწესის თანახმად, საპატიოდ ჩაითვლება ისეთი გარემოების არსებობის სარწმუნოდ დადასტურება, რომელიც ობიექტურად შეუძლებელს ხდის მხარის მიერ საპროცესო მოქმედების შესრულებას, მოცემულ შემთხვევაში კი – სასამართლო პროცესზე გამოცხადებას. ამასთან, ამგვარი საპატიო გარემოების დადასტურების ვალდებულებასთან დაკავშირებულ მტკიცების სტანდარტს აწესებს სსსკ-ის 102-ე მუხლი, რომლის თანახმად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით,

მონმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამავე კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები.

33. ამდენად, სათანადო მტკიცებულებით დადასტურებას საჭიროებს საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზად დასახელებული ყველა გარემოება, რაზეც მხარე მიუთითებს.

34. განსახილველ შემთხვევაში, კასატორს მიაჩნია, რომ ახლობლის გარდაცვალება წარმოადგენს სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ იმ გარემოებას, რომელიც საპატიოდ მიიჩნევა საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას და ამასთან, ნორმა არ ითვალისწინებს გარდაცვალების დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულებასაც (იხ., საკასაციო საჩივრის საფუძვლები).

35. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა სსსკ-ის 215-ე მუხლით დადგენილი საპატიო მიზეზის არსებობა სარწმუნოდ ვერ დაადასტურა, რის გამოც, არ არსებობს სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და განჩინების გაუქმების ამავე კოდექსის 241-ე მუხლით განსაზღვრული სამართლებრივი წინაპირობა, კერძოდ, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას იმ ნაწილში, რომ სსსკ-ის 215.3 მუხლის თანახმად, განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებად და სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად კანონმდებელი მიიჩნევს „ახლო ნათესავის“ და არა „ახლობლის“ გარდაცვალებას, როგორც ეს განცხადებაშია მითითებული და ამასთან, არ არის დაკონკრეტებული თუ რა ნათესაური კავშირი აქვს ამ ახლობელთან. ასევე, არ არის წარმოადგენილი გარდაცვალების დამადასტურებელი მტკიცებულება. შესაბამისად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები. ერთ-ერთ საქმეში საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი უზრუნველყოფს მხარეთა მიერ საპროცესო ვალდებულებების შესრულებისადმი პატივისცემისა და მათი პასუხისმგებლობის დონის ამაღლებას. ის ემსახურება საპროცესო დისციპლინის განმტკიცებას და პროცესის გამარტივებას. აქედან გამომდინარე, ეს ინსტიტუტი სსსკ-ის მე-3 და მე-4 მუხლებით განმტკიცებული სამართალწარმოების ფუნდამენტური პრინციპების რეალიზაციაა. თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას კანონით გათვალისწინე-

ბული წინაპირობები დაცულია, მისი გაუქმება სათანადო დასაბუთების გარეშე დაუშვებელია“ (იხ. სუსგ №ას-1108-1065-2016, 18.04.2017წ.; სუსგ №ას-397-370-2017, 30 ივნისი, 2017წ.).

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 410-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. მ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 20 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2019 წლის 10 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მოქალაქის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის  
შედეგები**

**განჩინება  
საქართველოს სასჯელით**

№ას-538-511-2014

24 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი**

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. დ. კ-დემ (შემდგეში – მოსარჩელე ან კასატორი) სარჩელი აღ-  
ძრა სასამართლოში გ. გ-ძის (შემდგეში – მოპასუხე, საჩივრის ავ-  
ტორი ან აპელანტი) წინააღმდეგ ამ უკანასკნელისათვის თანხის  
დაკისრების მოთხოვნით.

2. მოსარჩელის განმარტებით, 2010 წლიდან მოპასუხესთან ერ-  
თად საქმიანობდა, ამონტაჟებდნენ გათბობის საქვავებს, მიღე-  
ბულ სარგებელს კი, ინაწილებდნენ თანაბრად. საქმიანობის დაწ-  
ყებიდან 5-6 თვეში ერთობლივი საქმიანობა შეწყდა, რა დროსაც  
მხარეებს შორის შედგა წერილობითი შეთანხმება იმის შესახებ,  
რომ მოპასუხეს, მოსარჩელისათვის 2010 წლის 27 სექტემბრის მო-  
ნაცემებით გადასახდელი ჰქონდა 2753 ლარი. ვინაიდან, მოპასუ-  
ხეს თანხა არ გააჩნდა, მხარეები შეთანხმდნენ სამუშაო იარაღის  
მოსარჩელისათვის 1300 ლარად მიყიდვის თაობაზე, რაც ამდენით  
შეამცირებდა დავალიანებას. მოპასუხემ შეთანხმება არ შეასრუ-  
ლა. 2011 წლის დეკემბერში, მოსარჩელემ მოპასუხისაგან შეიძინა  
გათბობის ქვები, რაშიც გაუქვითა ვალის თანხა და, საბოლოოდ,  
მოპასუხეს მისთვის გადასახდელი დარჩა 1403 ლარი.

3. მოსარჩელემ მოპასუხეს სარჩელი და თანდართული მასალე-  
ბის ასლები გაუგზავნა კანონით დადგენილი წესით, რომელიც 2013  
წლის 20 სექტემბერს ჩაჰბარდა მოპასუხის შვილს. მოპასუხეს სა-  
სამართლოში უნდა წარედგინა შესაგებელი, სარჩელისა და თან-  
დართული მასალების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, 2013 წლის 30  
სექტემბრის ჩათვლით. მითითებულ ვადაში მოპასუხეს შესაგებე-  
ლი არ წარუდგენია.

**4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 18 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს დაეკისრა 1 403 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.**

4.1. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს სარჩელი და თანდართული მასალების ასლები გაუგზავნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ-ის) 70-ე-78-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით; აღნიშნული გზავნილი სსსკ-ის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, ასეთ შემთხვევაში უწყება ჩაითვლება ადრესატისათვის ჩაბარებულად, რაც დასტურდება მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით), 2013 წლის 20 სექტემბერს ჩაპბარდა მოპასუხის შვილს. მოპასუხეს შესაგებელი უნდა წარედგინა სარჩელისა და თანდართული მასალების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, ანუ 2013 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით. მითითებულ ვადაში მოპასუხეს შესაგებელი არ წარუდგენია.

4.2. სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 232<sup>1</sup>-ე მუხლზე (მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარმოუდგენლობისას, თუ ეს გამონეწეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას) და აღნიშნა, რომ, ვინაიდან მოპასუხემ შესაგებელი არ წარადგინა და არც მისი წარუდგენლობის საპატიო მიზეზების შესახებ არ უცნობებია სასამართლოსათვის, არსებობდა მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობა.

4.3. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა გამომდინარეობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 316-ე, 317-ე და 361-ე მუხლების საფუძვლებიდან, შესაბამისად, სარჩელში ჩამოყალიბებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა მოთხოვნას.

**5. მოპასუხემ საჩივარი წარადგინა ბათუმის საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, მისი გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.**

5.1. საჩივრის ავტორის მტკიცებით, საქმეში წარმოდგენილი სა-

ქართველოს ფოსტის 2013 წლის 4 ოქტომბრის წერილობითი ინფორმაციის თანახმად, გზავნილი ჩაჰბარდა თავის შვილს, რომელიც არ არის თავისი ოჯახის წევრი, რადგან ცალკე ოჯახად ცხოვრობს ქალაქ ბათუმში, თუმცა ამჟამად ის სწავლობს და ცხოვრობს ქალაქ თბილისში. ოჯახში სტუმრობისას, ფოსტის თანამშრომელმა მას ჩააბარა გზავნილი, იმავე დღეს თბილისში გამგზავრების სამზადისში კი, დაავიწყდა გზავნილის გადაცემა, შესაბამისად, გზავნილის არსებობის შესახებ მან არ იცოდა და არც შესაგებლის წარდგენის ვალდებულება არ წარმოშობია.

5.2. საჩივრის ავტორის მითითებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას მხოლოდ შესაგებლის წარუდგენლობა არ არის საკმარისი სარჩელის დაკმაყოფილებისათვის, მასთან ერთად აუცილებელია, სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდეს სასარჩელო მოთხოვნას. განსახილველ საქმეში ვალის არსებობის შესახებ რაიმე მტკიცებულება არ წარდგენილა.

**6. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 23 დეკემბრის განჩინებით, მოპასუხის საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვისა და საქმის განახლების თაობაზე უარყოფილ იქნა. შესაბამისად, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.**

6.1. სასამართლომ მტკიცების ტვირთის განაწილებაზე გაამახვილა ყურადღება და მიუთითა, რომ იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ სასამართლო გზავნილი არ ჩაჰბარებია და მისი შვილი, რომელსაც ჩაჰბარდა გზავნილი არ იყო მისი ოჯახის წევრი, საჩივრის ავტორს ეკისრებოდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორმა ვერ შეძლო დაკისრებული მტკიცების ტვირთის რეალიზება. საქმეში წარდგენილ მტკიცებულებათა შეფასებით, სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ მოპასუხის შვილი, მისი ოჯახის წევრი იყო და სტუდენტობა არ იყო ოჯახის წევრობის გამომრიცხველი გარემოება.

7. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 23 დეკემბრის დამატებითი გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაეკისრა განუული იურიდიული მომსახურების ხარჯის, 200 ლარის, ანაზღაურება მონარჩელის სასარგებლოდ.

**8. დაუსწრებელი გადაწყვეტილება, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინება და დამატებითი გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების, განჩინებისა და დამატებითი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმისწარმოების განახლების მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:**

8.1. აპელანტის მტკიცებით, დაუსაბუთებელია სასამართლოს როგორც დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ასევე, დამატებითი გადაწყვეტილება. მოპასუხის წინაშე 2753 ლარის გადახდის ვალდებულება არ დასტურდება არც ხელნერილით და არც სხვა რომელიმე მტკიცებულებით. საქმიანობის შეჩერების შემდეგ მოსარჩელემ მოითხოვა მისთვის განსაზღვრული წილის მიღება. ვინაიდან, შეძენილი ინსტრუმენტები მისი საქმიანობისათვის აუცილებელი იყო, აიღო ვალდებულება მოსარჩელის წილის გადახდაზე, რაც ხელნერილითაა დადასტურებული და 1300 ლარს შეადგენდა. აღნიშნული ვალდებულება შესრულებული აქვს, რასაც მოპასუხე უტყუარად ადასტურებს მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით. მოსარჩელე სარჩელში თვითონვე უთითებდა იმ გარემოებაზე, რომ მისგან შეიძინა 1900 ლარად ღირებული გათბობის ქვაბი, რაშიც გადაიხადა 550 ლარი, დანარჩენი კი (1350 ლარი), გამოაკლდა დავალიანებას. შესაბამისად, რაიმე სახის ვალდებულება მოსარჩელის მიმართ არ გააჩნია. პირიქით, მოსარჩელემ უნდა გადაუხადოს 50 ლარი. რაც შეეხება ცხრილში ასახულ თანხას, მისი გადახდა შეუძლებელი იყო, რადგან ეს საკითხი პარტნიორების დაშლის მომენტისათვის შეიცვალა, დღემდე არ არის შემოსული 3910 და 1600 ლარი, შესაბამისად, შემცირდა პარტნიორებისათვის გათვლილი თანხა, გაუცემელი დარჩა სახელფასო დავალიანებაც.

8.2. აპელანტის მითითებით, სარჩელი ჩაჰბარდა თავის შვილს, რომელიც მიემგზავრებოდა თბილისში და დაავიწყდა სარჩელის გადაცემა. საქმის ფაქტობრივი გარემოების შესახებ ცნობის არარსებობამ გამოიწვია შესაგებლის საპატიო მიზეზით წარუდგენლობა. სასამართლოში საქმის არსებობის შესახებ მისთვის ცნობილი გახდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ჩაბარებისას.

8.3. დამატებითი გადაწყვეტილების მიღებისას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯების მეორე მხარისათვის დაკისრების პირობას. სსსკ-ის 47-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ასეთი ხარჯების დაკისრების პირველი პირობაა, რომ მხარე გადახდისუუნარო იყოს, სასამართლომ კი, ისე დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, რომ აღნიშნულ გარემოებაზე საერთოდ არ უმსჯელია.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 18 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ამავე სასამართლოს 2013 წლის 23 დეკემბრის განჩინება და დამატებითი გადაწყვეტილება, საქმე შესაგებლის წარდგე-

## **ნის სტადიიდან განხილვისათვის დაუბრუნდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.**

9.1. სააპელაციო პალატამ სსსკ-ის 284-ე მუხლის პირველ ნაწილზე მიუთითა და განმარტა, რომ სასამართლო დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობდა, რომ სასამართლოს დადგენილება, რომლითაც მან მხარეს ამცნო იმ სამართლებრივი შედეგის შესახებ, რომელიც დადგებოდა მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, უნდა მიღებულიყო განჩინების სახით, ანუ სასამართლო ვალდებული იყო, მხოლოდ განჩინებით გაეფრთხილებინა მხარე იმ სამართლებრივი შედეგების შესახებ, რომელიც შესაძლოა მოჰყვეს სასამართლო აქტის, განჩინების არადროულ და საერთოდ შეუსრულებლობას.

9.2. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სასამართლო გზავნილი, რომლითაც მოპასუხეს განემარტა გზავნილის (სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების) ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სასამართლოში შესაგებლის წარდგენის სავალდებულო ხასიათისა და, არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში, შესაძლო სამართლებრივი შედეგების თაობაზე, შედგენილი იყო არა სასამართლოს მიერ მიღებული შესაბამისი აქტით – განჩინებით, არამედ – სასამართლოს შესაბამისი მოხელის (რომელიც არ არის თანაშემწე) მიწერილობით. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ, შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება უკანონო იყო, რადგან საქმეში არ იყო განთავსებული სასამართლო განჩინება, რომლითაც მოპასუხე მხარე გაფრთხილდებოდა სასამართლოს მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ შესაძლოდ მისაღები სამართლებრივი შედეგების თაობაზე. აღნიშნულის გამო სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევით იქნა მიღებული 2013 წლის 18 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მისი უცვლელად დატოვების შესახებ განჩინება, ასევე – 2013 წლის 23 დეკემბრის დამატებითი გადაწყვეტილება.

**10. მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 27 მარტის განჩინება, რომლითაც გაუქმდა 2013 წლის 18 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მისი უცვლელად დატოვების შესახებ განჩინება, ასევე – 2013 წლის 23 დეკემბრის დამატებითი გადაწყვეტილება, შემდეგ საფუძვლებზე მითითებით:**

10.1. 2011 წლის 28 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე და 184-ე მუხლების თა-

ნახმად, კანცელარიის თანამშრომელს სრული სამართლებრივი უფლება ჰქონდა, ამ მუხლების მოთხოვნათა დაცვით, მხარისთვის გაეგზავნა სარჩელი და თანდართული დოკუმენტები მისივე ხელმოწერილი გზავნილით. კანონი, განჩინებით სარჩელისა და მასზე თანდართული საბუთების მხარისადმი გაგზავნას, რომლითაც მოპასუხე გაფრთხილდებოდა სასამართლოს მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში სასამართლოს მიერ შესაძლოდ მისაღები სამართლებრივი შედეგების თაობაზე, აღარ ითვალისწინებდა. ისეთი სამართლებრივი ნორმით, რასაც კანონი არ ითვალისწინებს, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება აშკარად უკანონოა.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, შესწავლისა და ანალიზის, ასევე, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ, იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვის მიზნით დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

12. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სსსკ-ის 232<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების გაუქმების კანონიერების შემოწმება.

13. სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი უზრუნველყოფს მხარეთა მიერ საპროცესო ვალდებულებების შესრულებისადმი პატივისცემისა და მათი პასუხისმგებლობის დონის ამალგებას. ის ემსახურება საპროცესო დისციპლინის განმტკიცებასა და პროცესის გამართივებას. აქედან გამომდინარე, ეს ინსტიტუტი სსსკ-ის მე-3 და მე-4 მუხლებით განმტკიცებული სამართალწარმოების ფუნდამენტური პრინციპების რეალიზაციაა. თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას კანონით გათვალისწინებული წინაპირობები დაცულია, მისი გაუქმება სათანადო დასაბუთების გარეშე დაუშვებელია.

14. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, სსსკ-ის 232<sup>1</sup>-ე მუხლის საკანონმდებლო მიზნებიდან გამომდინარე, შესაგებლის შე-

უტანლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის შემდეგი წინაპირობების არსებობის სავალდებულობაა დადგენილი:

ა) მოპასუხეს სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით უნდა ჩაჰბარდეს სარჩელი და თანდართული მასალები. მასვე უნდა განემარტოს სსსკ-ის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად დანიშნული საპროცესო ვადის (შესაგებლის წარდგენის ვადის) არასაპატიოდ დარღვევის ნეგატიური შედეგების თაობაზე;

ბ) მოპასუხემ ბრალეულად უნდა დაარღვიოს შესაგებლის შეტანისათვის განსაზღვრული ვადა;

გ) სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდეს მოთხოვნას.

15. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მთავარი წინაპირობა ისაა, რომ მოპასუხე კანონით დადგენილი წესით იყოს ინფორმირებული მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, შესაგებლის წარდგენის ვადა და ამ ვადის დაუცველობის შედეგებზე მოპასუხის გაფრთხილება სასამართლომ აუცილებლად თავისი განჩინებით უნდა დაადგინოს. მოცემულ შემთხვევაში, ასეთი განჩინება საქმეში წარმოდგენილი არაა, სასამართლოს შესაბამისი მოხელე კი, არ არის უფლებამოსილი, შეასრულოს ასეთი მოქმედებები.

16. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებულ მოსაზრებას და მიუთითებს სსსკ-ის მე-200 მუხლზე, რომელიც ადგენს საქმის მომზადებაზე უფლებამოსილ პირებს. ამ ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, საქმეს ამზადებს მოსამართლე, ხოლო მეორე ნაწილის მიხედვით, მოსამართლის დავალებით საქმე სასამართლო განხილვისათვის შეიძლება მოამზადოს მოსამართლის თანაშემწემ. ამდენად, საქმის მომზადება სასამართლოს შესაბამის მოხელესაც შეუძლია მოსამართლის დავალებით. საქმის მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის ჩაბარება და ამ უკანასკნელისათვის შესაგებლის წარდგენის ვადის განსაზღვრა შესაბამის შედეგებზე მითითებით. ზემოხსენებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ამ მოქმედებათა შესრულება შეუძლია მოსამართლის თანაშემწეს. თანაშემწისათვის მოსამართლის მიერ მიცემული დავალების ფორმას კანონი არ განსაზღვრავს, შესაბამისად, მოსამართლემ შესაძლოა ზეპირადაც დაავალოს თანაშემწეს გარკვეული მოქმედებების შესრულება საქმის მომზადების

მიზნით. პირველი ინსტანციის სასამართლოებში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მოსამართლეები სწორედ ზეპირად აძლევენ დავალებებს თანაშემწეებს. ასევე, ამავე სასამართლოებში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, სწორედ მოსამართლის თანაშემწეები ან სასამართლოს შესაბამისი მოხელეები უზრუნველყოფენ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლებისა და მათ მიერ ხელმოწერილი წერილობითი გზავნილების (შესაგებლის წარდგენის ვადისა და მისი წარუდგენლობის შედეგების თაობაზე) მოპასუხისათვის ჩაბარებას. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ შესრულებული ასეთი მოქმედებები კანონიერია, ვინაიდან იგი შეესაბამება მოქმედ საპროცესო კანონმდებლობას.

17. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საპროცესო ნორმები, როგორც ფორმალურ წესთა ერთობლიობა, იმ სავალდებულო მოთხოვნებს ადგენს, რომელთა შეცვლა არც სასამართლოს და არც მხარეთა მიხედულებაზე არაა დამოკიდებული. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა დეტალურად ადგენს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების მოპასუხისათვის გადაცემის წესს და, თუ სარჩელი შეაქვს იურიდიულ პირს, ინდივიდუალურ მენარმეს, ადვოკატს ან წარმომადგენელს (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა), ან, თუ სარჩელი (განცხადება) შეიტანება იურიდიული პირის წინააღმდეგ (სსსკ-ის 183-ე მუხლი) მოპასუხის ჯეროვან ინფორმირებას კანონმდებელი მოსარჩელეს ავალდებულებს. მოსამართლისათვის სარჩელის (განცხადების) გადაცემიდან არაუადრეს 5 და არაუგვიანეს 14 დღისა, მოსარჩელეებს მათ მიერ მითითებულ ტელეფონის ნომრებზე ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართებზე ეგზავნებათ შეტყობინება ან სასამართლოში გამოცხადების შედეგად ეცნობებათ სარჩელის (განცხადების) მიღებაზე უარის თქმის შესახებ ან სასამართლო გზავნილის (სარჩელის (განცხადების) და თანდართული დოკუმენტების ასლების) მათ მიერ მოპასუხისათვის ჩაბარების თაობაზე (სსსკ-ის 184.1 მუხლი). ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელე ვალდებულია, უზრუნველყოს მოპასუხისათვის სასამართლო გზავნილის ფოსტით, სასამართლო კურიერის მეშვეობით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით ჩაბარება ან მისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნა ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესების დაცვით მისთვის გზავნილის გადაცემიდან 2 თვის ვადაში. ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი სასამართლო გზავნილის ჩაბარება დასტურდება ადრესატის მიერ ელექტრონული საშუალებით მიწოდებული დადასტურებით (სსსკ-ის 184.3 მუხლი). აღნიშნული ვალდებულების პარა-

ლელურად საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია იმ მოპასუხეთა ინფორმირების წესიც, რომელთაც ვერ ჰპარდებათ შეტყობინება (სარჩელი) ან მათი მისამართი უცნობია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანოს განჩინება სასამართლო გზავნილის საჯაროდ გავრცელების შესახებ.

18. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით, კერძოდ, 2013 წლის 19 სექტემბრის აქტით დადგენილია, რომ სასამართლოს შესაბამისმა მოხელემ მოსარჩელის წარმომადგენელს გადასცა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები, მოპასუხისათვის ჩასაბარებლად. საქმეში წარმოდგენილია სსსკ-ის 200.2 მუხლის შესაბამისად სასამართლო მოხელის მიერ ხელმოწერილი გზავნილიც, სადაც განსაზღვრულია შესაგებლის წარდგენის 10-დღიანი ვადა და ამომწურავადაა განმარტებული არასაპატიო მიზეზით მისი წარუდგენლობის შედეგების შესახებ. სწორედ ეს დოკუმენტი, სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლებთან ერთად, ჩაჰბარდა ადრესატის ოჯახის წევრს – შვილს, რაც სსსკ-ის 74.1 მუხლის მიხედვით, ადრესატისათვის ჩაბარებად მიიჩნევა. ამავე ნორმის მიხედვით, სასამართლო გზავნილის მიმღები (ოჯახის ქმედუნარიანი წევრი) ვალდებული იყო, ეს გზავნილი დაუყოვნებლივ ჩაებარებინა ადრესატისათვის. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა არ აქარწყლებს გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარების ფაქტს, შესაბამისად, სასამართლოს შეეძლო, შეესრულებინა კანონით დადგენილი საპროცესო მოქმედება (შდრ: იხ. სუსგ №ას-1199-1144-2013, 04.03.2014წ.).

19. როგორც ზემოთ ითქვა, სსსკ-ის 232<sup>1</sup>-ე მუხლის მიზნებისათვის, დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებელი წინაპირობაა მოპასუხის ინფორმირება შესაგებლის წარდგენის საპროცესო ვადისა და მისი არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შედეგების შესახებ. ეს პირობა, მოცემულ შემთხვევაში, შესრულებულია სასამართლოს მიერ. ამასთანავე, იმისათვის, რათა სასამართლომ დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით დააკმაყოფილოს სარჩელი, მოსამართლე ვალდებულია, გამოარკვიოს კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები ამართლებს თუ არა იურიდიული თვალსაზრისით მოთხოვნას. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა გულისხმობს სასამართლოს მხრიდან დამფუძნებელი ნორმების სწორად მოძიებას, რომლებიც დავის გადაწყვეტის ფუნდამენტია და ქმნის ამა

თუ იმ ურთიერთობის სამართლებრივი მონესრიგების აბსტრაქტულ შემადგენლობას. ნორმის მოძიების შემდგომ სასამართლო ადგენს, სარჩელში მითითებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ აღწერილობას აკმაყოფილებს თუ არა, რაც დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანის გზით სარჩელის წარმატების საფუძველია. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დაუსწრებელი გადანყვეტილება მხოლოდ იმ საფუძველით გააუქმა, რომ მოპასუხე კანონით დადგენილი წესით არ იყო ინფორმირებული შესაგებლის წარდგენის ვადისა და მისი დაუცველობის სამართლებრივ შედეგებზე, შესაბამისად, სასამართლომ საერთოდ აღარ იმსჯელა აპელანტის იმ პრეტენზიებზე, რომლებიც შეეხებოდა შესაგებლის წარუდგენლობის საპატიო მიზეზის არსებობასა და სარჩელის იურიდიულ გაუმართაობას.

20. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხის არასათანადო ინფორმირება სააპელაციო პალატამ კანონის არასწორ განმარტებას დაუკავშირა, რის თაობაზეც სამართლიანად მიუთითა კასატორმა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება, ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადანყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სამართლის ნორმები დარღვეულად მიიჩნევა, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, თავად მიიღოს ახალი გადანყვეტილება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

21. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

## **დაადგინა:**

1. დ. კ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 6. სასამართლო გადაწყვეტილება

### გადაწყვეტილება ქონების მიკუთვნების ან მისი ღირებულების გადახდვინების შესახებ

#### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1159-2018

26 მარტი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ზ. ძლიერიშვილი (მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ამხანაგობა „...-ე“ (შემდგომში – ამხანაგობა) დაფუძნდა 2005 წლის 24 აგვისტოს.

2. ამხანაგობის დამფუძნებელ წევრებს წარმოადგენენ მ. ში- (შემდეგში – ამხანაგობის პირველი წევრი), მ. ტ. (შემდეგში – ამხანაგობის მე-2 წევრი), რ. ქ-ე (შემდეგში – ამხანაგობის მე-3 წევრი), და ა. თ-ე (შემდეგში – ამხანაგობის მე-4 წევრი).

3. 2006 წლის 2 ნოემბერს, ერთი მხრივ, ამხანაგობის თავმჯდომარეს ზ. ა-ესა (შემდეგში – ამხანაგობის თავმჯდომარე) და მეორე მხრივ, ი. შ-ეს (შემდეგში: მოსარჩელე ან აპელანტი ან მონინალ-მდგე მხარე) შორის დაიდო №210 ხელშეკრულება ამხანაგობის წევრობის შესახებ (შემდეგში – ამხანაგობაში წევრად მიღების ხელშეკრულება).

4. ამხანაგობაში წევრად მიღების ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელე მიიღებოდა ამხანაგობის ჩვეულებრივ წევრად. მისი უფლება-მოვალეობები კი, განისაზღვრებოდა ამავე ხელშეკრულები-სა და „ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის“ ხელშეკრულებით.

5. ამხანაგობაში წევრად მიღების ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელეს, როგორც ამხანაგობის წევრს მიენიჭა უფლება, მიე-ლო წილობრივი მონაწილეობა ამხანაგობის საქმიანობაში, სახელ-დობრ, ქ. თ-ში, დ-ის ქ. №18-ში მრავალსართულიანი, მრავალბინი-ანი შენობის (შემდგომში – მრავალბინიანი შენობა) მშენებლობაში, ხოლო ამხანაგობამ იკისრა ვალდებულება, წილობრივი მონაწილე-ობისათვის მოსარჩელისათვის საკუთრებაში გადაეცა მრავალბი-

ნიანი შენობის | კორპუსში, ... ბლოკში, | სართულზე, მე-6 და მე-7 ლერქებს შორის 100მ<sup>2</sup> ფართობის კომერციული ფართი (შემდეგში – სადავო კომერციული ფართი).

6. ამხანაგობაში ნევრად მიღების ხელშეკრულება მოქმედებდა 2007 წლის აგვისტოს ბოლომდე.

7. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა ამხანაგობისა და ამხანაგობის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 ნევრის მიმართ მრავალსართულიან შენობაში სადავო კომერციული ფართის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით, ამ განჩინების პპ: 3-5-ში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და იმის საფუძველზე, რომ მოსარჩელემ 2007 წლის 7 ნოემბერს ამხანაგობაში 50000 აშშ დოლარის შენატანი განახორციელა, ხოლო სადავო კომერციული ფართი 2007 წლის აგვისტოს ბოლომდე უნდა გადასცემოდა საკუთრებაში. მოსარჩელის მითითებით, მიუხედავად იმისა რომ კომერციული ფართის მის საკუთრებაში გადაცემის ვადა გადაინა 2011 წლის 30 დეკემბრამდე, ამხანაგობა უარს აცხადებს ვალდებულების შესრულებაზე.

8. მოთხოვნის გამომრიცხველ შედეგებში მოპასუხებმა სადავო გახადეს ამხანაგობაში ნევრად მიღების ხელშეკრულების იურიდიული ძალა იმაზე მითითებით, რომ ერთი მხრივ, მასში გამოვლენილი ნება არ იყო ნამდვილი და რეალურად წარმოადგენდა სესხის ხელშეკრულებას და მეორე მხრივ, ამხანაგობის ნევრად მიღების უფლებამოსილება გააჩნდა ამხანაგობის დამფუძნებელ ნევრებს, ნევრთა 2/3-ის მიერ მხარდაჭერილი გადაწყვეტილებით და არა ამხანაგობის თავმჯდომარეს, ერთპიროვნულად.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი სადავო კომერციული ფართის მოსარჩელისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ უარყოფილი იქნა.

10. გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის სასამართლომ დაასაბუთა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 50-ე, 327-ე, 623-ე მუხლების საფუძველზე და დაასკვნა, რომ მრავალბინიან შენობას არ გააჩნდა სადავო კომერციული ფართი, რომლის საკუთრებაში გადაცემასაც მოსარჩელე მოითხოვდა; სადავო ფართი არ ფიქსირდებოდა არც ამხანაგობის 2014 წლის 26 მარტის კრების ოქმში (მასზე დართულ ფართთა ნუსხაში), რომლითაც დადგინდა ამხანაგობის ნევრებისათვის გადასაცემი ფართების განშლა.

11. გადაწყვეტილების გაუქმების და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით წარდგენილი სააპელაციო საჩივარი დაეფუძნა იმ გარემოებას, რომ სასამართლომ არასწორად მიიჩნია ამხანაგობის თავმჯდომარე 2006 წლის 2 ნოემბრის ხელშეკრულებასთან მიმართებაში არაუფლებამოსილ პირად. ამასთან, სასამართლომ არას-

ნორად დაადგინა, რომ მხარეები ერთმანეთთან სასესხო-სამართლებრივ ურთიერთობებში იმყოფებოდნენ.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ამხანაგობის დამფუძნებელ წევრებს: პირველ, მე-2, მე-3 და მე-4 წევრს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ 50 000 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) გადახდა.

13. სააპელაციო სასამართლომ იურიდიული ძალის მქონედ ცნო ამხანაგობის თავმჯდომარეს და მოსარჩელეს შორის დადებული ამხანაგობის წევრად მიღების შესახებ ხელშეკრულება სსკ-ის 930-ე მუხლის საფუძველზე [დისპოზიცია: ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად]. სააპელაციო პალატის აღნიშნული დასკვნა, დაეფუძნა ამხანაგობის მართვისა და მესამე პირებთან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საკითხებზე არსებულ საკანონმდებლო მონესრიგებას [სსკ-ის 934-ე მუხლი], რომელიც ამხანაგობის საქმეების ერთობლივად მართვას და მესამე პირებთან მიმართებაში ერთობლივ წარმომადგენლობას ანესებს და იმავედროულად, დასაშვებად მიიჩნევს განსხვავებული შეთანხმების მიღწევასაც. ამხანაგობის ხელშეკრულებით შესაძლებელია განისაზღვროს, რომ ამხანაგობის მხოლოდ ერთი ანდა რამდენიმე წევრი იყოს დამოუკიდებლად ამხანაგობის საქმეების გაძღოლაზე უფლებამოსილი. შესაძლებელია, ამხანაგობის ხელშეკრულებით ამხანაგობის წევრებმა მმართველობითი უფლებამოსილება ამხანაგობის ერთ-ერთ წევრს მიანიჭონ, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების თაობაზე კი, საკითხი ღიად დატოვონ. ამ შემთხვევაში, კანონი ითვალისწინებს რეგულირებას, რომლის თანახმად, თუ ამხანაგობის მართვა ხელშეკრულებით დაკისრებული აქვს ამხანაგობის ერთ-ერთ მონაწილეს, საეჭვოობისას იგი წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში და მის მიერ დადებული გარიგებები ნამდვილად ჩაითვლება. ამდენად, ნორმით დამკვეთულია ვარაუდი (პრეზუმფცია), რომლის თანახმად, თუ ამხანაგობის მმართველობა ხელშეკრულებით ერთ-ერთ წევრს აქვს ჩაბარებული, საეჭვოობისას იგი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებითაცაა აღჭურვილი და მის მიერ დადებული გარიგებები ამხანაგობის სახელით იურიდიული ძალის მქონეა.

14. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილად იქნა მიჩნეული,

რომ ამხანაგობის სადამფუძნებლო შეთანხმების (იხ., ამ განჩინების 3-1) თანახმად, „ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარე, გამგეობის სხვა წევრებთან შეთანხმებით ახორციელებს იგივე საქმიანობას, რასაც ამხანაგობის გამგეობა. ამასთან, გამგეობის თავმჯდომარეს გააჩნია ამხანაგობის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, კერძოდ, იგი უფლებამოსილია ერთპიროვნულად წარმოადგინოს ამხანაგობა ნებისმიერ მესამე პირებთან ურთიერთობაში“. ამავე ხელშეკრულების 6.5 პუნქტის თანახმად, „იმ საკითხებთან მიმართებით, რაც განეკუთვნება „დამფუძნებელ წევრთა“ კრების კომპეტენციას, გამგეობის თავმჯდომარე საჭიროებს ამ ორგანოთა თანხმობას“.

15. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ამხანაგობას დაფუძნების დღიდან 3ყავდა თავმჯდომარე (იხ., ამ განჩინების 3-1, 2), რომელიც ალჭურვილი იყო წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით, რაც იმავდროულად, წარმოშობდა პრეზუმფციის საფუძველს, რომ ამხანაგობის თავმჯდომარეს გააჩნდა „დამფუძნებელ წევრთა“ თანხმობა მოსარჩელის ამხანაგობის წევრად მიღების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ, ამხანაგობის სახელით დადებულ გარიგებას ამხანაგობაში წევრად მიღების შესახებ, იურიდიული ძალმოსილება გააჩნდა [სსკ-ის 934-ე მუხლის მე-3 ნაწილი] (იხ., ამ განჩინების 3-3).

16. რაც შეეხება ამხანაგობაში წევრად მიღების შესახებ ხელშეკრულებასა და 2006 წლის 7 ნოემბრის №210 ხელშეკრულებაში გამოვლენილ მხარეთა ნამდვილ ნებასა და შინაარსს [სსკ-ის 50-ე, 52-ე და 327-ე მუხლები], სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ამხანაგობაში წევრად მიღების ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელეს, როგორც ამხანაგობის წევრს, უფლება მიენიჭა წილობრივი მონაწილეობა მიელო ამხანაგობის საქმიანობაში, რა დროსაც, ამხანაგობას მოსარჩელისათვის საკუთრებაში უნდა გადაეცა სადავო კომერციული ფართი (იხ., ამ განჩინების 3-3); „ამხანაგობაში“ წილობრივი მონაწილეობისათვის და „ობიექტის“ საკუთრებაში მისაღებად, „წევრს“ (მოსარჩელე) უნდა გადაეხადა „ამხანაგობაში“ სანევრო შენატანი, რომლის ოდენობა და გადახდის გრაფიკი მხარეებს შორის დამატებითი წერილობითი ფორმით შეთანხმდებოდა და დანართის სახით დაერთებოდა წინამდებარე ხელშეკრულებას. ამხანაგობაში წევრად მიღების ხელშეკრულების საფუძველზე, მხარეებმა ხელშეკრულების ძალაში შესვლა დაუკავშირეს პირველი თანხის შემოტანის თარიღს და მოქმედების ვადად განსაზღვრეს თორმეტი თვე. თანხის გადახდის გრაფიკის თანახმად, თანხის ოდენობად დადგინდა 50 000 აშშ დოლარი, რომელიც ერთი-

ნად უნდა გადახდელიყო.

17. ხოლო, 2006 წლის 7 ნოემბერს მხარეთა შორის დაიდო №210 ხელშეკრულება, რომლის პირველი მუხლის თანახმად, მოსარჩელემ ვალდებულება აიღო ამხანაგობის თავმჯდომარისათვის გადაეცა 50 000 აშშ დოლარი სესხის სახით, ერთი წლის ვადით, ხოლო ამხანაგობის თავმჯდომარემ იკისრა ვალდებულება „სესხის“ მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში გადაეხადა სესხის სარგებელი თვეში 1000 აშშ დოლარის ოდენობით (დაანგარიშების შეთანხმებული წესის შესაბამისად) (შემდეგში – სესხის ხელშეკრულება).

18. სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების („სესხის“ ძირის დაფარვა) უზრუნველსაყოფად გამოყენებული იქნა ის უძრავი ქონება (სადავო კომერციული ფართი), რომლის მოსარჩელისათვის გადაცემის ვალდებულებაც ნაკისრი ჰქონდა ამხანაგობას (იხ., ამ განჩინების პ-5). სესხის დაბრუნების ვადად გადაინია 2008 წლის 30 ნოემბრამდე.

19. დადგენილი იქნა, რომ მხარეთა შორის 2006 წლიდან 2009 წლამდე დადებული ყველა ხელშეკრულების რეგისტრაციის ნომერია „№210“.

20. მხარეთა შორის წარმოშობილი დავის სამართლებრივი მონუსრიგების თვალსაზრისით, უდავო გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ სესხის ხელშეკრულებაში მითითებული 50 000 აშშ დოლარი მსესხებელს გადაეცა არა სესხის ხელშეკრულების გაფორმებისას ან მას შემდეგ, არამედ უფრო ადრე, ამხანაგობის წევრად მიღების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებისას (იხ., ამ განჩინების პ-3), სახელდობრ, სალაროს შემოსავლის ორდერით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მოსარჩელემ ამხანაგობას გადაურიცხა 50 000 აშშ დოლარი დანიშნულებით „კომერციული ფართის ღირებულების ნაწილის“ დაფარვა.

21. რადგან არ დადასტურდა სესხის ხელშეკრულების ფარგლებში თანხის რეალურად გადაცემის ფაქტი, უარყოფილი იქნა მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობაც [სსკ-ის 623-ე მუხლი].

22. სააპელაციო სასამართლომ ე.წ სესხის ხელშეკრულება მიიჩნია მეტადრე უზრუნველყოფის გარანტიად (მდრ: მოვალის გარანტია), ვიდრე სესხად, რითაც მოვალე ცდილობდა დამატებითი ბერკეტი შეექმნა მოთხოვნის უზრუნველსაყოფად.

23. სააპელაციო სასამართლომ შეაფასა რა მხარეთა შორის გაფორმებული №210 ხელშეკრულებები (იხ., ამ განჩინების პპ:3, 17) მიიჩნია, რომ განსახილველი დავა წარდობის სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარეობდა [სსკ-ის 629-ე მუხლის პირვე-

ლი ნაწილი] და სარჩელის წარმატებულობა, სწორედ ამ სამართლებრივ საფუძველზე უნდა გადაწყვეტილიყო.

24. გაზიარებული იქნა მოსარჩელის მითითება, რომ მისი ნება ამხანაგობაში უძრავი ქონების შექმნას მოიცავდა და მან თანხა ამხანაგობის თავმჯდომარეს, სწორედ, ამ მიზნით გადასცა. ე.წ. „სესხის“ ხელშეკრულების მიზანს კი, ამხანაგობაში წევრად მიღების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. მოსარჩელის მიერ მიღებული 2000 აშშ დოლარი, როგორც სესხის პროცენტი, არ შეფასდა, მხარეთა შორის წარდობის ურთიერთობის გამაქარნლებელ გარემოებად, ვინაიდან წარდობის ხელშეკრულება დაიდო უფრო ადრე – 2 ნოემბერს და თანხაც გადახდილ იქნა ამავე დღეს (თანაც, მოსარჩელემ ამხანაგობის ანგარიშზე თანხა შეიტანა კონკრეტული დანიშნულებით – კომერციული ფართის ღირებულების დაფარვის მიზნით), სესხის ხელშეკრულების შესაბამისად, ამხანაგობისათვის თანხის გადაცემის დოკუმენტი არ არსებობდა; სესხი კი, მისი რეალური ბუნებიდან გამომდინარე, საჭიროებდა თანხის გადაცემის დამადასტურებელი მტკიცებულების არსებობას, რაც საქმეში არ მოიპოვებოდა.

25. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მხარეებს შორის დაიდო არა სესხის, არამედ, წარდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ხელშეკრულება, ხოლო მასში მითითებული თანხა წარმოადგენდა არა სესხად გადასაცემ თანხას, არამედ წარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უძრავი ქონების საფასურს, რომელიც მოსარჩელის მიერ უკვე გადახდილი იყო ამხანაგობაში წევრად მიღების შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე.

26. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამხანაგობას მოსარჩელის წინაშე წარმოეშვა სადავო კომერციული ფართის გადაცემის ვალდებულება, თუმცა, მენარდემ ვალდებულება არ შეასრულა. იმ ვითარებაში კი, როდესაც დასტურდებოდა, რომ სადავო კომერციული ფართი მრავალსართულიან შენობას არ გააჩნდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ-ის) 253-ე მუხლის თანახმად [დისპოზიცია: ქონების ნატურით მიკუთვნების დროს სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს ამ ქონების ღირებულებაზე, რომელიც უნდა გადახდეს მოპასუხეს, თუ გადაწყვეტილების აღსრულებისას აღნიშნული ქონება მას არ აღმოაჩნდება] ამხანაგობის დამფუძნებელ წევრებს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაჰკისრებოდათ წარდობის საგნის ღირებულების – 50 000 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) ანაზღაურება.

27. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა

და სარჩელის უარყოფის მოთხოვნით საკასაციო საჩივარი წარმოადგინეს ამხანაგობის წევრებმა (მოპასუხეებმა).

28. საკასაციო საჩივარი წარმოდგენილია, როგორც მატერიალურ სამართლებრივი ნორმების არასწორი გამოყენებისა და განმარტების [სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილი], ისე, საპროცესო სამართლებრივი დარღვევების არსებობის საფუძველებით [სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი].

29. კასატორები სადავოდ ხდიან ამხანაგობის თავმჯდომარესა და მოსარჩელეს შორის გაფორმებული ამხანაგობის წევრად მიღების შესახებ ხელშეკრულების იურიდიული ძალას (იხ., ამ განჩინების პ-3). ამ თვალსაზრისით, კასატორები მიუთითებენ სსკ-ის 934-ე მუხლის არასწორ გამოყენებასა და განმარტებაზე და არ ეთანხმებიან სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ამხანაგობის თავმჯდომარე აღჭურვილი იყო შესაბამისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მესამე პირებთან ურთიერთობაში, სადავო სარჩელის აღძვრამდე, რადგანაც ამხანაგობის დამფუძნებელ წევრებს თავმჯდომარის მიმართ, მათი თანხმობის გარეშე გარიგების დადებაზე უფლებამოსილებასთან დაკავშირებით შედავება არ განუხორციელებიათ. აღნიშნულთან დაკავშირებით, კასატორები მიუთითებენ, რომ ამხანაგობის თავმჯდომარეს გააჩნდა დამოუკიდებელი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, რაც მკაცრად იყო განსაზღვრული ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულებით, ისევე როგორც მკაცრად იყო განსაზღვრული, რომ ამხანაგობის დამფუძნებელ თუ რიგით წევრად მისაღებად საჭირო იყო დამფუძნებელ წევრთა კრების თანხმობა. შესაბამისად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობას სადავოდ ვერ გახდია ამხანაგობის წევრები.

30. იმავდროულად, კასატორები დაუსაბუთებლად მიიჩნევენ სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის გამორიცხვის ნაწილშიც. კასატორები სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის არსებობის დასადასტურებლად მიუთითებენ შესაგებელზე დართულ 2006 წლის 7 ნოემბრის №210 სესხის ხელშეკრულებაზე, 2007 წლის 7 ნოემბრის დანართ ხელშეკრულებაზე სასესხო ურთიერთობის 2008 წლის 7 ნოემბრამდე გაგრძელების შესახებ, 2008 წლის 30 აგვისტოს დანართ ხელშეკრულებაზე მისი 2008 წლის 30 ნოემბრამდე გაგრძელების შესახებ, 2006 წლის 7 ნოემბრით დათარიღებულ სალაროს გასავალის ორდერზე, რომლის თანახმადაც ი. შ-ემ მიიღო 07.11-07.12 და 07.12.06-07.01.07 წლის თვეების სესხის პროცენტი 2000 აშშ დოლარი.

31. გარდა ზემოაღნიშნულისა, კასატორები სადავოდ ხდინან დავის სამართლებრივ მოწესრიგებას ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმებით და აღნიშნავენ, რომ მოსარჩელე არცერთ ეტაპზე არ მიუთითებდა, რომ მოპასუხეებთან იმყოფებოდა ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობაში და არც დავის ამგვარ კვალიფიკაციას მოითხოვდა. ამასთან, იმ ვითარებაში, როდესაც სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა შეაფასა ნარდობად, არ იმსჯელა რამდენად დასაშვები იყო ამ ტიპის ხელშეკრულებაში პროცენტზე (სარგებელი), როგორც სესხის სარგებელზე შეთანხმება, მოსარჩელის მიერ, პროცენტის (სარგებელი) მიღება.

32. კასატორები აგრეთვე აღნიშნავენ, რომ მოსარჩელეს, არც ნივთის გადაცემის სანაცვლოდ უთხოვია თანხის გადახდა. კასატორების განმარტებით, სადავო ფართის არარსებობის გამო, სააპელაციო პალატამ დავის გადაწყვეტისას არასწორად გამოიყენა და განმარტა სსსკ-ის 253-ე მუხლი. გარდა აღნიშნულისა, კასატორები მიუთითებენ, რომ მოსარჩელეს არც სსსკ-ის 83-ე მუხლის თანახმად მოუთხოვია ნივთის გადაცემის ნაცვლად, მისი ღირებულების ანაზღაურება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 05 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა ნარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2018 წლის 21 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საპროცესოსამართლებრივი საფუძვლით [საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას]. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 20 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივრის ზეპირი მოსმენით განსახილველად სასამართლო სხდომა დაინიშნა 2019 წლის 5 მარტს. საკასაციო პალატამ მხარეებს შესთავაზა დავის მორიგებით დასრულება და საქმის არსებითი განხილვის შემდეგ მხარეთა მორიგებისათვის ხელშეწყობის მიზნით გადადო სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება 2019 წლის 26 მარტისათვის.

34. 2019 წლის 26 მარტს გამართულ სასამართლო სხდომაზე, მხარეებმა საკასაციო პალატას განუცხადეს, რომ ვერ მიაღწიეს შეთანხმებას დავის მორიგებით დასრულების შესახებ. საკასაციო

სასამართლო საქმის შესწავლის, ასევე, მტკიცებულებების შეჯერებისა და გაანალიზების, საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგი მოტივაციით.

35. სსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე [საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა] გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას პალატა სწორედ კასატორების პრეტენზიის ფარგლებში შეამოწმებს. საკასაციო საჩივრის არგუმენტი ძირითადად ორი მიმართულებითაა წარმოდგენილი. პირველი არგუმენტი შეეხება სააპელაციო პალატის მიერ მოდავე მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის არასწორ კვალიფიკაციას (სსკ-ის 934-ე, 623-ე და 629-ე მუხლების გამოყენება-განმარტება), ხოლო მეორე კი – საპროცესო სამართლის ნორმის (სსკ-ის 253-ე მუხლი) დარღვევას (იხ., ამ გადაწყვეტილების პპ: 30-33). არასწორი სამართლებრივი კვალიფიკაციის თვალსაზრისით წარმოდგენილი კასატორების პრეტენზიის ფარგლებში საკასაციო პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს ამხანაგობის წევრად მოსარჩელის მიღების მართლზომიერება. ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატა იმსჯელებს ამხანაგობის წევრად მიღების შესახებ ხელშეკრულების იურიდიულ ძალაზე (იხ., ამ განჩინების პ-3, 30) და მისგან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობებზე.

36. კასატორები მიიჩნევენ, რომ ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრების თანხმობის გარეშე, ამხანაგობის თავმჯდომარეს არ გააჩნდა მოსარჩელესთან ამხანაგობის წევრად მიღების შესახებ გარიგების დადებაზე უფლებამოსილება, თუმცა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული პრეტენზიის ნაწილში კასატორები ვერ ასაბუთებენ მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ განხორციელებული სსკ-ის 934-ე მუხლის განმარტებისა და საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალის მქონე ფაქტობრივი გარემოებების კვალიფიკაციის არამართებულობას.

37. საკასაციო პალატა მიუთითებს სსკ-ის 930-ე მუხლზე, რომელიც განსაზღვრავს ერთობლივი საქმიანობის ლეგალურ დეფინიციას და ადგენს, რომ ამხანაგობის ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად. უნდა განიმარ-

ტოს, რომ წარმომადგენლობითი და სხვა მმართველობითი ხასიათის საკითხების სადავოობისას, სასამართლო უფლებამოსილია, იხელმძღვანელოს საკანონმდებლო რეგლამენტაციით: სსკ-ის 934-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივად უძღვებიან საქმეებს და წარმომადგენენ ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ყოველი გარეგნის დადებისას საჭიროა ხელშეკრულების ყველა მონაწილის თანხმობა. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსი ამხანაგობის მმართველობითი უფლებამოსილების საკითხის ამომწურავ ჩამონათვალს არ შეიცავს, თუმცა, უდავოა, რომ მას მიეკუთვნება ამხანაგობის წევრთა მიერ გადაწყვეტილების მიღება (კრების გადაწყვეტილება), რომელიც ხელშემკვერელ მხარეთა დისკრეციის საგანია. ამასთან, მოხმობილ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონმდებელი ამხანაგობის საქმეების ერთობლივად მართვას და მესამე პირებთან მიმართებაში ერთობლივ წარმომადგენლობას აწესებს, თუმცა, ამ საკანონმდებლო რეგულაციით არ გამოირიცხება ნორმისგან განსხვავებული შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა და ლეგიტიმურობა. ამგვარი დასკვნის საფუძველს საკასაციო პალატას აძლევს მითითებული ნორმის დისპოზიციური შინაარსი, რომელიც არ გამორიცხავს ამხანაგობის მონაწილეთა სხვაგვარი შეთანხმების არსებობას წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებასთან მიმართებით.

38. ამდენად, სახელშეკრულებო თავისუფლებიდან გამომდინარე, დაშვებულია განსხვავებული შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობაც, სახელდობრ, ამხანაგობის ხელშეკრულებით შესაძლებელია განისაზღვროს, რომ ამხანაგობის მხოლოდ ერთი ანდა რამდენიმე წევრი იყოს დამოუკიდებლად ამხანაგობის საქმეების გაძღოლაზე უფლებამოსილი. ამ შემთხვევაში, ნებისმიერი ამგვარი უფლებამოსილების მქონე წევრი, ამხანაგობის მმართველობას და მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებთან დაკავშირებით, პრინციპულად თავისუფალია და სხვა წევრთა თანხმობის გარეშე შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ამგვარი ქმედების განხორციელების თაობაზე. ამა თუ იმ ქმედების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს თვითონ ამხანაგობის მართვაზე უფლებამოსილი წევრი დამოუკიდებლად (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, ვებ.გვერდი WWW.GCCC.GE \_ <http://www.gccc.ge/?s=934>, ავტორი ი. რობაქიძე).

39. ამავედროულად, შესაძლებელია, ამხანაგობის ხელშეკრულებით ამხანაგობის წევრებმა მმართველობითი უფლებამოსილება ამხანაგობის ერთ-ერთ წევრს მიანიჭონ, ხოლო წარმომადგენლობითი

თი უფლებამოსილების თაობაზე კი საკითხი ღიად დატოვონ. სსკ-ის 934-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად კი, თუ ხელშეკრულებით ამხანაგობის საქმეების გაძლოა დაკისრებული აქვს ერთ-ერთ მონაწილეს, საექვოობისას იგი წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში და მის მიერ დადებული გარიგებები ნამდვილია.

40. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 934-ე მუხლის მესამე ნაწილი წარმომადგენლობით უფლებამოსილების პრეზუმირებას [შენიშვნა: იურიდიულ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით „პრეზუმფცია წარმოადგენს ვარაუდს ამა თუ იმ ფაქტის არსებობის შესახებ. პრეზუმფციების მემვეობით კანონმდებელი ანაწილებს მტკიცების ტვირთს მხარეთა შორის და იგი არის მტკიცების ტვირთის გამოხატვის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი და ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა] ამკვიდრებს, რომლის თანახმად, თუ ამხანაგობის მმართველობა ხელშეკრულებით ერთ-ერთ ნევრს აქვს ჩაბარებული/მინდობილი, საექვოობისას იგი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებითაცაა აღჭურვილი და მის მიერ ამხანაგობის სახელით დადებული გარიგებები იურიდიულ შედეგს წარმოშობს თავად ამხანაგობის და რა თქმა უნდა მე-3 პირის მიმართაც.

41. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლის მიხედვით ამხანაგობა დაფუძნდა 2005 წლის 24 აგვისტოს. ამხანაგობის დამფუძნებელ ნევრებს წარმოადგენენ ამხანაგობის პირველი ნევრი, ამხანაგობის მე-2 ნევრი, ამხანაგობის მე-3 ნევრი და ამხანაგობის მე-4 ნევრი. ამხანაგობის 2005 წლის 24 აგვისტოს ხელშეკრულების 6.4. პუნქტის თანახმად, „ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარე, გამგეობის სხვა ნევრებთან შეთანხმებით ახორციელებს იგივე საქმიანობას, რასაც ამხანაგობის გამგეობა. ამასთან, გამგეობის თავმჯდომარეს გააჩნია ამხანაგობის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, კერძოდ, იგი უფლებამოსილია ერთპიროვნულად წარმოადგინოს ამხანაგობა ნებისმიერ მესამე პირებთან ურთიერთობაში“. ამავე ხელშეკრულების 6.5 პუნქტის თანახმად, „იმ საკითხებთან მიმართებით, რაც განეკუთვნება „დამფუძნებელ ნევრთა“ კრების კომპეტენციას, გამგეობის თავმჯდომარე საჭიროებს ამ ორგანოთა თანხმობას“. უფრო მეტიც, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2005 წლის 24 აგვისტოდან ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარეს წარმოადგენდა ზ. ა-ე და იგი აღჭურვილი იყო შესაბამისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მესამე პირებთან მიმართებაში. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ წინამდებარე სარჩელის აღძვრამდე, ამხანაგობის დამფუძნებელ ნევრებს თავ-

მჯდომარის მიმართ, მათი თანხმობის გარეშე, გარიგების დადებაზე უფლებამოსილებასთან დაკავშირებით, შედეგება არ განუხორციელებიათ. ამ ფაქტობრივი გარემოებების მიმართ კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია, შესაბამისად, ეს გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის (სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

42. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და ზემოთ მითითებული სამართლებრივი მსჯელობის ურთიერთშეჯერების შედეგად საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, განხორციელებულია სსკ-ის 934-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობა იმგვარი პრეზუმფციის გასავრცელებლად, რომ ამხანაგობის თავმჯდომარეს მოსარჩელის ამხანაგობის წევრად მიღების გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით „დამფუძნებელ წევრთაგან“ გააჩნდა თანხმობა. აქედან კი, გამომდინარეობს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა, რომ ამხანაგობის თავმჯდომარესა და მოსარჩელეს შორის 2006 წლის 2 ნოემბერს ამხანაგობის სახელით დადებული გარიგება ნამდვილია, წარმოშობს იურიდიულ შედეგს – მხარეთა ორმხრივ უფლება-მოვალეობებს [სსკ-ის 50-ე, 52-ე და 327-ე მუხლები]. წარმოშობილი იურიდიული შედეგი კი, იმაში მდგომარეობს, რომ ამხანაგობაში წევრად მიღების ხელშეკრულების მიხედვით, მოსარჩელეს, როგორც ამხანაგობის წევრს მიენიჭა უფლება, მიეღო წილობრივი მონაწილეობა მრავალბინიანი შენობის მშენებლობაში (იხ., ამ გადაწყვეტილების 3-5), მისივე ვალდებულებას წარმოადგენდა „ამხანაგობაში“ სანევროს შენატანა. აღსანიშნავია, რომ ამხანაგობაში წევრად მიღების ხელშეკრულების საფუძველზე, მხარეებმა ხელშეკრულების ძალაში შესვლა დაუკავშირეს პირველი თანხის შემოტანის თარიღს და მოქმედების ვადად განსაზღვრეს თორმეტი თვე. თანხის გადახდის გრაფიკის თანახმად, თანხის ოდენობად დადგინდა 50 000 აშშ დოლარი.

43. სალაროს შემოსავლის ორდერით დადგენილია, რომ მოსარჩელემ ამხანაგობას გადაურიცხა 50 000 აშშ დოლარი დანიშნულებით „კომერციული ფართის ღირებულების ნაწილის“ დაფარვა. ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატის მსჯელობის საგანია კასატორების კიდევ ერთი პრეტენზიის მართებულობა, რომელიც მოსარჩელის მიერ ამხანაგობისთვის გადარიცხული 50 000 აშშ დოლარის დანიშნულებას შეეხება. განსახილველ შემთხვევაში ამ საკითხის მნიშვნელობა იმითაცაა განპირობებული, რომ მოპასუხეები მითითებული თანხის მიღების განსხვავებულ სამართლებრივ საფუძველზე მიუთითებენ და განმარტავენ, რომ თანხა ამხანაგობამ მიიღო არა როგორც ფართზე საკუთრების მოპოვების სანაცვლოდ მოსარჩელის სანევრო შენატანი, არამედ, როგორც სესხი. სადავო

კომერციულ ფართზე მოსარჩელისათვის საკუთრების გადაცემის დაპირება კი, სესხის ძირითადი თანხის დაბრუნების ვალდებულების შესრულების „უზრუნველყოფის“ ფუნქციას ატარებდა (იხ., შესაგებლის საფუძველები ამ გადაწყვეტილების 3-5), რის დასადასტურებლად, მოპასუხებმა მიუთითეს მოსარჩელის მიერ მიღებულ 2000 აშშ დოლარზე, როგორც სესხის პროცენტზე.

44. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იმ ვითარებაში, როდესაც მოპასუხეს თანხა მიღებული აქვს, მაგრამ სადავოა მიღებული თანხის მიზნობრიობა, თანაც, თანხის მიღების მიზნობრიობა უკავშირდება ამავე მხარეთა შორის სადავოდ ქცეული სამართლებრივი ურთიერთობის – ამხანაგობის წევრად მიღების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოსარჩელის მიმართ სამართლებრივი შედეგის (უფლება-მოვალეობები) წარმოშობას, ამასთან, თანხის გადამხდელისაგან განსხვავებულ სამართლებრივ საფუძველზე მიუთითებს თანხის მიმღები (მოვალე), მტკიცების ტვირთი, რომ მხარეთა შორის სასესხო სამართლებრივი ურთიერთობაა წარმოშობილი, ეკისრება შემდგომეულ მხარეს (მოპასუხე) [სსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლი]. აღსანიშნავია, რომ მოპასუხებმა ამ ვალდებულების ფარგლებში მიუთითეს მხარეთა შორის 2006 წლის 7 ნოემბერს დადებულ ხელშეკრულებაზე, რომლის პირველი მუხლის თანახმად, მოსარჩელემ ვალდებულება აიღო ამხანაგობის თავმჯდომარისათვის გადაეცა 50 000 აშშ დოლარი სესხის სახით, ერთი წლის ვადით, ხოლო ამხანაგობის თავმჯდომარემ იკისრა ვალდებულება „სესხის“ მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში გადაეხადა სესხის სარგებელი თვეში 1000 აშშ დოლარის ოდენობით (დაანგარიშების შეთანხმებული წესის შესაბამისად). თუმცა, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქმეში წარმოდგენილ სალაროს შემოსავლის ორდერში მითითებული თანხის გადარიცხვის დანიშნულებაზე „კომერციული ფართის ღირებულების ნაწილის“ დაფარვა და აღნიშნავს, რომ ამ გარემოებას ვერ გააქარწყლებს მოპასუხების მითითება, რომ მოსარჩელემ ამხანაგობისგან 2000 აშშ დოლარი მიიღო სესხის პროცენტის სახით. ამასთან, საკასაციო პალატის აღნიშნული მოსაზრება გამყარებულია იმ გარემოებითაც, რომ ნარდობის ხელშეკრულება დაიდო უფრო ადრე – 2 ნოემბერს და თანხაც გადახდილი იქნა ამავე დღეს, ხოლო 2006 წლის 7 ნოემბერს დადებული სესხის ხელშეკრულების შესაბამისად, ამხანაგობისათვის თანხის გადაცემის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება განსახილველ საქმეში არ არსებობს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სესხის ხელშეკრულების არარსებობისა და სასესხო ურთიერთობის რეალური ბუნების [სსკ-ის 623-ე მუხლი] გათვალისწინებით, მტკიცების საგანში შედის მიღებული თანხის მიზ-

ნობრიობის მტკიცების ვლდებულება.

45. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადანყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზე დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადანყვეტილების მიღება.

46. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადანყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადანყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

47. მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადანყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა [სსსკ-ის მე-3, მე-4 და 102-ე მუხლები]. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღი-

არებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან).

48. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გამოიწვით ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქულტატიური მოვალეობა. მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალნი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლის შეფასების საგანია. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას (კვალიფიციური შედავების მნიშვნელობა ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნებისათვის). მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან. იმავდროულად, ახსნა-განმარტება უნდა დასტურდებოდეს რელევანტური მტკიცებულებებით [სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი].

49. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ვინაიდან მოპასუხის შედავება წარმართა სადავო თანხის სესხის ხელშეკრულების ფარგლებში გადარიცხვის კუთხით, ამ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის მტკიცების ტვირთიც მასვე ეკისრებოდა, თუმცა ამ მიმართულებით მან ვერ უზრუნველყო მტკიცების ვალდებულების ჯეროვანი რეალიზება და სასამართლოს დარწმუნება [სსკ-ის 105-ე მუხლი], რადგან გადახდილი თანხის დანიშნულება („კომერციული ფართის ღირებულების ნაწილის“ დაფარვა) და თანხის შეტანის თარიღი სხვა დასკვნის საფუძველს წარმოშობს (სესხის სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურების განმარტებისათვის შდრ: სუსგ-ს განჩინება, №ას-819-767-2017, 20 დეკემბერი, 2017 წელი).

50. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასების დროს სასამართლო ხელმძღვანელობს თავისი შინაგანი რწმენით. შინაგანი რწმენა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად ყალიბდება. მტკიცებულებათა შეფასება არა სპონტანური და ინტუ-

იციური, არამედ სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს {სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი} (მდრ. სუსგ №ას-279-264-17, 21.04.2017წ.) „მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი მიუთითებს სასამართლოსათვის არა სუბიექტურ მოსაზრებებზე დაყრდნობით მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადგენილად მიჩნევაზე, არამედ, მოსამართლის შინაგან რწმენაზე, რომელიც შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმრივ, სრულ და ობიექტურ შეფასებაზეა დაფუძნებული (მდრ: სუს განჩინება №ას-819-767-2017, 20 დეკემბერი, 2017 წელი). განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა იზიარებს მოსარჩელის განმარტებას, რომ სადავო ხელშეკრულებების შესაბამისად, მოსარჩელის ნება მოიცავდა ამხანაგობაში უძრავი ქონების შექმნას და მან თანხა ამხანაგობის თავმჯდომარეს, სწორედ, ამ მიზნით გადასცა. 2006 წლის 7 ნოემბრის ე.წ. „სესხის“ ხელშეკრულების მიზანს კი, 2006 წლის 2 ნოემბრის №210 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველყოფა წარმოადგენდა.

51. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში, კასატორმა ვერ წარმოადგინა დასაბუთებული (დასაშვები) საკასაციო პრეტენზია, რაც ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების მართლზომიერებაზე მიუთითებს.

52. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორის პრეტენზია დასაბუთებულია პროცესუალური შედავების ნაწილში, სადაც კასატორი საპროცესო დარღვევად სააპელაციო პალატის მიერ სსსკ-ის 253-ე მუხლის არასწორ განმარტებასა და გამოყენებას მიიჩნევს, სახელდობრ, კასატორები აღნიშნავენ, რომ მოსარჩელეს არც ნივთის გადაცემის სანაცვლოდ უთხოვია თანხის გადახდა. სადავო ფართის არარსებობის გამო, სააპელაციო პალატამ დავის გადანყვეტისას არასწორად გამოიყენა და განმარტა სსსკ-ის 253-ე მუხლი. გარდა აღნიშნულისა, კასატორები მიუთითებენ, რომ მოსარჩელეს არც სსსკ-ის 83-ე მუხლის თანახმად მოუთხოვია ნივთის გადაცემის ნაცვლად, მისი ღირებულების ანაზღაურება. (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პ. 32)

53. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილება ამ ნაწილში იურიდიულად ნაწილობრივ დაუსაბუთებელია (სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი), აღნიშნული გარემოება კი, სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების საფუძველია.

54. სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამარ-

თლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

55. მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან საქმის მასალებიდან დასტურდებოდა, რომ სადავო კომერციული ფართი მრავალსართულიან შენობას არ გააჩნდა, შესაბამისად, სსსკ-ის 253-ე მუხლის თანახმად, ამხანაგობის დამფუძნებელ წევრებს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაჰკისრებოდათ ნარდობის საგნის ღირებულების – 50 000 აშშ დოლარის (ექვივალენტი ლარში) ანაზღაურება (იხ., ამ გადანყვეტილების 3-26).

56. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 253-ე მუხლის თანახმად, ქონების ნატურით მიკუთვნების დროს სასამართლო გადანყვეტილებაში მიუთითებს ამ ქონების ღირებულებაზე, რომელიც უნდა გადახდეს მოპასუხეს, თუ გადანყვეტილების აღსრულებისას აღნიშნული ქონება მას არ აღმოაჩნდება. ნორმის საკანონმდებლო რეგულირების მიზანს გადანყვეტილების რეალურად აღსრულების გარანტიის შექმნა წარმოადგენს; ამგვარი ნორმატიული მონესრიგება ათავისუფლებს მოსარჩელეს კვლავ აღძრას სარჩელი ქონების (ნივთის) ღირებულების ანაზღაურების შესახებ ისეთ შემთხვევებში, როდესაც გადანყვეტილებით მიკუთვნებული ქონება გადანყვეტილების აღსრულებისას არ აღმოაჩნდება მოვალეს (მოპასუხეს) (იხ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი. თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, თბ., 2007, 445). ამ თვალსაზრისით, სსსკ-ის 253-ე მუხლი საპროცესო ეკონომიის პრინციპის კონკრეტულ გამოვლინებას წარმოადგენს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ნორმის ინტერპრეტაცია საკანონმდებლო რეგულირების ძირითად მიზანს არ უნდა გასცდეს. სააპელაციო პალატის ამ არგუმენტის დასაბუთება მოსამართლის, როგორც სამართალშემოქმედის როლის გაზრდის კვალობაზე არგუმენტირებული მაინც ვერ იქნება, რადგან, კანონის ინტერპრეტაცია უნდა ემსახურებოდეს ამ კანონის მიზანს. კანონის ცალკეული დებულებები გააზრებული უნდა იქნეს სხვადასხვა დებულებათა ურთიერთდამოკიდებულებაში. კანონის ინტერპრეტაცია მთლიანობაში წარმოადგენს არგუმენტების შერჩევისა და გადანყვეტილებების მიღების პროცესს, რომელიც ხშირად სხვადასხვა, ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ მიზნებზე არის ორიენტირებული. სამართლებრივი გადანყვეტილებები დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციებზე, რადგან განსხვავებულ, თუნდაც ტიპიურ სიტუაციებში, მიზნები და მათთან დაკავშირებული ინტერესები სხვადასხვა მოცულობითა და კონსტელაციაში გარკვეულ როლს თამაშობენ. სამართლი-

ნობის მიღწევის გარდა, სამართლის ამოცანაა, უზრუნველყოს სამართლებრივი უსაფრთხოება და ინტერესთა ოპტიმალური და მიზანშეწონილი დაკმაყოფილება. ყოველივე ეს მიზანი გათვალისწინებულ უნდა იქნას კანონის ინტერპრეტაციისა და განვრცობის პროცესში. სამართლის ფუნქცია, რომ პრობლემები სამართლიანად გადაწყვიტოს, არა მხოლოდ ინტერპრეტაციის გზით ხორციელდება, არამედ, ამავე დროს, წარმოადგენს კანონის განვრცობის საჭიროების შემოწმებას. გარდა ამისა, კანონის ინტერპრეტაცია უნდა იცავდეს „სამართლის ერთიანობის“ პრინციპს, ე.ი. ინტერპრეტაციის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში სამართლის სხვა ნორმებთან. სამართლის ნორმა ისე უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, რომ იგი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ლოგიკურად თავსებადი იყოს უფრო მაღალი ან იგივე რანგის ნორმათა კონტექსტში“ (რ. ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მე-10 გადაამუშავებული გამოცემა, GIZ 2009, 53) (იხ., სუსგ №ას-178-167-2017, 14 ივლისი, 2017 წელი).

57. საგულისხმოა აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული მიდგომა კანონის ერთგვაროვანი ინტერპრეტაციის აუცილებლობასთან მიმართებით. საქმეში *Tudor Tudor v. Romania* (Application no. 21911/03, 24 მარტი, 2009 წელი), რომელშიც მომჩივანმა სახელმწიფოსაგან შეიძინა მის მიერ დაქირავებული სახელმწიფოს საკუთრება, ხოლო მოგვიანებით, ამავე უძრავი ქონების (შენობა) ყოფილი მესაკუთრე ბუქარესტის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით აღდგენილი იქნა საკუთრების უფლებაში იმ შენობაზე, სადაც მომჩივანი ცხოვრობდა. რაიონული სასამართლოს ამ გადაწყვეტილების საფუძველზე მესაკუთრემ სარჩელი წარდაგინა ამავე შენობაში მცხოვრებ პირთა და იმავდროულად, მომჩივანის წინააღმდეგ. ბუქარესტის სააპელაციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით სასამართლომ მიიჩინა, რომ მესაკუთრის ტიტული გადასწონიდა მომჩივანის სახელშეკრულებო შენაძენს და მომჩივანს დაევალა უძრავი ქონების მესაკუთრისთვის გადაცემა, მაშინ როდესაც სააპელაციო სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებაში უპირატესობა მიანიჭა შემძენის „კეთისინდისიერებას“ მესაკუთრესთან მიმართებით. ამ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ეროვნული კანონმდებლობის განსაზღვრულობის პრინციპის დარღვევა. მითითებული გადაწყვეტილებიდან საგულისხმო განსახილველ საქმეზე სწორედ ის არის, რომ მასში ხაზი გაესვა პრეცედენტული სამართლის (case law) კონფლიქტს კანონის ნორმის განსაზღვრულობის (ინტერპრეტაცია) საკითხში (§-27) და ერთგვაროვანი პრაქ-

ტიკის შექმნის გზით მისი დაძლევის საჭიროებას, მანამ სანამ აღნიშნული კანონის დონეზე მოწესრიგდებოდა. კანონის ნორმის ასეთივე განსხვავებული ინტერპრეტაციის პრობლემა დადგა სხვა საქმეშიც **ALBU AND OTHERS v. ROMANIA** (Applications no. 34796/09), 10 მაისი, 2012 წელი) §§: 34 (III, IV), რომელშიც აღნიშნა, რომ სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები უნდა დაეფუძნოს სამართლის განსაზღვრულობის პრინციპს, რომელიც იმპლიმენტირებულია კონვენციის ყოველ მუხლში და ადგენს კანონისმიერი წესრიგის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ასპექტს (მსგავს საკითხებზე აგრეთვე იხ., *Jordan Jordanov and Others*, §-47; *tefănică and Others*, §-31). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ სხვა საქმეში აღნიშნა, რომ კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების სასამართლო სისტემებმა უნდა შექმნან მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს სამართლებრივ განსაზღვრულობას (*Nejdet ahin and Perihan ahin v. Turkey [GC]* (Application no. 13279/05), 21 ოქტომბერი, 2011 წელი, §§59-96) და ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის დადგენას კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისათვის (სამართლიანი სასამართლოს უფლება). საქმეში **ALBU AND OTHERS v. ROMANIA** (Applications no. 34796/09), 10 მაისი, 2012 წელი) § – 34 (V) სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი, დასახელდა სამართლებრივი სტაბილურობის *inter alia*, გარანტიად, რომელიც იმავდროულად, უზრუნველყოფს საზოგადოების ნდობას სასამართლოების მიმართ. სასამართლო გადაწყვეტილებათა კონფლიქტი არაერთგვაროვნების კონტექსტში კი, პირიქით საზოგადოების ნდობის ხარისხს ამცირებს სასამართლოს მიმართ, მაშინ როდესაც ამგვარი ნდობა წარმოსდგება სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად.

58. საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველი შემთხვევა არ ექცევა სსსკ-ის 253-ე მუხლის მოწესრიგების სფეროში, რადგან დავის საგანზე აღსრულების მიქცევა გადაწყვეტილების გამოტანის დროს კი არ აღმოჩნდა შეუძლებელი, არამედ ქონება – სადავო ფართი საერთოდ არ არსებობდა დავის განხილვის პერიოდშიც. კერძოდ, საქმის მასალებით დადაგენილია, რომ მრავალბინიან შენობას არ გააჩნია სადავო კომერციული ფართი, რომლის საკუთრებაში გადაცემასაც მოსარჩელე მოითხოვდა; სადავო ფართი არ ფიქსირდებოდა არც ამხანაგობის 2014 წლის 26 მარტის კრების ოქმში (მასზე დართულ ფართთა ნუსხაში), რომლითაც დადგინდა ამხანაგობის წევრებისათვის გადასაცემი ფართების განშლა (იხ., ამ გადაწყვეტილების პ-10). ამასთან, მოსარჩელის მოთხოვნას სარჩელშივე წარმოადგენდა მრავალსართულიან შენობაში სადავო კომერციული ფართის საკუთრებაში გადაცემა (იხ., ამ გადაწ-

ყვეტილების 3-7). აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე თავადაც იყო ინფორმირებული სასარჩელო მოთხოვნის აღსრულებასთან დაკავშირებული სამომავლო გაურკვეველობის თაობაზე, რადგანაც, მოსარჩელემ წარდგენილ სარჩელშივე დააყენა შუამდგომლობა, რომელშიც აღნიშნა, რომ თუ მოსამზადებელ ეტაპზე აღმოჩნდებოდა სადავო ფართის მისთვის გადაცემის შეუძლებლობა, იგი დააზუსტებდა სარჩელს, სახელდობრ მოითხოვდა ალტერნატიული ფართის გადაცემას ან შეტანილი თანხის დაბრუნებას (იხ., სარჩელის შუამდგომლობა).

59. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა მოსარჩელის მიერ დავის საგნის განსაზღვრა. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს არა აქვს უფლება გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, შეცვალოს სარჩელის საგანი ან საფუძველი, გაადიდოს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, ან თავისი გადაწყვეტილებით მიაკუთვნოს მხარეს ის, რაც მას არ მოუთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის ითხოვდა. (იხ. დამატებით: თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2005, გვ. 79.)

60. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესზე და აღნიშნავს, რომ სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ნივთის ნაცვლად მისი ღირებულების ანაზღაურება. მოსარჩელეს ამ უფლებებით შეუძლია ისარგებლოს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე და ამისათვის მოპასუხის თანხმობა საჭირო არაა. (იხ. დამატებით: თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2007, გვ. 155.)

61. სსსკ-ის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. სსსკ-ის 381-ე მუხლის თანახმად კი, სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, შეგებებული სარჩელის შეტანა და ხარჯების განსაზღვრა.

62. შესაბამისად, სსსკ-ის 372-ე, 381-ე და 83-ე მუხლის მე-4 ნაწილის სისტემური განმარტების შედეგად შეიძლება იმგვარი დასკვნის გაკეთება, რომ სააპელაციო სასამართლოში მოსარჩელე აპელანტის მიერ ნივთის ნატურით მიკუთვნების ნაცვლად ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა დასაშვებია და არ წარმოადგენს დავის საგნის არც შეცვლას და არც გაზრდას. აღნიშნული განხილული უნდა იქნეს საპროცესო ეკონომიის პრინციპის გამოხატულებად და ათავისუფლებს მოსარჩელეს ახალი სარჩელის აღძვრის საჭირო-

ებისაგან, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლო არ აკმაყოფილებს ქონების ნატურით მიკუთვნების შესახებ მოთხოვნას იმ საფუძვლით, რომ დავის განხილვისას სადავო ქონება ნატურით აღარ არსებობს (მესამე პირზე გასხვისება, ფიზიკურად არ არსებობა, განადგურება და ა.შ.).

63. ვინაიდან, მოსარჩელის მიერ მოთხოვნის ფარგლებში არ არის მოთხოვნილი ქონების ნატურით გადაცემის სანაცვლოდ მისი ღირებულების ანაზღაურება, ხოლო სასამართლო კი არ არის უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით მიაკუთვნოს მხარეს ის, რაც მას არ მოუთხოვია (სსსკ-ის 248-ე მუხლი), ამიტომაც ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე შემადგენლობას.

64. საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო პალატამ უნდა იხელმძღვანელოს სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესით და თუ მოსარჩელე აპელანტი უარს განაცხადებს ნივთის ნატურით მიკუთვნების ნაცვლად, მის ფულად ანაზღაურებაზე, ასეთ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარი არ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული.

65. სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეუღია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადაწყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხიც.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. იბა „...-ეს“ დამფუძნებელი წევრების: მ. შ-ის, მ. ტ-ის, რ. ქ-ის, ა. თ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**7. საქმის წარმოების განახლება**  
**გადაწყვეტილების (განჩინების) გათილად ცნობა**  
**საქმის წარმოების განახლება**

**განჩინება**  
**საქართველოს სახელმწიფო**

№ა-4173-ბ-11-2019

4 დეკემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: **ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ბ. ალავიძე,**  
**ე. გასიტაშვილი**

**დავის საგანი:** ბავშვების საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, ალიმენტის დაკისრება (ძირითად სარჩელში), ბავშვების საცხოვრებელ ადგილად მამის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა და ბავშვების საზღვარგარეთ გაყვანის აკრძალვის მოხსნა (შეგებებულ სარჩელში)

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. **ჟ. ტ-ამ** სარჩელი აღძრა სასამართლოში რ. ი-ის მიმართ ბავშვების საცხოვრებელი ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისა და ალიმენტის დაკისრების თაობაზე.

2. მოპასუხე რ. ნ. ი-მა შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ბავშვების საცხოვრებელი ადგილად მამის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა და ბავშვების საზღვარგარეთ გაყვანის აკრძალვის მოხსნა.

3. რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის პეტროვსკის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით **ჟ. ტ-ას** სარჩელი დაკმაყოფილდა. არასრულწლოვანი ბავშვების – **ა. რ. ძე ი-ის** (დაბ. 2...0...20..) და **ს. რ. ძე ი-ის** (დაბ. 2...1....20..) საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის საცხოვრებელი ადგილი. რ. ი-ს, **ჟ. ტ-ას** სასარგებლოდ, ორი არასრულწლოვანი შვილების – **ა. რ. ძე ი-ის** (დაბ. 2...0...20..) და **ს. რ. ძე ი-ის** (დაბ. 2...1....20..) სარჩენად დაეკისრა ალიმენტის – ხელფასის ან სხვა სახის შემოსავლის 1/3-ის ყოველთვიურად გადახდა 2016 წლის 23 მარტიდან **ა. რ. ძე ი-ის** სრულწლოვანებამდე და ხელფასის ან სხვა სახის შემოსავლის 1/4-

ის ყოველთვიურად 2028 წლის 24 აგვისტოდან ს. რ. ძე ი-ის სრულწლოვანებამდე. რ. ი-ის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ალიმენტის დაკისრების ნაწილში გადანყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

4. აღნიშნული გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ი-მა და მოითხოვა მისი გაუქმება.

5. რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 12 აპრილის განჩინებით რ. ი-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

6. ყ. ტ-ამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის პეტროვსკის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 12 დეკემბრის გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და იძულებითი აღსრულება ბავშვების საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის ნაწილში.

7. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის პეტროვსკის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 12 დეკემბრის გადანყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2018 წლის 12 აპრილს და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 12 ნოემბრის განჩინებით ყ. ტ-ას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის პეტროვსკის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 12 დეკემბრის გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და იძულებითი აღსრულების შესახებ ბავშვების საცხოვრებელი ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის ნაწილში მიღებულ იქნა განსახილველად, შუამდგომლობა და თანდართული მასალები გაეგზავნა მონინაალმდეგე მხარეს.

9. მონინაალმდეგე მხარემ მოითხოვა მოცემული შუამდგომლობის განხილვა ზეპირი მოსმენით.

10. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მითითებულ საქმეზე სხდომები ჩაატარა 2019 წლის 16 იანვარსა და 11 აპრილს, რა დროსაც საქმის განხილვა გადაიდო მხარეთა მორიგების გამო.

11. საკასაციო სასამართლოს 2019 წლის 2 მაისის სხდომაზე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცების შესახებ.

12. საკასაციო სასამართლო გაცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, მიიჩნია, რომ შუამდგომლობა მორიგების დამტკიცების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მოცემული

საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

13. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების ცალკეული საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამდენად, მითითებული ნორმის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისას ხელმძღვანელობს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით.

14. სსსკ-ის მე-3 მუხლით განმტკიცებულია სამოქალაქო სამართალწარმოებისათვის მნიშვნელოვანი დისპოზიციურობის პრინციპი, რაც უმთავრესად ნიშნავს მხარეთა მიერ საკუთარი ნების საფუძველზე კანონით მათთვის მინიჭებული უფლებების განკარგვას. მათ შორისაა ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული უფლება, მხარეებმა დავის შეწყვეტის მიზნით, მიაღწიონ შეთანხმებას გარკვეულ პირობებზე (მორიგდნენ), რომელიც ორმხრივ მავალდებულებელია და სასამართლოს მიერ დამტკიცების შემთხვევაში ექვემდებარება აღსრულებას.

15. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე წარმოდგენილი მორიგების აქტით განსაზღვრული პირობები გამოხატავს მხარეთა ნებას, რაც მათ სხდომაზეც დაადასტურეს, ამავე დროულად, მორიგების აქტის შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონს.

16. საკასაციო პალატამ დამატებით აღნიშნა, რომ მხარეებისათვის ცნობილია წინამდებარე მორიგების აქტის სასამართლოს მიერ დამტკიცების სამართლებრივი შედეგები, კერძოდ, მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე სასამართლო განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სასამართლოს მიერ საქმის წარმოება წყდება და მხარეებს აღარ აქვთ უფლება, განმეორებით მიმართონ სასამართლოს იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

17. 2019 წლის 09 სექტემბერს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა შუამდგომლობის ავტორის – ყ. ტ.-ას წარმომადგენელმა თ. ხ.-მა, მოითხოვა უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ 2019 წლის 2 მაისის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება შემდეგი გარემოებების გამო:

18. განმცხადებელმა მიუთითა, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე №ა-5049-ს-126-2018 და 2019 წლის 2 მაისის საქმეზე მიიღო გადაწყვეტილება. შუამდგომლობის ავტორმა, ყ. ტ.-მ მოითხოვა, მისი მეუღლის – რ. ი-ის წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის პეტროვსკის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერი-

ტორიაზე ცნობა-აღსრულება, რომლის მიხედვითაც, ბავშვის ა. ი-ის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის საცხოვრებელი ადგილი. საკასაციო სასამართლომ მითითებულ საქმეზე სხდომები ჩაატარა 2019 წლის 16 იანვარსა და 11 აპრილს, რა დროსაც საქმის განხილვა გადაიდო მხარეთა მორიგების გამო. საკასაციო სასამართლოს 2019 წლის 2 მაისის სხდომაზე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცების შესახებ, რაც სასამართლოს მხრიდან დაკმაყოფილდა და მოცემული საქმის წარმოება შეწყდა. 2019 წლის 28 აგვისტოს შუამდგომლობის ავტორმა მიმართა სოციალურ სააგენტოს და გამოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ: იყო თუ არა სოციალური მომსახურების სააგენტო ზემოაღნიშნული საქმის განხილვისას საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით მოწვეული და სასამართლოს მხრიდან გაეგზავნა თუ არა უწყება, ესწრებოდა თუ არა სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელი (ბავშვის ინტერესების წარმომადგენელი) ზემოაღნიშნულ საქმეზე ჩატარებულ პროცესებს და დააფიქსირა თუ არა სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელმა მისი პოზიცია აღნიშნული მორიგების შინაარსთან დაკავშირებით. 2019 წლის 6 სექტემბრის საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის პასუხის თანახმად, მოცემულ საქმეში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო როგორც ბავშვის ინტერესების წარმომადგენელი არ იყო პროცესზე მოწვეული.

19. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ იმისათვის რათა მოხდეს უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელება და მისთვის იგივე იურიდიული ძალის მინიჭება, რაც მას გააჩნია გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში, საჭიროა ამგვარი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, უწყებრივად ექვემდებარება თუ არა საქმე სასამართლოს და აქვს თუ არა მას მოცემულ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია. სასამართლო არ განიხილავს საქმეს მანამ, სანამ არ დაადგენს თავის კომპეტენციას საქმის განხილვასთან დაკავშირებით. შესაბამისად, პირველ რიგში, საქართველოს უზენაესი სასამართლომ მხარეთაგან დამოუკიდებლად *ex officio* უნდა შეამოწმოს მისი საერთაშორისო კომპეტენციის საკითხი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ შუამდგომლობის განხილვასთან დაკავშირებით. მას შემდეგ რაც სასამართლო დაადგენს, რომ მას აღნიშნულ საქმეზე აქვს საერთაშორისო კომპეტენცია, მან უნდა გამო-

იკვლიოს რა სახის კომპეტენცია გააჩნია. საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონი იცნობს ორი სახის კომპეტენციას, კერძოდ, პირდაპირს, როდესაც სასამართლოს თავად აქვს განცხადების განხილვისა და საკითხის/საქმის გადაწყვეტის უფლებამოსილება და ირიბ კომპეტენციას, ანუ სასამართლოს უფლებამოსილებას, ცნოს და აღასრულოს უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელს ჰქონდა მოთხოვნილი რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის პეტროვსკის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულება, ანუ საქართველოს სასამართლო შუამდგომლობის განხილვასთან დაკავშირებით ჰქონდა ირიბი კომპეტენცია. მას შემდეგ რაც სასამართლომ შეამოწმა მორიგების შინაარსის კანონთან შესაბამისობა, მორიგების აქტის დამტკიცებით ნაწილობრივ შეცვალა რუსეთის ფედერაციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და რუსეთის სასამართლო გადაწყვეტილებისგან განსხვავებული წესით გადაწყვიტა ბავშვსა და მშობლებს შორის ურთიერთობა, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე დაადგინა მისი პირდაპირი კომპეტენცია.

20. რუსეთის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებულია, რომ არასრულწლოვან ბავშვებს ი. ა. რ. ძე დაბადებული 2...0...20... წ. და ი. ს. რ. ძე დაბადებული 2...1...20... წ. მიეჩინოთ საცხოვრებელი ადგილი დედასთან, ტ. ყ. ა. ა-თან ერთად, ხოლო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ კი დაამტკიცა მორიგება შემდეგი პირობებით:

1. მხარეები: ერთი მხრივ, რ. ი. და, მეორე მხრივ, ყ. ტ-ა თანხმდებიან, რომ მდგომარეობის სხვაგვარად შეცვლამდე არასრულწლოვანი შვილების – ა. ი-ისა და ს. ი-ის საცხოვრებელი ადგილი განისაზღვრება დედის – ყ. ტ-ას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო მდგომარეობის სხვაგვარად შეცვლამდე არასრულწლოვანი ა. ი-ი საცხოვრებლად დარჩება მამასთან – რ. ი-თან საქართველოს ტერიტორიაზე.

2. რ. ი. იღებს ვალდებულებას, მდგომარეობის სხვაგვარად შეცვლამდე (არასრულწლოვანთა სურვილი/ინტერესები საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თვალსაზრისით) კვირაში ორჯერ აკონტაქტოს ა. ი-ი თავის უმცროს ძმასთან, ს. ი-თან და ა. ი-ის სურვილის შემთხვევაში დედასთან, ყ. ტ-სთან დისტანციურად (სატელეფონო კავშირის, ინტერნეტის საშუალებით) იმ პერიოდში, როდესაც ასეთი ურთიერთობა შესაძლებელია ბავშვის აზრის, მისი ინტერესების და დღის რეჟიმის გათვალისწინებით. ამგვარ დისტან-

ციურ კავშირს უნდა დაეხსნოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელი (სოც-მუშაკი) და ფსიქოლოგი.

3. მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე სასამართლო განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 10 დღისა შ. ტ-ა განახორციელებს შემდეგ ქმედებებს:

4. შეიტანს განცხადებას „სასამართლო აღსრულების საერთაშორისო დეპარტამენტში“ ...№2 2018 წლის 6 აპრილის №9240/18/77049-... სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერების თაობაზე მორიგების აქტის გამო მისი შეუსრულებლობიდან გამომდინარე მანამ, სანამ ა. ი-ი საცხოვრებლად დარჩება მამასთან საქართველოში; რ. ი-ს წარუდგენს განცხადების ასლს კანცელარიის ყველა ბეჭდით: რეგისტრაციის ნომრის და განცხადების თარიღის მითითებით;

5. მთლიანად წაშლის ინტერნეტიდან ყველა ინფორმაციას, რომელიც ეხება რ. ი-ს და ამ უკანასკნელის ოჯახურ ცხოვრებას და პერსონალურ მონაცემებს, რომელიც შ. ტ-ას მიერ გავრცელდა ა. ი-ის ძებნის ფარგლებში; წაშლის მთელ ინფორმაციას რ. ი-ის, ამ უკანასკნელის შვილების და მისი ოჯახის შესახებ სოციალურ ქსელ ინსტაგრამში არსებული მომხმარებლის გვერდიდან ი. ა. ასევე, ასეთის არსებობის შემთხვევაში წაშლის ა. ი-სათვის თანხის შეგროვების თაობაზე ინფორმაციას.

6. მორიგების აქტის 2.2. მუხლით გათვალისწინებული დისტანციური კომუნიკაციის ვალდებულება წარმოიშობა მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე სასამართლო განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან 14 დღის შემდეგ, იმ პირობით, რომ მანამდე შ. ტ-ას მიერ სრულად იქნება შესრულებული 2.3. მუხლით დადგენილი ვალდებულებები.

7. 2019 წლის ზაფხულის სასკოლო არდადეგების პერიოდში, არანაკლებ არდადეგების პერიოდის ნახევრისა (პერიოდი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით) შ. ტ-ა უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებით, არასრულწლოვანი შვილის – ს. ი-ის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით ჩამოიყვანოს საქართველოში, კერძოდ, ბათუმში, რათა შედგეს ს. ი-ის პირისპირ ურთიერთობა მამასთან, რ. ი-თან და ძმასთან – ა. ი-თან.

8. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, როგორც არასრულწლოვანთა კანონიერი წარმომადგენელი, კისრულობს ვალდებულებას, ა. ი-ისა და შ. ტ-ას ურთიერთობის აღდგენის მიზნით, გამოყოს ფსიქოლოგი, რომელიც განეცხადებს ინტენსიურ მუშაობას მათ შორის არსებული გაუცხოების აღმოფხვრისათვის და ხელს შეუწყობს დედა-შვილის შემდგომი ურთიერთობის გაჯანსაღებას. ფსიქოლოგი, თავისი შეხედულებების მიხედვით, უზრუნველყოფს ყო-

ველთვიურად დასკვნის შედგენას.

9. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, შვილების ასაკობრივი თავისებურებისა და ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით, არ მოახდინონ უარყოფითი გავლენა შვილებზე მეორე მშობლის მიმართ. ხელს შეუწყობენ თითოეული ბავშვის, შეიქმნან და შემდგომ შეინარჩუნონ, როგორც ერთმანეთთან, ისე – თითოეულ მშობელთან თბილი, თანაბარი დამოკიდებულება და საიმედო მიჯაჭვულობა.

10. იმ შემთხვევაში, როდესაც ფსიქოლოგის დასკვნით დადგინდება ა. ი-ის ფსიქოლოგიური და ემოციური მზაობა ურთიერთობა იქონიოს დედასთან – ყ. ტ-სთან, არასრულწლოვნის სურვილის გათვალისწინებით და იმ პირობით, რომ არ იარსებებს ა. ი-ისა და რ. ი-სათვის რუსეთის ფედერაციაში მოგზაურობის ობიექტურად დამაბრკოლებელი გარემოებანი, რ. ი-ი ა. ი-ს ჩაიყვანს რუსეთის ფედერაციაში, სადაც მას ურთიერთობა ექნება დედასთან – ყ. ტ-სთან. ა. ი-ის სურვილის შემთხვევაში ყ. ტ-ას შეეძლება მისი წაყვანა რუსეთის ფედერაციაში და მამა – რ. ი-ი არ შეუშლის მას ხელს ამაში და გასცემს შესაბამების თანხმობებს. ამავე დროს, რ. ი-ს ექნება უფლება, ანალოგიური პერიოდით ურთიერთობა ჰქონდეს უმცროს შვილთან – ს. ი-თან (ხოლო ყ. ტ-ას ექნება ვალდებულება, უზრუნველყოს ამგვარი ურთიერთობა). რ. ი-ი და ყ. ტ-ა ვალდებულებას იღებენ, რომ შეთანხმებული ვადის შემდეგ ა. ი-ს და ს. ი-ს დააბრუნებენ უკან.

11. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, განუხრელად შეასრულონ წინამდებარე მორიგების პირობები: არასრულწლოვან შვილებს შეუქმნან მშვიდი და კეთილსაიმედო გარემო, კერძოდ, არ შექმნან ხელოვნური ბარიერები შვილების ორივე მშობელთან ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბების/აღდგენის თვალსაზრისით, ასევე, არ განახორციელონ ბავშვების თავისუფალ ნებაზე შემოქმედება (ფიზიკური, ფსიქოლოგიური) ან მათი რომელიმე მშობლის მიმართ დამამორებელი ქცევა.

12. წინამდებარე მორიგების აქტის აღსრულებაზე ზედამხედველობას განახორციელებს მესამე პირი – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო (შესაბამისი ტერიტორიული ორგანო). მორიგების პირობების მხარეთა მიერ შეუსრულებლობისას, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო (შესაბამისი ტერიტორიული ორგანო) მხარის მომართვის საფუძველზე იძულებით აღასრულებს სასამართლო მორიგების აქტს.

13. შეზღუდვა, რომ ბავშვი მამამ – რ. ი-მა დედის – ყ. ტ-ას თანხმობის გარეშე, არ გაიყვანოს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, დარჩეს ძალაში. ანალოგიური შეზღუდვა მოქმედებს

დედის – ჟ. ტ-ას მიმართაც იმ შემთხვევისათვის, თუ საჭირო გახდება არასრულწლოვანი ა. ი-ის გაყვანა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

21. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ როგორც რუსეთის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ირკვევა, სასამართლოს არ უმსჯელია უმცროს ძმასთან და დედასთან დისტანციურ კომუნიკაციაზე, ინტერნეტიდან ინფორმაციის წაშლაზე, არდადეგების პერიოდში ბავშვსა და მშობლებს შორის ურთიერთობაზე და ა.შ. მოცემულ შემთხვევაში, იმ ნაწილში, რაზეც რუსეთის სასამართლოს არ უმსჯელია საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა მისი პირდაპირი კომპეტენცია და აღნიშნულ საქმეზე მორიგების დამტკიცებით, რუსეთის სასამართლო გადაწყვეტილებით გადაწყვეტილი საკითხების გარდა მოაწესრიგა სხვა საკითხებიც. ამასთან, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ისე დაამტკიცა მხარეთა შორის მორიგება, რომ არ გამოკვლეულა ბავშვის საუკეთესო ინტერესები და პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, ბავშვის ინტერესების დამცველი – სოციალური მომსახურების სააგენტო არ იყო მონეული საქმის განხილვაზე და მისი წარმომადგენელი არ დათანხმებია წინამდებარე მორიგების შინაარსს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლის მიხედვით, თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზე დამოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება, გადაწყვიტოს, ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას იმის თაობაზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი, წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს. როგორც სოციალური მომსახურების სააგენტოს წერილიდან ირკვევა, იგი მოცემულ შემთხვევაში არ მონაწილეობდა და პროცესის მიმდინარეობისას არ იცავდა ბავშვის ინტერესებს, რაც როგორც უკვე აღინიშნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლის საფუძველზე აუცილებლობას წარმოადგენდა. შესაბამისად, საქმის განხილვა ისე, რომ არ იყო პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება და მისი ინტერესების დამცველი არ იყო მონეული საქმის განხილვაზე, არის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძ-

ველი.

22. ამასთან, განმცხადებელი ყურადღებას ამახვილებს, რომ გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებების კონვენციის („CRC“-„ბუკ“) შესაბამისი დებულებები, რომლებიც საქართველოში 1994 წელს შევიდა ძალაში, მიუთითებენ, რომ ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, – სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები – უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას. ხოლო, ამავე კონვენციის მე-12 მუხლი კი უთითებს, რომ მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება, ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად. ამ მიზნით ბავშვს, კერძოდ, ეძლევა შესაძლებლობა, მოუსმინონ მას სასამართლო თუ ადმინისტრაციული წესით ნებისმიერი საქმის განხილვისას, რომელიც ბავშვს ეხება, როგორც უშუალოდ, ასევე წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით, ეროვნული კანონმდებლობის პროცესუალური ნორმებით გათვალისწინებული წესით.

23. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მინისტრების მოადგილეების 1098-ე შეხვედრაზე, 2010 წლის 17 ნოემბერს მინისტრების კომიტეტის მიერ მიღებული ევროპის საბჭოს მინისტრიალის ბავშვებისადმი კეთილგანწყობილი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისი ნაწილები ითვალისწინებს შემდეგს: ბავშვებს უნდა გააჩნდეთ უფლება, ჰყავდეთ თავიანთი საკუთარი იურიდიული მრჩეველი და ჰქონდეთ მათი სახელით წარმომადგენლის ყოლის უფლება სამართალწარმოებაში, სადაც არსებობს, ან შეიძლება არსებობდეს ინტერესთან კონფლიქტი ბავშვსა და მშობლებს ან სხვა მონაწილე მხარეს შორის. გარანტირებულ უნდა იქნეს ადექვატური წარმომადგენლობა და უფლება, ბავშვი წარმოდგენილ იქნას მშობლებისგან დამოუკიდებლად. ამავე სახელმძღვანელოს მე-9 მუხლის შესაბამისად, საქმის წარმოებაში, რომელიც ზეგავლენას ახდენს ბავშვზე და სადაც, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით, მშობლის პასუხისმგებლობის მტვირთველ პირებს ეკრძალებათ ბავშვის წარმომადგენლობა, მათ და ბავშვს შორის წარმოქმნილი ინტერესთან კონფლიქტის გამო, სასამართლო ხელისუფლებას უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება, დანიშნოს ბავშვის სპეციალური წარმომადგენელი ამ საქმის წარმოების მიზნე-

ბისათვის.

24. განმცხადებელი მიუთითებს, რომ ადამიანის ევროპული სასამართლოს 2016 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილებით, საქმეში ნ. წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, აღნიშნულია, რომ გათვალისწინებულ უნდა იქნეს ევროპული კონვენცია ბავშვთა უფლებების განხორციელების შესახებ, რომელიც არ არის რატიფიცირებული საქართველოს მიერ, მაგრამ წარმოადგენს შესაბამისი პრინციპების ინტერპრეტაციის სასარგებლო ინსტრუმენტს. ზემოთხსენებული კონვენციის მე-10 მუხლი განსაზღვრავს, რომ წარმომადგენლის მოვალეობაა, იმოქმედოს სათანადო წესით ბავშვის სახელით, რაც გულისხმობს ბავშვისთვის ინფორმაციისა და განმარტებების მიწოდებას, ბავშვის შეხედულებების დადგენას და სასამართლო ხელისუფლების წინაშე მათ წარდგენას გარდა ამისა, ევროპის საბჭოს მინისტრების კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ბავშვებისადმი კეთილგანწყობილ სამართალთან დაკავშირებით აღდგენს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ინტერესთა კონფლიქტი მშობლებსა და ბავშვებს შორის, სამართალწარმოების მიზნებისათვის უნდა მოხდეს ან მეურვის ან სხვა დამოუკიდებელი წარმომადგენლის დანიშვნა, ბავშვის შეხედულებების და ინტერესების წარმდგენისა და სამართალწარმოების შინაარსის შესახებ ბავშვისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით. გარდა ამისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს სოციალური მომსახურების სააგენტოს საქმეში ჩართვას ბავშვის ინტერესების დაცვის მიზნით, ზემოაღნიშნული კონვენცია და სახელმძღვანელო მითითებები, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, საქმის/შუამდგომლობის განხილვისას პროცესში თავად ბავშვისა და ბავშვის სპეციალური წარმომადგენლის ჩართვის აუცილებლობას. მოცემულ საქმეზე არ ყოფილა მონვეული თავად ბავშვი და სოციალური მომსახურების სააგენტო. გარდა ამისა, რომ ბავშვის და მისი წარმომადგენლის აზრი მორიგების პირობებთან დაკავშირებით არ გამოთქმულა.

25. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სასამართლო ვერ ხედავს თუ როგორ შეიძლება, სოციალური მომსახურების სააგენტო, რამდენიმე ანგარიშის შედგენისა და სასამართლო სხდომებზე დაშვებისათვის აუცილებელი სტატუსის გარეშე დასწრების გზით, კლასიფიცირდეს, როგორც ადექვატური და მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, როგორც ეს, სხვათა შორის, განსაზღვრულია ზემოთ ხსენებულ საერთაშორისო სტანდარტებში, სასამართლო, ბავშვთა უფლებების კონვენციის მუხლი 12-ის გათვალისწინებით, ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ნებისმი-

ერ სასამართლო ან ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, რომელიც ახდენს გავლენას ბავშვთა უფლებებზე, კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, ბავშვები, რომელთაც აქვთ თავისი საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბების უნარი, საკმარისად ჩართულნი უნდა იყვნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მიეცეთ შესაძლებლობა, მოუსმინონ მათ და, ამგვარად, გამოხატონ თავიანთი შეხედულებები. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო ხელისუფლებამ ბავშვების მოსმენა არ განახორციელა, რადგან მშობლების დასწრების გარეშე, სათანადო და თავისუფალ გარემოში ბავშვს არ ჰქონია უფლება გამოეთქვა მისი მოსაზრება, რითაც დაირღვა გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებების კონვენციის მე-12 მუხლით ბავშვისათვის მინიჭებული უფლება. ამასთან, სოციალური სააგენტო შემოიფარგლა მხოლოდ მისი შეფასების წარდგენით, იგი როგორც ბავშვის ინტერესების დამცველი არ დასწრებია სასამართლო სხდომებს და არ დაუფიქსირებია პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შესაბამებოდა მორიგების აქტი ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. შესაბამისად, მისი მხრიდან აღნიშნულ საქმეში მხოლოდ ამ ფორმით ჩართვა სოციალურმა სააგენტოს მხრიდან ბავშვის ინტერესების დაცვად არ შეიძლება მივიჩნიოთ.

26. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული კონვენციების გარდა, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ბუნქტის, „ბ“ პუნქტით (ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მონვეული საქმის განხილვაზე) და „გ“ პუნქტით (პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მონვეული საქმის განხილვაზე) გათვალისწინებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველები.

27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 17 სექტემბრის განჩინებით, განცხადება მიღებული იქნა წარმოებაში. აღნიშნული განჩინება გადაეგზავნა მონინალმდეგე მხარეს – რ. ი.-ს, რომელმაც 2019 წლის 07 ოქტომბერს წარმოდგენილი განცხადებით, მოითხოვა საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განუხილველად დატოვება სსსკ-ის 426-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ხოლო არსებითად მაინც განხილვის შემთხვევაში კი, უსაფუძველობის გამო დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

28. საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და განცხადე-

ბაში მითითებული საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ყ. ტ-ას წარმომადგენლის თ. ხ-ის განცხადება მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 2 მაისის განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ, არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

29. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასრულებული საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით წარდგენილი განცხადების საფუძვლიანობის კვლევისათვის, პირველ რიგში, ყურადღებაა გასამახვილებელი კანონის იმ დანაწესზე, რომელიც საქმის წარმოების განახლების საპროცესოსამართლებრივ მექანიზმს ითვალისწინებს, ხოლო შემდგომ დასადგენია ამ საპროცესო მოქმედების განხორციელებისათვის კანონით გათვალისწინებული ნანამძღვრების არსებობა.

30. საკასაციო პალატა მიუთითებს სსსკ-ის 421-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების ნანამძღვრები. კანონის შემდგომი ნორმებით კი, ამომწურავადაა განმარტებული, თუ რა შეიძლება იქნას მიჩნეული ახლად აღმოჩენილ გარემოებად ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლად.

31. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ბუნქტის, „ბ“ პუნქტით (ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე) და „გ“ პუნქტით (პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე) გათვალისწინებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლები.

32. საკასაციო პალატა პირველ რიგში მიუთითებს, რომ, მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 2 მაისის განჩინება მიღებულია საქმეზე, რომელიც შეეხებოდა შუამდგომლობას უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების შესახებ, კერძოდ, რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის პეტროვსკის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილების

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და იძულებით აღსრულებას ბავშვების საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის ნაწილში.

33. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა/ აღსრულება სხვა ქვეყანაში ამ უკანასკნელის საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტია, რომელთა მიმართებით ეს სახელმწიფო სრული სუვერენიტეტითა და თავისუფლებით სარგებლობს. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

34. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა/აღსრულების საკითხის განხილვამდე აუცილებელია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეამოწმოს მისი დასაშვებობა, კონკრეტულ შემთხვევაში კი, შედის თუ არა შუამდგომლობაში დასმული საკითხის განხილვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციაში, გააჩნია თუ არა შუამდგომლობის ავტორს იურიდიული ინტერესი და ა.შ.

35. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ გადაწყვეტილების აღიარების (ცნობის) საგანს წარმოადგენს არა ზოგადად კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილება, როგორც მართლმსაჯულების აქტი, არამედ მისი გარკვეული სამართლებრივი თვისების მოქმედების გავრცელება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე (იხ. დამატებით: ბ. ლილუაშვილი, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება საქართველოში, თბ., 2009.).

36. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართალში მოქმედი „გათანაბრების თეორიის“ თანახმად, უცხოური აქტი უნდა აღქმულ იქნეს და იურიდიულად გაუთანაბრდეს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო გადაწყვეტილებას, შესაბამისად, ამ სახის სასამართლო გადაწყვეტილებების საპროცესო შედეგებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით უნდა გადაწყდეს. ეს კონცეფცია ნოსტრიფიკაციის სახელით არის ცნობილი და ემყარება ყველა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის თანასწორუფლებიანობის მოსაზრებას. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ან უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისას საქმე გვაქვს მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური აქტის მოქმედების გაფართოვებასთან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მის ცნობაზე უარის თქმის საფუძვლები.

37. ამიტომაც, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების

ცნობის პრობლემის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია, თუ რა კრიტერიუმების არსებობას უკავშირებს გადაწყვეტილების ცნობას შესაბამისი ქვეყნის სასამართლო. ამგვარი კრიტერიუმები კი, სხვადასხვაა. შესაძლებელია გადაწყვეტილების ცნობისას მოცემული ქვეყნის კანონმდებლობა ან მის მიერ გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება პირდაპირ ჩამოთვლიდეს კონკრეტულ პრინციპებს. გარდა ზემოაღნიშნულისა, ამ საკითხთან მიმართებით საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში გავრცელება ჰპოვა ე.წ. „სარკისებური ასახვის პრინციპმა“, რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილების მცნობ სასამართლოს სარკისებურად გადააქვს თავისი ქვეყნის წესები გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციის შესახებ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

38. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს მხოლოდ მისი ცნობა/აღსრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი წინაპირობების თვალსაზრისით. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების იურიდიული ძალის სხვა ქვეყანაში გავრცელებისათვის უნდა არსებობდეს ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. ფაქტობრივ საფუძველში იგულისხმება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების შედეგების გავრცელება იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელმაც უნდა სცნოს ეს გადაწყვეტილება, ხოლო სამართლებრივ საფუძველში მოიაზრება საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები, რომლითაც ხორციელდება ცნობა/აღსრულების შემონიშნება/განხილვა. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებით ახდენს ამ გადაწყვეტილებით დაცული მხარის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ცნობას, რომლის რეალიზაციის იურიდიული შედეგი უნდა გავრცელდეს საქართველოში.

39. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის არ არის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულება სამოქალაქო საქმეებზე სამართლებრივი დახმარების თაობაზე და ამიტომაც შუამდგომლობის არსებითად განხილვის შემთხვევაში, დაეყრდნობოდა „მინსკის კონვენციის“ მოწესრიგებას.

40. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის მე-3 თავი აწესრიგებს ხელშემკვრელ მხარეებს შორის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების წესებს. აღნიშნული კონვენციის 51-ე მუხლის მიხედვით, ხელშემკვრელი

სახელმწიფოები ცნობენ და აღასრულებენ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიღებულ სამოქალაქო და საოჯახო საქმეებზე იუსტიციის დანესებულებების გადანყვეტილებებს.

41. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ 2009 წლის 22 ოქტომბრის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით ძალაში შესულ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციასა და კონსტიტუციურ კანონს, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

42. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ „მინსკის კონვენციას“ უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნია „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის დანაწესებთან მიმართებით. სწორედ ამიტომ, „მინსკის კონვენციის“ 54-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიუთითებს, რომ სასამართლო, რომელიც განიხილავს ხელშემკვრელი მხარის სასამართლო გადანყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხს, შემოიფარგლება კონვენციით გათვალისწინებული წინაპირობების შემონმებით. შესაბამისად, ცნობა-აღსრულების პროცედურის მიმართ გამოიყენება კონკრეტული ხელშემკვრელი მხარის საპროცესო-სამართლებრივი ნორმები, ხოლო ცნობა-აღსრულების სხვა საკითხებზე ვრცელდება კონვენციის მე-3 თავის დებულებები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის მომწესრიგებელი მატერიალური სამართლის დანაწესის მიუხედავად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლო პროცესუალური მოქმედებების განხორციელების თვალსაზრისით ხელმძღვანელობს ამავე კოდექსით, რომლის მე-3 მუხლი ადგენს მხარეთა საპროცესო უფლებებს, მე-4 მუხლი ადგენს მხარეთა შეჯიბრებითობის წარმართვის ვალდებულებას, ხოლო, მე-5 მუხლი – საქმის თანასწორობის საწყისზე განხილვის აუცილებლობას.

43. „მინსკის კონვენციის“ პირველი მუხლის პირველი ნაწილით, სამართლებრივი დაცვით სარგებლობენ კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების მოქალაქეები, ასევე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრები პირები, ყველა სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიებზე თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებების მიმართ სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი დაცვით, როგორითაც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები. დასახელებული ნორმის მე-2 ნა-

წილით კი, თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეებს, ასევე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს, უფლება აქვთ, თავისუფლად და დაუბრკოლებლივ მიმართონ სხვა ხელშემკვრელი მხარეების სასამართლოებს, პროკურატურას და სხვა დაწესებულებებს (შემდეგში – იუსტიციის დაწესებულებები), რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნება სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეები, შეუძლიათ გამოვიდნენ იქ, იშუამდგომლონ, წარადგინონ სარჩელები და განახორციელონ სხვა პროცესუალური ქმედებები იმავე პირობებით, რითაც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები სარგებლობენ. ამავე კონვენციის მე-3 თავით მოწესრიგებულია გადაწყვეტილებათა აღიარება (ცნობა) და იძულებითი აღსრულება, კერძოდ, 51-ე-55-ე მუხლებით დადგენილია გადაწყვეტილებათა აღიარებისა (ცნობის) და იძულებითი აღსრულების და ასეთზე უარის თქმის სამართლებრივი წინაპირობები, შესაბამისად, სწორედ ამ ფარგლებით განისაზღვრება საკასაციო სასამართლოს მსჯელობა.

44. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს განმცხადებლის მოსაზრებაზე, რომ, იმისათვის რათა მოხდეს უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელება და მისთვის იგივე იურიდიული ძალის მინიჭება, რაც მას გააჩნია გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში, საჭიროა ამგვარი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, უწყებრივად ექვემდებარება თუ არა საქმე სასამართლოს და აქვს თუ არა მას მოცემულ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია. სასამართლო არ განიხილავს საქმეს მანამ, სანამ არ დაადგენს თავის კომპეტენციას საქმის განხილვასთან დაკავშირებით. შესაბამისად, პირველ რიგში, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მხარეთაგან დამოუკიდებლად უნდა *ex officio* უნდა შეამოწმოს მისი საერთაშორისო კომპეტენციის საკითხი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ შუამდგომლობის განხილვასთან დაკავშირებით. მას შემდეგ რაც სასამართლო დაადგენს, რომ მას აღნიშნულ საქმეზე აქვს საერთაშორისო კომპეტენცია, მან უნდა გამოიკვლიოს რა სახის კომპეტენცია გააჩნია. საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონი იცნობს ორი სახის კომპეტენციას, კერძოდ, პირდაპირს, როდესაც სასამართლოს თავად აქვს განცხადების განხილვისა და საკითხის/საქმის გადაწყვეტის უფლებამოსილება და ირიბ კომპეტენციას, ანუ სასამართლოს უფლებამოსილებას, ცნოს და აღასრულოს უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში

განმცხადებელს ჰქონდა მოთხოვნილი რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის პეტროვსკის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულება, ანუ საქართველოს სასამართლო შუამდგომლობის განხილვასთან დაკავშირებით ჰქონდა ირიბი კომპეტენცია. მას შემდეგ რაც სასამართლომ შეამოწმა მორიგების შინაარსის კანონთან შესაბამისობა, მორიგების აქტის დამტკიცებით ნაწილობრივ შეცვალა რუსეთის ფედერაციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და რუსეთის სასამართლო გადაწყვეტილებისგან განსხვავებული წესით გადაწყვიტა ბავშვსა და მშობლებს შორის ურთიერთობა, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე დაადგინა მისი პირდაპირი კომპეტენცია (იხ. წინამდებარე განჩინების პ. 19, 20).

45. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსჯადობაში/კომპეტენციაში იგულისხმება სახელმწიფოს სასამართლო ხელისუფლების გამოყენების ფარგლები. მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი პროცესუალური ნორმების საფუძველზე განსჯადობის დადგენის შემდეგ ხდება საერთაშორისო განსჯადობის საკითხის გადანაცვება.

46. ქვეყნის შიგნით სასამართლო სისტემა თავად განსაზღვრავს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის ფარგლებს. არ არსებობს ეროვნული სამართლის მიერ წინასწარ დადგენილი რაიმე წესი საერთაშორისო კომპეტენციის შესახებ. თითოეული ქვეყნის სასამართლო თავად წყვეტს საერთაშორისო კომპეტენციის საკითხს და მას განიხილავს იმ ჩარჩოებში, რომელ ჩარჩოშიც ის მიიჩნევს, რომ აღნიშნული დავის განხილვა მის კომპეტენციაში შედის.

47. სახელმწიფოების ნაციონალურ სასამართლოთა საერთაშორისო კომპეტენციის საკითხები, როგორც წესი, რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით ანდა სპეციალური კანონებით „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“. საქართველოს კანონში „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის საკითხებს დათმობილი აქვს მთელი მე-2 თავი, რომელიც მოიცავს 13 მუხლს (მე-8-მე-20 მუხლები).

48. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალი იცნობს საერთაშორისო კომპეტენციის რამდენიმე სახეს. დოქტრინა ერთმანეთისაგან განასხვავებს პირდაპირ და ირიბ, საერთაშორისო და ადგილობრივ, საერთო და განსაკუთრებულ, ფაკულტატურ და გამომრიცხავ საერთაშორისო კომპეტენციის სახეებს. (უფრო დანვრილებით იხილეთ: ზვი-

ად გაბისონია, „ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი“, 2006; ბაკურ ლილუაშვილი, „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება საქართველოში“, 2010; ლევან გოთუა, „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება“, 2010; Svanadze, G. Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, Eine rechtsvergleichende Analyse, 2014; Schack, Internationales Zivilverfahrensrecht, 6. Aufl., 2014).

49. საერთაშორისო კომპეტენციის ცნება იცნობს ისეთ სახეებს, როგორცაა საერთო და განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია.

50. საერთო საერთაშორისო კომპეტენცია კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში დაკავშირებულია მოპასუხის საცხოვრებელ ადგილთან (ადგილმდებარეობასთან („actor sequitur forum rei“). ანალოგიურ მიდგომას ავითარებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის მე-8 და მე-9 მუხლები, კერძოდ, კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, „საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხეს საქართველოში აქვს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.“ კანონის მე-9 მუხლი კი, ითვალისწინებს საერთო საერთაშორისო კომპეტენციის ცალკეულ შემთხვევებს, რომლის არსებობის შემთხვევაშიც საქართველოს სასამართლოებს ენიჭებათ საერთაშორისო კომპეტენცია. ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ: ა) მოპასუხე რამდენიმე პირია და ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს; ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ადგილი საქართველოა; გ) სარჩელი ეხება მართლსაწინააღმდეგო ან მასთან გათანაბრებული ქმედებით მიყენებულ ზიანს და ასეთი ქმედების ჩადენა ან ზიანის მიყენება საქართველოში მოხდა; დ) დავა ეხება იმ სანარმოს ფილიალს, რომლის რეზიდენციაც საქართველოშია; ე) მამობის დადგენის ან ალიმენტის გადახდის საქმეებზე ბავშვის ან ალიმენტის მიმღების საცხოვრებელი ადგილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოშია; ვ) სარჩელის საგანია სამემკვიდრო უფლების დადგენა, სამკვიდრო ქონების გაყოფა და მამკვიდრებლის გარდაცვალებისას საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან სამკვიდრო ქონება საქართველოში ჰქონდა.

51. საკასაციო პალატა საერთაშორისო კომპეტენციასთან ერთად, ყურადღებას ამახვილებს განსაკუთრებულ საერთაშორისო კომპეტენციაზეც. განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია („specific contracts“), ძირითადად გამოიყენება ცალკეული სა-

ხის სამოქალაქოსამართლებრივი დავების მიმართ. განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენციის ცალკეულ შემთხვევებს ითვალისწინებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი.

52. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვა კანონის ფორმალურ დანაწესებთან ამ გადაწყვეტილების შემონმების გზით ხორციელდება, იმგვარად, რომ საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ჩაერიოს, რაიმე ფორმით განმარტოს ან შესწორება შეიტანოს თავად გადაწყვეტილებაში ან მისი სარეზოლუციო ნაწილის რომელიმე პუნქტში, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შუამდგომლობაზე საკასაციო სასამართლოს მხარეთა მორიგების გამო არსებითად საერთოდ არ უმსჯელია, ამიტომაც არარეგულაციურია განმცხადებლის მიერ წინამდებარე განჩინების მე-19 პუნქტში განვითარებული მსჯელობები.

53. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს განცხადების ავტორის მიერ წინამდებარე განჩინების პპ. 18, 35-38-ში მითითებულ მოსაზრებებზე.

54. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლში. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ: ა) გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში; ბ) ერთ-ერთი მხარე ან მისი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მონაწილე საქმის განხილვაზე; გ) პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მონაწილე საქმის განხილვაზე.

55. განმცხადებელმა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლით.

56. საკასაციო პალატა არ იზიარებს განმცხადებლის მოსაზრებას, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს სსსკ-ის 422-ე მუხ-

ლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული მხარეთა მორიგების შესახებ განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის განახლების საფუძველი, რადგან სადავო განჩინება მიღებულია საქმეზე, რომელიც შეეხებოდა კანონიერ ძალაში შესული უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულებას მხოლოდ იმ ნაწილში, რომლითაც არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის საცხოვრებელი ადგილი, ამიტომაც განსახილველი შემთხვევის მიმართ არარელევანტურია განცხადების ავტორის მიერ მითითებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლის, აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 351<sup>13</sup>-ე მუხლის მოწესრიგების გავრცელება.

57. საკასაციო პალატა არ იზიარებს განმცხადებლის მოსაზრებას არც იმ ნაწილში, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს სსსკ-ის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული საქმის წარმოების განახლების საფუძველი შემდეგი გარემოებების გამო:

58. განმცხადებელი მიუთითებს, რომ 2019 წლის 28 აგვისტოს შუამდგომლობის ავტორმა მიმართა სოციალურ სააგენტოს და გამოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ: იყო თუ არა სოციალური მომსახურების სააგენტო ზემოაღნიშნული საქმის განხილვისას საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით მოწვეული და სასამართლოს მხრიდან გაეგზავნა თუ არა უწყება, ესწრებოდა თუ არა სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელი (ბავშვის ინტერესების წარმომადგენელი) ზემოაღნიშნულ საქმეზე ჩატარებულ პროცესებს და დააფიქსირა თუ არა სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელმა მისი პოზიცია აღნიშნული მორიგების შინაარსთან დაკავშირებით. 2019 წლის 6 სექტემბრის საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის პასუხის თანახმად, მოცემულ საქმეში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო როგორც ბავშვის ინტერესების წარმომადგენელი არ იყო პროცესზე მოწვეული. (იხ. წინამდებარე განჩინების პ. 18).

59. საკასაციო პალატა განუმარტავს განმცხადებელს, რომ საქმეში განთავსებულია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის 2018 წლის 03 დეკემბრის აქტი, რომლითაც მოწინააღმდეგე მხარეს – არასრულწლოვნის მამას მისი განცხადების საფუძველზე ეგზავნება არასრულწლოვანი ბავშვის ა. ი-ის თაობაზე სოციალური მუშაკის მიერ შედგენილი 2018 წლის 21 ნოემბრის დასკვნა. ამასთან ერთად, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსსკ 422-ე მუხლის პირველი

ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარდგენილი განცხადების საფუძვლიანობის შესამოწმებლად, მნიშვნელოვანია განიმარტოს ვინ არის ამ ნორმით გათვალისწინებული საფუძვლით გადანყვეტილების ბათილად ცნობის უფლების მქონე სუბიექტი, სხვაგვარად, ვის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს „ეხება უშუალოდ“ გასაჩივრებული გადანყვეტილება, და შესაბამისად, ვისი მონვევა იყო აუცილებელი საქმის განხილვაზე.

60. ტერმინი „უშუალოდ ეხება“ მოცემულ ნორმაში მიუთითებს მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველზე, რომელიც ახასიათებს პროცესუალურ ტერმინს „მხარე“, რაც გულისხმობს, რომ სასამართლო გადანყვეტილება „უშუალოდ ეხება“ მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის თანახმად გააჩნიათ მოთხოვნის უფლება (მოსარჩელე), ეკისრებათ პასუხისმგებლობა (მოპასუხე) ან აქვთ დამოუკიდებელი მოთხოვნა დავის საგანზე (მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით). ასეთი პირები იმგვარად არიან დაკავშირებულნი სადავო სამართალური თიერთობასთან, რომ სასამართლოს მიერ დავის გადანყვეტის შედეგად მიღებული გადანყვეტილება პირდაპირ გავლენას ახდენს ამ ურთიერთობიდან გამომდინარე მათ უფლებებსა და ინტერესებზე.

61. შესაბამისად, სსსკ 422.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გადანყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელიც სასამართლო დავაში არ მონაწილეობდა, მაგრამ სასამართლოს გადანყვეტილებამ მხარედ აქცია, რადგან გადანყვეტილება უშუალოდ შეეხო მის რეალურ, ფაქტობრივად არსებულ და კანონით დაცულ ინტერესს. ასეთი პირები არიან პოტენციური მოსარჩელე, მოპასუხე ან დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირი.

62. აღნიშნული დადასტურებულია უზენაესი სასამართლოს ხანგრძლივი პრაქტიკით, რომლის ანალიზითაც ცალსახად ჩანს, რომ გადანყვეტილების ბათილად ცნობით დაინტერესებული პირი, როგორც წესი, ან პოტენციური მოპასუხეა ან აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე (იხ. სუსგ №ას-409-409-2018, 18 მაისი, 2018; №ას-269-269-2018, 20 მარტი, 2018; №ას-88-88-2018, 27 თებერვალი, 2018; №ას-1450-1370-2017, 06 თებერვალი, 2018).

63. რაც შეეხება მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, მათ დავის საგანთან მიმართებაში დამოუკიდებელი მოთხოვნა არ გააჩნიათ და არც პასუხისმგებლობა ეკისრებათ, ამიტომ ასეთ პირებს სასამართლოს გადანყვეტილება „უშუალოდ“ ვერ შეეხება. ესენი არიან პირები, რომელთა უფლებებსა და მოვალეობებზეც ერთ-ერთი მხარის მიმართ, შესაძლებელია

შემდგომში გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებამ. თუმცა ის სავარაუდოდ გავლენა, რომელიც მათ უფლებებსა და მოვალეობებზე შეიძლება გადაწყვეტილებამ მოახდინოს, თავისი სამართლებრივი შინაარსით არ უთანაბრდება გავლენას, რომელიც იგულისხმება სსსკ 422.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ტერმინში „უშუალოდ ეხება“. სწორედ ამიტომ, მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე შეზღუდულად სარგებლობენ მხარეთა საპროცესო უფლებებით. მათ არ შეუძლიათ გაადიდონ ან შეამცირონ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, შეცვალონ სარჩელის საფუძველი ან საგანი, ცნონ სარჩელი, უარი თქვან სარჩელზე ან მორიგდნენ, აღძრან შეგებებული სარჩელი ან მოითხოვონ სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება (იხ. სსსკ 91-ე მუხლი) და, რაც მთავარია, მათ არ შეუძლიათ სააპელაციო ან საკასაციო წესით გაასაჩივრონ სასამართლოს მიერ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებები (იხ. სსსკ 364-ე და 391-ე მუხლები). მათ უფლება აქვთ, საკუთარი ან რომელიმე მხარის ინიციატივით ჩაერთონ საქმეში, მაგრამ არ წარმოადგენენ პროცესის სავალდებულო მონაწილეს. საქმეში მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეს მესამე პირად მათი დაშვების საკითხს მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით წყვეტს სასამართლო, თუმცა აღნიშნული პირების საქმეში ჩართვა სასამართლოს საკუთარი ინიციატივით არ შეუძლია (იხ. სსსკ 89-ე და 90-ე მუხლები).

64. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსსკ 422.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტში იგულისხმება არა ის პირი, რომელიც შესაძლებელია საქმეში ჩაბმული ყოფილიყო მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, არამედ პირი, რომელიც არის პოტენციური მოსარჩელე, მოპასუხე ან მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით (იხ. სუსგ №ას-ა-2032-ბ-9-2015, 26 ნომბერი, 2015; №ას-187-180-2012, 29 მარტი, 2012).

65. აღნიშნული ნორმის ასეთ განმარტებას მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი განსაზღვრულობისა და სამოქალაქო ურთიერთობის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, რადგან თუკი დავუმვებთ, რომ პირი, რომელსაც დამოუკიდებელი მოთხოვნა არ გააჩნია და სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება არა აქვს, უფლებამოსილია მოითხოვოს აღნიშნული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება იმ პირთა უფლება, ვისაც უშუალოდ ეხება ეს გადაწყვეტილება. ამით საფრთხე შეექმნება გადაწყვეტილების საიმედოობას, რადგან ასეთი მესამე პირები აღიჭურვებიან მხარის ყველა საპროცესო უფლე-

ბით. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია სამართლის თეორიაში აღიარებული სამართლის ნორმის განმარტების „მით უფრო მეტის“ ლოგიკური პრინციპი, რომლის თანახმად, თუ მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე არ შეუძლია გადანყვეტილების (განჩინების) გასაჩივრება, მაშინ მას მით უმეტეს არ შეუძლია მისი ბათილად ცნობის მოთხოვნა.

66. საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ კანონის უზენაესობის ერთ-ერთი ფუნდამენტური ასპექტი არის სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი, რომლის თანახმადაც სასამართლო თუ გადანყვეტის საკითხს, მისი განჩინება არ უნდა დადგეს ეჭვქვეშ (იხ. *Brumarescu v. Romania* [GC], no.28342/95, § 61, ECHR 1999-VII). ეს პრინციპი ნიშნავს, რომ არცერთ მხარეს არ უნდა ჰქონდეს საბოლოო და ძალაში შესული გადანყვეტილების გადახედვის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმიტომ, რომ მიაღწიოს საქმის ხელახლა მოსმენასა და ახალ გადანყვეტილებას. უმაღლესი ინსტანციის სასამართლოების მიერ საქმის გადახედვა არ უნდა იქცეს ნიღბიან აპელაციად და საკითხზე ორი შეხედულების არსებობა არ წარმოადგენს საქმის გადასინჯვის საფუძველს. ამ პრინციპიდან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის აუცილებლობა გამომდინარეობს არსებითი და გარდაუვალი ხასიათის გარემოებების წარმოშობით (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მეორე სექცია, საქმე „ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ“, განაცხადი №18156/05, სტრასბურგი, 2010 წლის 27 მაისი, საბოლოო ვახდა 2010 წლის 27 აგვისტოს, § 53).

67. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლით გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადანყვეტილებების მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც. მართალია, საერთაშორისოდ აღიარებული ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს, თუმცა ზემოხსენებული სამართლებრივი აქტები თავადვე იძლევიან ჩარევის ლეგიტიმურ დეფინიციას და განსაზღვრავენ, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა გამომდინარეობს დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით, ამასთან, ჩარევის სტანდარტად გამოყენებულ უნდა იქნეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც ცალსახადაა ასახული „ბავშვის უფლება-

თა კონვენციაში“. მოხმობილი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს აწესებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს, ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს, აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის.

68. „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-8 მუხლით დაცული ოჯახური ცხოვრების პატივისცემა გულისხმობს ოჯახის წევრებს შორის კონტაქტისა და ურთიერთობების დაცვას. სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასთან და საუკეთესო ინტერესთან დაკავშირებული თითოეული საქმის განხილვისა და ინდივიდუალური შეფასებისას, რათა ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილებებში, იქ, სადაც საქმე ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მშობლისა და ბავშვის უფლებებს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადანყვეტილების მიღება (იხ. ელსჰოლცი გერმანიის წინააღმდეგ – *Elsholz v. Germany*, № 25735/94, 31.07.2000, par. 52 და TK და KM გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ – *TK and KM v. UK*, №28945/95, 10.05.2001, par.72). შდრ. ასევე, სუსგ №ას-967-916-2015, 25.02.2016წ.).

69. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციის (მუხლი 3, პუნქტი 1) თანახმად, ბავშვთა მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი – სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური დაცვის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები – უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.

70. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნ-

ქტი ბავშვს აძლევს უფლებას, მის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ქმედებისას ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, შეფასდეს და უპირველესი ყურადღება დაეთმოს მის საუკეთესო/ჭეშმარიტ ინტერესებს როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო სფეროში. ამასთან, იგი ასახავს კონვენციის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს. ბავშვის უფლებათა კომიტეტმა („კომიტეტი“) მე-3 მუხლის პირველი პუნქტი მიიჩნია კონვენციის ოთხი ზოგადი პრინციპიდან ერთ-ერთად ბავშვის ყველა უფლების განმარტებისა და განხორციელებისათვის და იყენებს მას, როგორც დინამიკურ ცნებას, რომელიც მოითხოვს კონკრეტული კონტექსტის შესატყვის შეფასებას.

71. ამასთან, კონვენცია ცალსახად მიუთითებს ბავშვის საუკეთესო/ჭეშმარიტ ინტერესებზე სხვა მუხლებშიც: მე-9 მუხლში: მშობლებისაგან დაშორება; მე-10 მუხლში: ოჯახის გამთლიანება; მე-18 მუხლში: მშობლის პასუხისმგებლობა; მე-20 მუხლში: ოჯახური გარემოდან ჩამოცილება და ალტერნატიული ზრუნვა; 37(გ) მუხლში: თავისუფლება აღკვეთილი ზრდასრულებისაგან განცალკევება; 40(2)(ბ) (iii) მუხლში: საპროცესო გარანტიები, მათ შორის კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ სისხლის სამართლის ნესით განხილულ საქმეთა სასამართლო პროცესებზე მშობელთა დასწრება. გარდა ამისა, კონვენცია მიუთითებს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებზე კონვენციის ფაკულტატურ ოქმში ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ (პრეამბულა და მე-8 მუხლი) და კონვენციის ფაკულტატურ ოქმში კომუნიკაციის პროცედურის შესახებ (პრეამბულა და მე-2 და მე-3 მუხლები).

72. ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების ცნების მიზანია, უზრუნველყოს როგორც კონვენციით აღიარებული ყველა უფლებით სრული და ეფექტიანი სარგებლობა, ისე ბავშვის ყოვლისმომცველი განვითარება. კომიტეტმა „ზრდასრული ადამიანის მიერ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების აღქმა არ შეიძლება იყოს უპირატესი კონვენციით გათვალისწინებული ბავშვის ყველა უფლების პატივისცემის ვალდებულებასთან შედარებით“. კონვენციაში უფლებათა იერარქია არ არსებობს; მასში უზრუნველყოფილი ყველა უფლება შეესაბამება „ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს“ და დაუშვებელია რომელიმე უფლების შელახვა ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების ცნების ნეგატიური განმარტებით. ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების ცნების სრული გამოყენება მოითხოვს უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვას, რომელშიც ჩაერთვება ყველა მონაწილე მხარე, ბავშვის ყოვლისმომცველი ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ფსიქიკური და სულიერი ერთიანობის უზრუნველსაყოფად და

მისი ადამიანური ღირსების პატივსაცემად.

73. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ განუმარტავს განმცხადებელს, რომ განსახილველი საქმე შეეხებოდა კანონიერ ძალაში შესული უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულებას მხოლოდ იმ ნაწილში, რომლითაც არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის საცხოვრებელი ადგილი და არა არამართლზომიერად გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებული საქმის განხილვას, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLII<sup>2</sup> თავით, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ საკასაციო პალატას მხარეთა მორიგების გამო, არსებითად საერთოდ არ უმსჯელია შუამდგომლობაზე, ამიტომაც განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით, არარელევანტურია განმცხადებლის მიერ წინამდებარე განჩინების პპ. 22-25 განვითარებული მსჯელობები (მდრ. სუსგ განჩინება საქმეზე №ა-75-შ-2-2018, 12 ივლისი, 2018).

74. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს იმსჯელოს აგრეთვე მხარეთა შორის დავის მორიგებით დასრულების თაობაზე.

75. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლებრივი დავა, როგორც წესი, ხანგრძლივ და რთულ პროცესს უკავშირდება. მორიგება ის სამართლებრივი მოვლენაა, რომელიც მხარეთა ნების მაქსიმალური გათვალისწინებით და კანონიერი გზით წყვეტს მხარეთა შორის არსებულ უთანხმოებას. საქმის დამთავრება მორიგებით სამართალწარმოების დასრულების არანაკლებ მნიშვნელოვანი ფორმაა, ვიდრე საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა. ზოგჯერ მორიგება უკეთესი ალტერნატივაა, თუმცა, მხოლოდ ერთი პირობით – თუ მორიგების შეთავაზება მიზნად ისახავს არა მხოლოდ მოსამართლის განტვირთვას, მისი მუშაობის შემსუბუქებას, არამედ მხარეთა შორის დავის საგანზე წარმოშობილი კონფლიქტის სამართლიანად მოგვარებას.

76. სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება ემყარება მიზანს, მოწესრიგდეს და აღმოიფხვრას საზოგადოებრივ ურთიერთობებში წარმოშობილი კონფლიქტი, საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეებმა ხელშემშლის გარეშე, მათთვის ხელსაყრელ და სასურველ პირობებში, შეძლონ თავიანთი უფლებების განხორციელება. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საუკეთესო სამართლებრივი საშუალება მოდავე მხარეთა შორის მორიგებაა.

77. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი ურ-

თიერთობების სამოქალაქო-სამართლებრივი მოწესრიგების პროცესში მისი მონაწილეების აღჭურვა განსაზღვრული უფლებებითა და მოვალებებით, განაპირობებს შემდგომში მათ ქცევას არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში. საქმის წარმოება და მორიგებით საქმის წარმოების დასრულება, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მხარეთა უფლებაა. საქმის შედეგით მატერიალურ-სამართლებრივი დაინტერესება გულისხმობს, რომ საქმის გადაწყვეტის შედეგად ერთ-ერთმა მხარემ შესაძლოა შეიძინოს რაიმე მატერიალური სიკეთე, ხოლო მეორე მხარე – ამ სიკეთეს კარგავს. მორიგებისას მდგომარეობა განსხვავებულია, აქ ინტერესი და სამართლებრივი სიკეთით სარგებლობა ერთდროული და ორმხრივია.

78. მორიგებით სამოქალაქო საქმის წარმოების დამთავრება წარმოადგენს მხარეთა უფლებასა და დისპოზიციურობის პრინციპის გამოვლენას. დისპოზიციურობის პრინციპი სამოქალაქო სამართალწარმოებაში – ესაა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული და გარანტირებული მხარეთა შესაძლებლობა თავისუფლად ისარგებლონ ან განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. სამოქალაქო საქმის წარმოების მორიგებით დამთავრება პროცესის მონაწილე მხარეთათვის კანონით მინიჭებული დისპოზიციური უფლებამოსილებაა, რომელიც მათი ნების თავისუფალი გამოვლინებისა და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გარიგების სახით მიიღება და სასამართლოს მხრიდან კანონიერების კონტროლის საფუძველზე მტკიცდება. მხარეთა შორის წამოჭრილი დავის მორიგებით დამთავრება ყოველთვის ითვლებოდა და დღესაც ითვლება ამ დავის გადაწყვეტის ყველაზე საუკეთესო საშუალებად. სწორედ ამიტომ ევალება სასამართლოს მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა მხარეთა მორიგებისათვის, საქმის მშვიდობიანად დამთავრებისათვის.

79. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მორიგების სამართლებრივი მნიშვნელობა ორი დამოუკიდებელი ნიშნით განისაზღვრება. პირველი – მატერიალური და მეორე – პროცესუალური ნიშნით.

80. მატერიალური ნიშნით მორიგება გარიგებაა. გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი, და მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. გარიგების ყველაზე გავრცელებული სახე ხელშეკრულებაა, რომელიც ორ ან მეტ სუბიექტს შორის სამართლებრივ ურთიერთობას წარმოშობს, ცვლის ან წყვეტს. მორიგების ხელშეკრულებად მიჩნევა ორი ძირითადი და არსებითად მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს. მორიგება ორმხრივი ან

მრავალმხრივი ნების გამოვლენის ფაქტია. თუმცა, მორიგება გარკვეულწილად განსხვავდება სსკ-ის 50-ე მუხლით გათვალისწინებული გარიგებისაგან. კერძოდ, გარიგებისაგან განსხვავებით, მორიგება არ შეიძლება იყოს ცალმხრივი ნების გამოვლენის შედეგი. მორიგებაში ცალმხრივი ნების გამოვლენა შეუძლებელია. ცალმხრივი ნება, სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობებში შესაძლოა გამოიხატოს სარჩელის ცნობით (აღიარებით) ან სარჩელზე უარის თქმით, რაც მორიგებას არ წარმოადგენს, თუმცა მაინც იძლევა შედეგს სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის სახით. მორიგება წარმოადგენს მხარეების მიერ ახალ გარემოებებზე შეთანხმებას. მხარეთა მორიგების შემთხვევაში წყდება სამართალწარმოება, უქმდება საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება და მტკიცდება მორიგება. ასეთი მორიგება უკვე მხარეთა შორის გამოხატული ახალი ნებაა, რაც ახალი გარიგების დადებას გულისხმობს.

81. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პროცესუალური ნიშნით მორიგება სამართლებრივი პროცესია და იგი ორ კომპონენტს მოიაზრებს: მორიგება, როგორც დამოუკიდებელი პროცესი და მორიგება, როგორც საქმის წარმოების პროცესის შემადგენელი ნაწილი ანუ პროცესის პროცესი. მორიგება, როგორც დამოუკიდებელი პროცესი დამოუკიდებელი სამართლებრივი მოვლენაა დასაწყისით, სამართლებრივი ეტაპებით და დასასრულით. მორიგების დაწყების საფუძველი მხარეთა შორის არსებული დავაა. იგი მოიცავს მოდავე მხარეების სამომრიგებლო მცდელობებს, წინადადებებს, მოლაპარაკებებს, რაც მიმართულია საქმის წარმოების მორიგებით დასრულებისკენ. რაც შეეხება მორიგებას, როგორც საქმის წარმოების პროცესის შემადგენელ ნაწილს, აქ უმნიშვნელოვანესია, რომ მორიგება აქცესორული ხასიათის სამართლებრივი მოვლენაა, რომელიც საქმის წარმოების გარეშე არ არსებობს. მორიგების არსებობა და მისი სამართლებრივი განხორციელება სამოქალაქო საქმის წარმოების პროცესზეა დამოკიდებული და მის გარეშე არ არსებობს. მორიგების უფლება არ წარმოიშობა მთავარი საპროცესო უფლების – საქმის წარმოების გარეშე. თუ არ იქნება საქმის წარმოება ანუ სასამართლო წესით განსახილველი დავა, მორიგებაც ვერ განხორციელდება ანუ თუ არ იქნება დავა, მოსარიგებელი არაფერია, შესაბამისად, მორიგება საქმის წარმოების პროცესის შემადგენელი ნაწილია.

82. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მორიგების ძირითადი პრინციპებია: ა) მორიგება მხოლოდ სასამართლოს პირობებში ხორციელდება, როგორც საქმის განხილვის, ისე აღსრულების ეტაპზე; ბ) მორიგების კანონიერების უზრუნველყოფა სასამართლოს ვალდებულებაა; გ) მორიგების აქტი მტკიცდება სასამართლოს განჩი-

ნებით; დ) მორიგებით დასრულებულ საქმეზე ხელახალი განხილვისათვის სასამართლოსთვის მამართვა, გამოჩაკლისის გარდა, დაუშვებელია; ე) მორიგების პირობების შეუსრულებლობა ექვემდებარება იძულებით აღსრულებას.

83. მოსამართლის როლი და ფუნქცია უდიდესია მორიგების მიღწევის გზების სწორად შერჩევაში, მორიგების პროცესის წარმართვაში, პროცესის რეგულირებასა და მორიგების პირობების დამტკიცებაში. სამოქალაქო საქმის განმხილველი მოსამართლე მუდმივად უნდა ეცადოს საქმე მორიგებით დაასრულოს. მორიგების აქტი მხარეების სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების განკარგვის შესახებ წერილობითი დოკუმენტია (ხელშეკრულება). ის მოდავე მხარეთა მიერ გაფორმებულ სამართლებრივ შეთანხმებას წარმოადგენს. მორიგების აქტში აღინიშნება მხარეთა ნება, რომელიც თავისი შინაარსით ითვალისწინებს ორმხრივ დათმობებს საერთო, სასარგებლო მიზნის მისაღწევად.

84. ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს მორიგების აქტი და განჩინება, რომლითაც მორიგების აქტი მტკიცდება. თუ მხარე არ ეთანხმება მორიგების აქტის პირობებს, უნდა გასაჩივრდეს არა უშუალოდ მორიგების აქტი, არამედ განჩინება მორიგების დამტკიცების თაობაზე. აღნიშნულით დასტურდება ის გარემოება, რომ განჩინება ანიჭებს მორიგების აქტს იურიდიულ ძალას და მნიშვნელობას.

85. მოსამართლე საკუთარი ინიციატივით არ არკვევს მორიგების აქტში მითითებულ, მხარეთა შორის შეთანხმებულ, მორიგების პირობის შინაარსობრივ ასპექტებს. მორიგების პირობებში ასახვას ჰპოვებს მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება, ისე, რომ სასამართლო არ არის უფლებამოსილი მხარეებს განუსაზღვროს მორიგების კონკრეტული პირობა. სასამართლო შეზღუდულია მხარეთა ნებით და იგი მათ მიერ გამოვლენილი ნების განმარტებას არ ახდენს. სასამართლოს ევალება მორიგების აქტის კანონიერების კონტროლი. სასამართლოს მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტისას, პირველ რიგში ევალება გაარკვიოს მხარეების შეთანხმება ხომ არ არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ხომ არ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს, ანუ ადგილი ხომ არ აქვს მართლსაწინააღმდეგო ან ამორალურ მორიგებას. ამასთან, სასამართლო ასევე უნდა დარწმუნდეს, ხომ არ არის აღნიშნული მორიგების საფუძველი მოტყუება, იძულება ან შეცდომა. ამდენად, აუცილებელია მორიგება სამართლიან ხასიათს ატარებდეს და ემყარებოდეს კანონსა და მორალს.

86. მორიგების თაობაზე მხარეთა შეთანხმების შემდეგ, მათი უფლებები და მოვალეობები სწორედ მორიგებაში განსაზღვრული

პირობების მიხედვით განისაზღვრება და არა მორიგებამდე არსებული ვალდებულების მიხედვით. მორიგების აქტის შინაარსი სადავო საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან უნდა გამომდინარეობდეს. მხარეები მხოლოდ დავის საგნის ირგვლივ უნდა შეთანხმდნენ, დავის საგანს არ უნდა გასცდნენ. მიღებული მორიგების აქტი მიმართული უნდა იყოს დავის გადაწყვეტისაკენ და თითოეული მხარის მიერ წამოყენებული მორიგების პირობა მეორე მხარის ინტერესსა და მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს. საქმის წარმოების სასურველი შედეგით დასრულების მიზნით აუცილებელია მხარეთა პოზიციების ურთიერთდათმობა. მორიგებისას თითოეული მხარე თმობს საკუთარ პოზიციას მეორე მხარის სასარგებლოდ. შესაძლოა რომელიმე მხარეს ნაკლებად მომგებიანი პოზიცია ჰქონდეს საქმის წარმოებისას, თუმცა მორიგების დროს შეძლოს მეორე მხარისთვის ისეთი სამართლებრივი სიკეთის შეთავაზება, რაც არსებულ კონფლიქტს დააბალანსებს და დაარეგულირებს.

87. მორიგება მოდავე მხარეთა შორის ხორციელდება და ორმხრივ ურთიერთდათმობას ემყარება. მორიგებისას აუცილებელია მხარეთა კონცენტრირება საერთო სასარგებლო და ორივე მხარისთვის მისაღებ შედეგზე. ორმხრივი ინტერესი ის უმთავრესი წინაპირობაა, რომელიც უმოკლეს დროში იძლევა მორიგების სამართლებრივ შედეგს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მორიგებისას „დამარცხებულის პოზიცია“ არ არსებობს და მორიგებაში მხარეთა სტატუსია „მორიგებულები“. მხარეებს შეუძლიათ გააკონტროლონ შედეგი, რომელიც მიიღწევა მოლაპარაკებით. ნებისმიერი მორიგების პროცესის „ხიბლი“ სწორედ შედეგშია (The beauty of any negotiated settlement \_ finality \_ იხ: Stephen G. Crane., Judge Settlements Versus Mediated Settlements, Dispute Resolution Magazine, 2011, 22.).

88. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ კანონით დადგენილი წესით მიღებულ გადაწყვეტილებასა და ზოგადად მართლმსაჯულების განხორციელებაში არ გამოიხატება, არამედ მხარეთა ნების გამოვლენაშიც. მორიგების შედეგად უფრო მკვეთრად არის შესაძლებელი „სამართლიანობის“ აღდგენა, ვიდრე სადავო გადაწყვეტილების გამოტანისას, როდესაც ეს უკანასკნელი ხშირად ფორმალურ კრიტერიუმებზეა ორიენტირებული. მორიგებით შესაძლებელია იმ შედეგის მიღება, რომელსაც გადაწყვეტილების მიღებით ვერ მივიღებდით. მორიგებით დავის გადაწყვეტა ხელს უწყობს მხარეთა შორის ახალი ურთიერთობის დამყარებას და მშვიდობის აღდგენას.

89. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ აუცილებელია მორიგება კანონის ფარგლებში განხორციელდეს. აღნიშნული საკითხის სამართლებრივ ჭრილში კონტროლი მოსამართლის ერთგვარი ვალ-

დებულებაა, რადგან მის მიერ გამოტანილი განჩინება მორიგებით საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, სახელმწიფო მართლმსაჯულების განმახორციელები დოკუმენტია, რომელიც კანონს და მორალს უნდა ეფუძნებოდეს. აღნიშნულის პრაქტიკული გამოვლინება იმაში მდგომარეობს, რომ მორიგებითი შეთანხმების დადება ხორციელდება სასამართლოს კონტროლის ქვეშ. სასამართლო ვალდებულია შეამონოს, ხომ არ ეწინააღმდეგება მორიგების აქტის პირობები კანონს, ხომ არ არღვევს ის სხვა პირთა უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს. აღნიშნული გარემოებების არსებობისას, სასამართლომ უარი უნდა თქვას მორიგებითი შეთანხმების დამტკიცებაზე. თავის მხრივ, მორიგებითი შეთანხმების შესახებ განჩინება უტოლდება სასამართლოს გადაწყვეტილებას და მხარეების მიერ შეუსრულებლობისას ექვემდებარება იძულებით აღსრულებას. მორიგების შედეგად მხარეთა ინტერესების შეთანხმება ხდება. სამართალი ხელს უწყობს განსხვავებული ინტერესების შერეგებას და ასრულებს კონფლიქტის მოწესრიგების ფუნქციას.

90. აუცილებელია ორივე მხარის ინტერესები თავიდანვე სწორი სიზუსტით იყოს განსაზღვრული, რადგან მორიგება ხდება სწორედ მოდავე მხარეთა მოსაზრებებისა და პოზიციების შეჯერების საფუძველზე. ინტერესთა მორიგება გულისხმობს ორმხრივი ინტერესების ურთიერთშეთანხმებას. ინტერესი საერთო-სასარგებლო მიზნის მიღწევაში გამოიხატება. მხარეთა უმთავრესი მიზანი არსებული დავის საბოლოო და შედეგიანი გადაწყვეტაა. მორიგებით დავის გადაწყვეტამ „რეალური შედეგი“ უნდა მისცეს მხარეებს, რამაც თავისთავად უნდა გამორიცხოს სასამართლოსადმი ხელახლა მიმართვის სურვილი. მორიგებით საქმის წარმოების დამთავრება მოდავე მხარეების უფლებამოსილებას წარმოადგენს, რომლითაც მხარეები განკარგავენ კანონით მინიჭებულ უფლებას – საქმე მორიგებით დაასრულონ.

91. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოს წინაშე მხარეები თანასწორუფლებიანები არიან. მხარეთა უთანასწორობის პირობებში შესაძლოა მორიგების მიღწევის შესაძლებლობა დაგვიანებული ან საერთოდ შეუძლებელი გახდეს. მხარეთა თანასწორობის მიზნით აუცილებელია გააზრებულ იქნეს, რომ მეორე მხარის ინიციატივით წამოსული მოთხოვნა არანაკლებ ეფექტური იქნება იმისთვის, რომ საქმის წარმოება მორიგებით დასრულდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი მხარისგან წამოსული შეთავაზება ყველაზე შედეგიანი არის მაშინ, როცა მხარე არ ეძებს მიზეზს ამ შეთავაზებისთვის და ღიად იწვევს მხარეს მორიგებით საქმის წარმოების დასრულების თაობაზე. მორიგების შედეგად

მხარეთა ინტერესები გათანაბრებულია და შესაბამისად, აღარ არსებობს წაგებული მხარე. მორიგება მათ თანაბარ სტატუსს ანიჭებს.

92. მორიგების „მოქმედება სამართალში“, გამოიხატება იმაში, თუ რა სამართლებრივი შედეგები მოაქვს საქმის წარმოების მორიგებით დასრულებას. მორიგება იძლევა კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს, რაც ერთის მხრივ დავის გადაწყვეტაში, ხოლო მეორეს მხრივ საქმის წარმოების დამთავრებაში გამოიხატება. მას შემდეგ რაც მხარეები წარმოადგენენ მორიგების აქტს, ისინი მიმართავენ სასამართლოს თხოვნით დამტკიცდეს აღნიშნული მორიგების აქტი და შეწყდეს საქმის წარმოება. ასეთი სახის თხოვნა კანონით დადგენილი წესით განხორციელებული შუამდგომლობაა, რომელიც შესაძლოა დააკმაყოფილოს სასამართლომ, შესაძლოა – არა. თუკი სამართლო საქმის მასალების შესწავლისა და მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევა, რომ მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს, ასეთ შემთხვევაში მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდება, რასაც უკავშირდება სსსკ-ის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი.

93. სადავო განჩინების გამოტანამდე, საკასაციო პალატამ დამატებით აღნიშნა, რომ მხარეებისათვის ცნობილია წინამდებარე მორიგების აქტის სასამართლოს მიერ დამტკიცების სამართლებრივი შედეგები, კერძოდ, მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე სასამართლო განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სასამართლოს მიერ საქმის წარმოება წყდება და მხარეებს აღარ აქვთ უფლება, განმეორებით მიმართონ სასამართლოს იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით. (იხ. წინამდებარე განჩინების პ. 16).

94. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მორიგების აქტის აღსრულების სიმარტივე საკანონმდებლო დათქმაშია, რომ შეწყვეტილი საქმის წარმოება არ აძლევს არცერთ მხარეს უფლებას ხელმეორედ მიმართოს სასამართლოს იმავე დავის საგანზე, იმავე მხარეებს შორის. ამასთან, აღსრულების სიმარტივეს ისიც განაპირობებს, რომ საჭირო არ არის სააღსრულებო ფურცლის გამოწერა, ვინაიდან, ფაქტიურად, სასამართლოს მიერ მორიგების აქტის დამტკიცებით მტკიცდება ხელშეკრულება მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობებით. შესაბამისად, ხელშეკრულების პირობების დაცვა მხარეთა ნებაყოფლობითობას ეფუძნება ანუ ერთგვარი „ნებაყოფლობითი ვალდებულება“. მორიგების შედეგად მხარეები იღებენ „შესრულებად გადაწყვეტილებას“ და თავიდან იცილებენ „გადართმეულ გადაწყვეტილებას“, რომელიც შესაძლოა აკმაყოფილებდეს საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებს, მაგრამ ფაქ-

ტობრივად ვერ წყვეტდეს დავას. მორიგებით გათვალისწინებული პირობების აღსრულების ერთგვარი გარანტია ის გარემოებაც, რომ მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინებაში ზუსტად უნდა აისახოს მორიგებით შეთანხმებული პირობები იმ ვადების მითითებით, რა ვადაშიც უნდა შესრულდეს ნაკისრი ვალდებულება.

95. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ შუამდგომლობის, რომელიც შეეხებოდა კანონიერ ძალაში შესული უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულებას, მხოლოდ იმ ნაწილში, რომლითაც არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის საცხოვრებელი ადგილი, არსებითად განხილვის შემთხვევაშიც დადგებოდა შემდეგი სამართლებრივი შედეგი: „მინსკის კონვენციის“ 51-ე მუხლის თანახმად, თითოეული ხელშემკვრელი მხარე ამ კონვენციით გათვალისწინებული პირობებით ცნობს და აღასრულებს სხვა ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიაზე გამოტანილ აღნიშნული მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს. საკასაციო სასამართლო წარმოდგენილ შუამდგომლობას განიხილავდა „მინსკის კონვენციის“ 54.2 მუხლით გათვალისწინებული პირობების ფარგლებში და მიუთითებდა, რომ არ არსებობს „მინსკის კონვენციის“ 55-ე მუხლით გათვალისწინებული აღიარების (ცნობის) დამაბრკოლებელი გარემოებები და დაცულია საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი წინაპირობები უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარების (ცნობის) შესახებ.

96. რაც შეეხება შუამდგომლობას გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მრავალი ქვეყანა მისდევს *revizion au fond*-ის აკრძალვის სახელით ცნობილ პრინციპს, რომელიც კატეგორიულად უარყოფს უცხო ქვეყნის სასამართლოს (არბიტრაჟის) მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსობრივ გადამოწმებას. შესაბამისად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვისას საკასაციო პალატა ამ გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ნესრიგის გადასინჯვას ვერ განახორციელებს.

97. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საცნობი გადაწყვეტილება განსაზღვრავს მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელ ადგილს, შესაბამისად, გადაწყვეტილების მცნობი სასამართლო ვერ გასცდება საცნობი გადაწყვეტილების ფარგლებს და ვერ დაადგენს ახალ სამართლებრივ შედეგს. მხარეთა შორის სადავო არ არის, რომ გადაწყვეტილების ცნობის საკითხის

განხილვისას, არასრულწლოვანი ბავშვი ცხოვრობდა საქართველოში მამასთან – ერთად, საცნობი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არ არის მითითებული, რომ არასრულწლოვანი ბავშვი არის არამართლზომიერად დაკავებული ან გადაადგილებული და რომ დაბრუნებული უნდა იქნეს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, (ამიტომაც საკასაციო პალატა, ამ საკითხებთან დაკავშირებით არსებითად აღარ იმსჯელებდა არასრულწლოვანი ბავშვების საუკეთესო ინტერესთან მიმართებით), შესაბამისად, შუამდგომლობა უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების შესახებ დარჩებოდა განუხილველად, რადგან შინაარსობრივად არ წარმოადგენს იმ სახის გადაწყვეტილებას, რომლიც საჭიროებს უზენაესი სასამართლოს მიერ აღსრულების შესახებ რაიმე აქტის (განჩინება, გადაწყვეტილება) გამოტანას (მდრ. სუსგ №ა-1700-შ-42-2019, 07 ოქტომბერი, 2019).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 421-ე მუხლით, 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ პუნქტებით, 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ჟ. ტ-ას განცხადება მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 2 მაისის განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 299 82 08  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)